ლაკლაკეთი



ქართული ჯარისკაცები

საქართველოს გაბრწყინება აჭარიდან დაიწყება

ლაკლაკეთი

№6
2017 წელი

სალიტერატურო - სამხატვრო, სამეცნიერო - პოპულარული და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი და დამფუძნებელი
შალვა ველიაძე

სარედაქციო საბჭო:
**ოთარ გოგოლიშვილი, ვაჟა დავითაძე, ზვიად ველიაძე,
ნაზი (ქეთევან) ველიაძე, გურამ თურმანიძე, რამაზ სურმანიძე,
გიორგი სარაჯიშვილი, შუშანა ფუტკარაძე,
ოთარ ცინარიძე,**

ჟურნალი გამოდის მთავარი რედაქტორის და დამფუძნებლის ხარჯით

ძვირფასო მკითხველო!

გთხოვთ სათუთად მოეპყრათ და გაუფრთხილდეთ ჟურნალს მასში დაბეჭდილი ხატისა და შესაბამისი ტექსტების გამო.

ავტორთა საყურადღებოდ:

საავტორო უფლებები დაცულია. გამოქვეყნებული წერილების მეცნიერულ და დოკუმენტურ სიზუსტეზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ავტორებს. რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს შრიფტით Sulfaen, 12 pt (კოდირება: უნიკოდი (UTF-8). შემოსული მასალა ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

წმიდა თამარი კეთილმსახური მეფის მიმართვა საეკლესიო კრებისადმი:

წმიდა მამანო თქვენ ღვთისგან ხართ განწესებულნი მოძღვრად ჩვენდა

და ეკლესიის მმართველად. ღვთის წინაშე ჩვენი სულებისთვის მეოხებას ეწევით.

გამოიძიეთ ყოველი კეთილად, დაამტკიცეთ მართალი და განაყენეთ უკეთური.

მხილება ჩემგან დაიწყეთ, რადგან გვირგვინი ჩემი მეფობისაა და არა ღვთის წინააღმდეგ ბრძოლისა.

უკეთურების შემხედვარე თვალს ნუ აიხვევთ მთავართა სიმდიდრისა და უპირატესობის გამო, ნურც გლახაკთა უპოვრების მიზეზის გამო გამოიჩენთ ზედმეტ სიმკაცრეს.

თქვენ სიტყვით, ხოლო მე საქმით. თქვენ სწავლით, მე კი თქვენგან ნასწავლით.

თქვენ რწმენით, მე კი თქვენი გაწვრთნით. ერთმანეთს ხელი მივსცეთ ჭეშმარიტი რჯულის დასაცავად, რათა არაფერი დავაშავოთ ღვთის წინაშე.

თქვენ როგორც მღვდლებმა, მე როგორც მეფემ.

თქვენ როგორც ეკლესიის წინამძღვრებმა, მე როგორც თქვენგან ნასწავლი რჯულის დამცველმა.

შალვა ველიაძე

ქრისტიანული კულტურისთვის ბრძოლა არის მთავარი - ქართული სახელმწიფოსთვის

„უფალმა ძალი ერსა თვისსა მოსცეს,
უფალმა აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით!“
წმინდა მეფე დავით წინასწარმეტყველი

„მართლმადიდებლობა უნდა იქცეს
სახელმწიფოსთვის მთავარ მიმართულებად!“
ზვიად გამსახურდია

ჩვენს ირგვლივ სამყარო ისეა განლაგებული, რომ მისი მამოძრავებელი ძალა თეოლოგიური და ფილოსოფიური აქსიომებით განისაზღვრება. ამ სამყაროში ყოველ ერს თავისი განსაზღვრული მისია აკისრია. არსთაგამრიგის მიერ სამყაროს დასაბამიდანაა განსაზღვრული ქართველი ერის მისია ზოგადსაკაცობრიო ცივილიზაციაში. ზეგარდმო არსით ბოძებული ეს განასაზღვრულობა საიდუმლოებით არის მოცული. მისი შეცვლა არცერთ ეპოქაში არავის „ამა სოფლის ძლიერთ“ არ შეუძლიათ. ვინაიდან ყოველი ერის გენეტიკური კოდი მუდმივად ინახავს ერის „თანამდევ სულს“. ქართველი ერის ეს „თანამდევი სული“ ერის ეროვნული გონია უზენაესის გონთან (ღმერთის გონთან) ჰარმონიაში მყოფი. როდესაც ეს ჰარმონიულობა ირღვევა იწყება ერის ტრაგედია. ამ უიღბლობიდან და უბედობიდან გამოსავალი ჩვენშია = ქართველ ერშია. ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ ქართველი ერისთვის დამახასიათებელ ისტორიულ არქეტიპს.

ჩვენი სულის გამოძახილი ქრისტიანული კულტურაა, ქრისტიანული კონსტიტუციაა. ეს არის მარადიული ღირებულება ქართველი ერისთვის. ამ უკვდავი ფასეულობის დაცვით ქართველი ერი დაცული ვიქნებით მარადიულად. ჩვენი მომავალი, ჩვენი კეთილდღეობა ამ ჭეშმარიტებით საზრდოობს. ვინაიდან, ორი ათასი წლის წინ უფალმა ღმერთმა დედა ღვთისმშობელს გამოცხადებით აუწყა: **„ჰოი, დედაო არა უგულებელყო ერი იგი საზეპურო, უფროისა ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის!“. საქართველო არის მამული ღვთისა, საქართველო არის მამული ღვთისმშობელისა (ილია II)**. ჩვენი წილი სიცოცხლე ქართული ქრისტიანული კულტურის, ქართული ეროვნულ-ქრისტიანული სულიერების აღმავლობას უნდა დავახარჯოთ. **რომ გადავრჩეთ, სიყვარულით უნდა დავიჩოქოთ უფალი ღმერთის წინაშე**. ერთმანეთის შეუბღალავად – უფლისა და მოყვასის სიყვარულით უნდა გავაგრძელოთ ამქვეყნიური არსებობა.

ჩვენი ურთიერთობა დამყარებულია მორალური ცხოვრების აღიარებაზე. ჩვენი ცხოვრების ექო ჩვენი სინდისია. სინდისი არის ღმერთის ხმა ადამიანში. ჩვენი სინდისი უნდა იყოს სუფთა.

ისტორიულად სამართლებრივ რეგულირებას აწესრიგებს სახელმწიფო. სახელმწიფოს კი მმართავს განსაზღვრული ორიენტაციის ერის არისტოკრატთა განსწავლული გუნდი. ჩვენ მწიგნობარი ერი ვართ. მაგრამ, ისტორიული აღზრდის პროცესი დამახიჯე-

ბულია. ორასწლიანმა წყვეტამ დაღი დაასვა ქართულ ეროვნულ ცნობიერებას, ქართულ სულიერებას. მოცემულობა, რომელიც ჩვენ დღეს გვაქვს ეს იმპერიულ სივრცეში „ნასწავლი ე.წ. ინტელიგენციის“ შედეგია. ეს მოცემულობა უნდა შეიცვალოს. ქართველი კაცის აღზრდის პროცესი უნდა შეიცვალოს. XIX საუკუნემდე განათლება იყო ეკლესიის ხელში. ქართველები ჯერ სწავლობდნენ კატეხიზმოს (მოძღვრებას მართმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოების შესახებ, რომლითაც იმოძღვრება ყოველი ქრისტიანი ღვთის სათნომყოფელობისა და სულის ცხონებისათვის), იღებდენ საღმრთო განათლებას, მერე ირჩევდნენ მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროს. განათლების გარეშე ადამიანი ჰგავს მართვად ცხოველს. **უფალს უნდა შევსთხოვოთ: ღმერთო მანახე გზა, რათა გავამრავლო ტალანტი (ნიჭი). ღმერთო შენი ნებისამებრ წარმართე ჩემი ცხოვრება. უფალო იყავ ნება შენი!** წინათ ადამიანი უფრო ღრმად მოაზროვნე იყო. ვიდრე დღეს... მოაზროვნეებად იწოდებიან ადამიანები, ვისაც შეუძლია კეთილისა და ბოროტის გარჩევა. ოჯახისა და სახელმწიფო ინსტიტუტების უმთავრესი მოვალეობაა მომავალი თაობა ეროვნულ-რელიგიური სულისკვთებით აღზარდოს. დღეს ჩვენ იმ სააზროვნო დროში და არეალში ვიმყოფებით, როცა ჩვენი სულიერი განვითარება ძირძველ ტრადიციებს უბრუნდება.

ყველაზე ძირძველი ფასეულობა არის კულტურა. ქართველი ერისთვის ეს კულტურა – ოდითგანვე ქრისტიანული კულტურა იყო. ვინაიდან ყოველი ადამიანი ბუნებით ქრისტიანია. ქრისტიანობა არის მოღვაწეობა საკუთარი თავის ზედამხედველობაზე. ეს სულიერი მარადიულობა, ჩვენი მრწამსი ქრისტიანობა, ქრისტიანული ზნეობრივი საწყისი „ახალ ათინად“ უნდა ვაქციოთ მომავალი თაობისთვის. დავით მეფსალმუნე ბრძანებს: **„სუფთა გული შეჰქმენი ჩემში, ღმერთო, და წრფელი სული განაახლე ჩემს სხეულში“.** ყოველმა თაობამ ძირძველი ეროვნული კულტურის, ქრისტიანული კულტურის ფუნდამენტური საფუძვლების სიმაღლეზე უნდა ავიყვანოთ ღვთიური ზნეობითი ცხოვრება.

ღვთიური ზნეობის დაცვით ჩაეყარა საფუძველი საქართველოში ქრისტიანული კულტურას. **„უფალს ვაამოთ მესვეტე ერმა“**. საქართველო უძველესი ქრისტიანული კულტურისა და ცივილიზაციის ქვეყანაა. ქართველი ხალხი უფლისგან გამორჩეული და სამგზის კურთხეულია. არცერთ ქვეყანას მსოფლიოში არ ჰყავს იმდენი წმინდანი, როგორც საქართველოს. არცერთ ქვეყანას მსოფლიოში არ ჰყავს იმდენი სამშობლოსთვის და სარწმუნოებისთვის თავგანწირული გმირი, როგორც საქართველოს. ჩვენ წარსული გმირების ცხოვრებით უნდა ვიცხოვროთ.

ისტორიული მეხსიერების მოხმობითა და ქრისტიანული კულტურის აღმავლობით ქვეყანაში უნდა აღვადგინოთ ზნეობრივი ცხოვრება. **ქრისტიანული კულტურის დაცვით, მართულთა მმართველობა სჭირდება ჩვენი ქვეყნის განვითარებას**. ქვეყანა უნდა გამოვიდეს საღათას ძილიდან და უზნეო ცხოვრებას დაუსვას წერტილი. მთავარია ღმერთთან მოვაგვაროთ ცოდვა–მადლის საკითხი და მერე ვნახოთ, ღმერთი რასაც მოიმოქმედებს. საშიში და სასტიკია ღმერთი თავხედებისთვის. ქვეყანას როცა ღვთის მადლი მოსცილდება განსაცდელები და დაცემა გარდაუალი შეიქმნება. ჩვენ ღვთის მოშიში ერი ვართ და ყოველი საქმე კეთილი სიყვარულთ უნდა აღვასრულოთ.

მთელი გულით ვესწრაფოთ მშვიდობას, რათა უფლის ერად ვიწოდეთ. ყოველი ქართველის ვალია, რომ ხვალინდელი დღის გადარჩენა სიმშვიდით – წყნარად შესძლოს. მორალური და რელიგიური კატეგორიები სჭირდება მომავალ თაობას. ქართული ეკლესია აყალიბებს ქართველი კაცის სულს, მის მსოფლმხედველობას. ქართული ეკლესია აყალიბებს ქრისტიანულ კულტურას.

ქრისტიანული კულტურის დაცვის გარეშე შეუძლებელი გახდება ჩვენი ღვთისგან მფარველობა. დავით მეფსალმუნე ბრძანებს:

„მე ვუთხარი უფალს: შენ ხარ ჩემი ბატონი, ჩემი სიკეთე შენს გარეშე არ არსებობს“. „უფალი ძალას მისცემს თავის ხალხს, უფალი აკურთხებს თავის ხალხს მშვიდობით“. ღვთისმშობელი საფარველია საქართველოსი. ეს არის მარადიული აღთქმა ჩვენი ქვეყნისთვის. ეს მარადიულობა მართლმადიდებლური ქრისტიანული კულტურით უნდა შევინარჩუნთ. **„მართლმადიდებლობა გულის კულტურაა (ილია II)“.** ამ კულტურის მატარებელი კი ქართველი ერია. ჩვენი სწრაფვას ქრისტიანობისკენ ვერაფერი შეაჩერებს. ჩვენს სწრაფვა მარადისობისკენ, ქრისტიანობისკენ, ქრისტიანული კულტურისკენ ეს ჩვენი სულიერი სწრაფვაა. ეს ბრძოლა ქრისტიანულ განმანათლებლობისთვის, თავისუფლებისთვის, სახელმწიფოებრიობისთვის მუდმივად გრძელდება.

ჩვენ – ჯობია ჭკვაზე მოვიდეთ და ჯანსაღი ცხოვრების წესით – ზნეობრივი ცხოვრების წესით ვიცხოვროთ. ეროვნული ღირსება და ზნეობა განსაზღვრავს ჩვენს ხასიათს, თვისებას, მარადიულ მყოფობას. თუ ჩვენ ეროვნულ ინტერესებს, ჩვენ ძირძველ ქრისტიანულ კულტურას დავიცავთ, მაშინ იქნება საშველი ქვეყნისთვის. ერის დიდი მამამთავარი, ერის სულიერი მოძღვარი ილია II დღენიადაგ მოგვიწოდებს: **„ჩვენი ნებისყოფა ღვთის ნებას უნდა შეუერთდეს“.**

საქართველოს სივრცითი გარემოება გვკარნახობს შევინარჩუნოთ ერთსულოვნება. უნდა ავხადოთ სიმართლეს ფარდა და რეალობიდან გამომდინარე ქრისტიანული კულტურის დაცვით გავაძლიეროთ ქვეყანა. უნდა გავიაზროთ სინამდვილეში საკუთარი რწმენა, მომავლის რწმენა ქრისტიანული კულტურის გარეშე არ არსებობს.

გაცნობიერებული ქართული ეკლესიის როლის, ეროვნული კულტურის = ქრისტიანული კულტურის, ეროვნული განათლების, ეროვნული ისტორიოგრაფიის გახსნილი გააზრების გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოებრიობის დონის ამაღლება.

სულიერი არისტოკრატია იყო დამახასითებელი სამშობლოსთვის თავდადებული მამულიშვილებისა. მარად ცოცხალი კლასიკური ტრადიცია ქართველი ერის ეს არის ქრისტიანული კულტურის დაცვა ქართული სახელმწიფოებრიობის დაცვისა და აღმავლობის საშვილიშვილო საქმეში. ჩვენს სააზროვნო არეალში, განუწყვეტლივ უნდა ვაახლებდეთ ქრისტიანულ აზროვნებას, ქრისტიანულ შეგნებას, ქრისტიანული კულტურის ფასეულობებს. ქართველი ხალხის ქრისტიანული კულტურის მუდმივობა, მტკიცე ჯავშნით იცავს ქართული სახელმწიფოს მარადიულობას.

ძვირფასი განძი ქრისტეს სარწმუნოება, ქრისტიანობა, ქრისტიანული კულტურა იყო და მუდმივად იქნება მთავარი ღერძი ქართველი ერის ორიენტაციისა ქართული სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებაში.

ვევედროთ ღმერთს რათა მოგვცეს სული სიყვარულისა და სული ერთობისა. ამინ!

ეთერ ბერიძე-მელიქიშვილი

ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი

მხოლოდ სიტყვას ძალუძს უკვდავება მიანიჭოს

„მხოლოდ სიტყვას ძალუძს უკვდავება მიანიჭოს ღირსთა ყოველთა გამჟღავნებისა და არგაქრობისა“, მწერლის ამ მოსაზრებას მტკიცედ ადასტურებს სახელოვანი მამულიშვილის, ემენ დავითაძის ბრძნული და ამაღლებული მხატვრული სიტყვა, სიტყვის ოსტატობა, ქართული სიტყვის დიდოსტატობა. მკითხველი აღტაცებას ვერ მალავს მრავალფეროვანი და ყოველ ჯერზე ახალი ფრაზეოლოგიზმებით, იდიომებით შედარებებით, ხშირად, ახლებურად გააზრებულითა და ახლებურად ნათქვამით, ემენისეული, მდიდრული და შინაარსიანი გადმოცემით.

მწერლის „სოფლის აღმაშენებლის“ შვიდტომეული ქართველი ხალხის განსაკუთრებით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მკვიდრთა მრავალტანჯული ცხოვრებისა და მაღალი ღირსების ასახვა-გამოხატვაა, საქართველოს ისტორიის ენციკლოპედიაა, დიდი პუბლიცისტური ნიჭით ხელახლა შექმნილი, აჭარელთა მხატვრული აზროვნების ემენისეულ ქურაში გატარებაა, ამ საგანძურის ერთმანეთისათვის დანახვება და სხვებისათვის გაცნობაა.

უსაზღვროა ქართული მოქმედების სახელის სამანი მწერლისა და პოეტის პროზასა და პოეზიაში – „ნაღვაწ-ნაამაგარში,“ – ამოიბუჯრეს (10); გვეშლება-გვეფანტება, გველევა, გვემცრობა და გვეცლება – ქართული ისტორიული ნაგებობები ტაო-კლარჯეთში (11); ჩამოქნა-ჩამოლერწმება (11); მოიმკვიდრ-მოიმორჩილა (13); იბარტყ-იყვავილა (15); მიგვიგნ-მიგვიკვლევია (223); მიელეკ-მოელეკებოდნენ (239). თითოეული სიტყვა აქ ერთმანეთს ავსებს და აძლიერებს (სოფლის აღმაშენებელი, წიგნი მეოთხე-მეხუთე, „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2003).

მკითხველი ემენის წიგნის ყოველ ფურცელზე ხელახლა სწავლობს არაერთგზის დაწერილ-წაკითხულ და ნასწავლ ქართულ სიტყვას: – მიცემულ, მიჩუქებულ თუ მიტაცებულ – ტერიტორიას (7); ჯერ კიდევ არარსებულ, არჩასახულ, არშობილი – ოსმალეთი (9); დაჭრა-დაულუფების – მოახლოებული საფრთხე (9); ვაზისან-ბანოსანი – ივერნი (15); ნაერთებ-ნამტკიცები საქართველო (20); ნამყოფ-ნამოგზაური – ხნიერთაგანი (100); ვერ დავაშორიშორ-დავაცალცალკევე – ქართველები (211); გვარ-წარმომავლობაც შეუცვალ-შეუსხვაფერა – მუჰაჯირებს (210/211); რამდენი აგვაჭრეს ჩვენს ძილში საკუთარ ტყავ-ხორციდან და სულიდან შინაურ-გარეულმა მტრებმა (7); დავკრიფ-დავგლიჯ-დავბღალე (239); (სოფლის აღმაშენებელი, წიგნი მეოთხე-მეხუთე, „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2003).

სიტყვათა თანწყობის იშვიათი, ზოგჯერ განუმეორებელი მაგალითები გვხვდება ავტორის შემოქმედებაში, – ეშმაკზე სულმიყიდული („უფროსი ძმა“) საჩვენწილო და (ნაყოფი) საჩვენჭირო (შედეგი) (5); მძლავრ-მაღალ თავ-ბოლო ჩუქურთმიან სვეტ-ბურჯს (41); წრე-კვადრატთა ორიგინალურ ტროპიკულ-კამარულ ურთიერთშეკონებას (41); წყარო-დოკუმენტურობის თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანია ტექსტ-წარწერა (42); საგულდაგულოდ მოხატულ-მორთული სვეტ-კედლები, ჯადოსნური ძალმომხიბლველობით, რომ გეპატიჟება (43/44). ხელ-

ფეხ მსუბუქობა ენამსუბუქობაზე გადავიდა. ტაო–კლარჯეთის ქართულ ძეგლებზე დამოკიდებულება (51); ისევ თორთუმი, ძველ-ისტორიულ-ღვიძლ-ქართული ხეობა. ფსკერდამრეცი და ხარო-ხვიმარივით ჩაყუდებული – ხეობა (103); აურწყავ-აუწონარი – ნოსტალგია (115); მანძილთმლახველი (100); ჩაღამებულ-ჩაკარგულები – ქართველი მუჰაჯირები (211); შავყურჭნაყოფიანი-ზეთისხილის ბაღები (239); ჩაგროვილ-ჩაბეკნილი – გონებაში (სოფლის აღმაშენებელი, წიგნი მეოთხე-მეხუთე, „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2003).

ასე ძალუმად ძგერს ძალა ქართული სიტყვისა ემენის შემოქმედებაში

ბატონი ემენი, არა მარტო ცნობილ პუბლიცისტი და პროზაიკოს მწერლად, არამედ ეპიკური ჟანრის თვალსაჩინო კალმოსნად წარუდგა საზოგადოებას და საყოფიერო, ისტორიული, მითოლოგიური და ბალადური თემები, როგორც თავად ავტორი ამბობს – „წლების ბრუნვა ლექსად აკინძა“.

აჭარა „ერთ ყდაში“, ვუერთდები პროფესორ თამილა დავითაძის კარგად მიგნებულ, აჭარაზე ემენის კალმისმიერი მოღვაწეობის უაღრესად მორგებულ ნათქვამს და ვამბობ – აჭარა და ემენი განუყოფელია, ერთი სულია, ერთი სხეულია, თავისი წარსულით, დღევანდელობითა და მომავლით გამოჩენილი ქართველი მწერლებისა და პოეტების ფრიდონ ხალვაშისა, ზურაბ გორგილაძისა დარად.

ემენის შემოქმედება ქართული სიბრძნისა და სიტყვის სალაროა და მიუხედავად ქართველი ხალხის მძიმე წარსულისა „ფიქრის ნაჟურია“ და არა ცრემლის, არა „გოდების“.

გვიყვარს და გვეამაყება ბატონი ემენი.

პუბლიცისტის, მწერლისა და პოეტის შემოქმედებაზე, ბევრი თქმულა და ბევრი დაწერილა, ღირსეულთაგან ღირსეულად შეფასებულა, დაე ამ რიცხვმრავალ შეფსებას ჩემი გულისთქმის რამდენიმე სტრიქონიც შეუერთდეს.



რამაზ სურმანიძე

მწერალი, ისტორიკოსი, პროფესორი

გიორგი სააკაძის მკვლელის აღსასრული

დიდი მოურავის უკანასკნელი გახიზვნა უცხოეთში საბედისწერო აღმოჩნდა. მის წარმატებებზე შურით აღვსილმა ხოსრო-მირზამ, სულთან მურად IV ვეზირმა (იგი ამავე დროს სულთნის სიძე, დის ქმარი იყო), რომელიც სააკაძეში მეტოქეს ხედავდა, მოურავი მუხანათურად შეიპყრო და 40 თანმხლებთან ერთად, 1629 წლის 3 ოქტომბერს თავი მოჰკვეთა.*

ოსმალეთში სახელმოხვეჭილი მამაცი სარდლის და ქართველი გმირის ვერაგულმა მკვლელობამ მის სამშობლოში და თვით ოსმალეთშიც დიდი აღშფოთება გამოიწვია. თურქი ისტორიკოსი **მუსტაფა ნაიმა** აღწერს მოურავის შეპყრობის, მის შვილზე (ავთანდილი) და თანმხლებ პირებზე ბორკილების დადების და თავის მოკვეთის შემზარავ სცენებს, გმობს „უმეცარი ვეზირის“ ხოსრო-ფაშის ამ ვერაგობას და ამბობს: „ხოსრევ-ფაშა სისხლის მოყვარული და მუხანათი კაცი იყო. მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ სისხლის დაღვრა ეწადა, მან **ხონთქრისთვის შეუტყობინებლად**, ვითომდა მოურავი საქართველოში წავაო, მოჰკლა ასეთი გმირი მოხუცი... ამით ხუსრევ-ფაშამ სპარსეთის შაჰს შური აძიებინა მოურავზე“ (ციტირებულია **გივი ჯამბურიას** წიგნიდან, „გიორგი სააკაძე“. თბილისი. 1964, გვ. 85). ნაიმა იმასაც ამბობს, რომ ჰუსრევ-ფაშამ შაჰისგან ქრთამი აიღოო (მურად ქასაბი. ოსმალეთის ქართველები. სტამბოლი. 2012 წ. გვ. 112).

მოგვიანებით თითქმის იმასვე იმეორებს მეორე თურქი ისტორიკოსი **იბრაიმ ფეჩევიც:** „თავისი სარდლობის დროს ხუსრევმა მოურავი, მისი შვილი და მოურავის მხლებლები ორმოცამდე კაცი ერთბაშად დახოცა... არც ალაჰის შეეშინდა და არც სისხლს მოერიდა და ასეთი აკშარა ჯალათობა ჩაიდინა“ (იბრაიმ ფეჩევის ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ, ტექსტი თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა **სერგი ჯიქიამ**. თბილისი, 1964, გვ. 85).

თურქი ისტორიოგრაფის **ქათიბ ჩელების წიგნში ვკითხულობთ:** „...მოურავმა ადრე ყარჩიხა-ხანი დაამარცხა და ამით ოსმალებს დიდი სამსახური გაუწია...“ ხოსრო ფაშამ მოურავის მკვლელობით „ირანის შაჰს შური აძიებინა... ირანის შაჰს ძველ ფადიშაჰებზე ათასობით ახჩაც რომ მიეცა და ქვეყ-

---

* ჩვენთვის ცნობილნი არიან: გიორგი სააკაძე, მისი ვაჟი ავთანდილი, იასე ქსნის ერისთავი (მოურავის ქალიშვილის ქმარი), თეიმურაზ მუხრან-ბატონი (მოურავის მეორე სიძე, მარაბდაში დაცემული ქაიხოსრო მუხრან-ბატონის ძმა), გორგასალი ჩხეიძე და სხვ

ნები ჩაებარებინა, ისინიც კი ამ საქმეზე არ დათანხმდებოდნენ... ერთმა უვიცმა მოხელემ კი მხოლოდ სისხლის ღვრის წყურვილით ასეთი შეცოდება ჩაიდინა“ (**ქათიბ ჩელების** ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა **გიული ალასანიამ**. თბილისი, 1978 წ. გვ. 234, 235).

ცნობილი მწერალი და ისტორიკოსი **ლევან სანიკიძე** ვრცლად აღწერს ქართველთა ტრაგიკულ აღსასრულს; მისი ნაშრომიდან მკითხველის ყურადღებას მხოლოდ ორ მომენტზე შევაჩერებ.

ქალაქ ალეპოში ბორკილდადებული ტყვეების სიკვდილის წყურვილის მოსაკლავად ხუსრევ ფაშა კარვის ზღურბლზე ნებიერად იჯდა და უცქეროდა. — ყველას თავები დააყრევინეთ! — ბრძანა მან.

მოურავმა ჯალათს დაასწრო, თავსაკვეთთან მივარდა და ქედი მოიდრიკა — შვილის სიკვდილი არ ვიხილოო.

სიკვდილს ელოდა მოურავის თანამებრძოლი ახალგაზრდა ბეჟანიც, მაგრამ მისი მამა გორგასალი (ვარაუდით გვარად ჩხეიძე, რ. ს.) იასაულს მიეჭრა და შესთხოვა:

— ნუ მომიკლავ შვილს, მის მაგივრად წაკვეთილ თავებს ჩემი მიათვალე და სამაგიეროდ რაც ოქრო-ვერცხლი შემომრჩენია, შენთვის მომირთმევიაო.

ჯალათმა შეიწყნარა გორგასალის თხოვნა... ასე გადარჩა მისი შვილი ბეჟანი...

ამ ამბებმა უმალ სტამბოლში ჩააღწია. „საჭირო და საყვარელი გურჯის“ სიკვდილმა **მურად მეოთხეს** დიდი რისხვა გამოიწვია.

ადრე ხოსრო ფაშამ თავისი უმეცრებით ბაღდადში მარცხი განიცადა, რამაც სულთანს სახელი გაუტეხა, ხოლო ოსმალეთს დიდი ზიანი მიაყენა. ხონთქარს ეს წყენაც არ ჰქონდა განელებული, ახლა ამას მეორე მიუტევებელი წყენაც დაემატა. დის და სიძის მიმართ აქამდე მოსიყვარულე ხონთქარი სიძულვილმა შეიპყრო. მურად მეოთხემ ჩილდირის ვალის, **მურთაზ-ფაშას*** დაავალა: „ხუსრევ-ფაშას დაეცი, თავი გააგდებინე და სტამბოლს გამომიგზავნეო... და დიდი სიამოვნებით დააგდებინა თავი დიდი სააკაძის ჯალათს მურთაზამ...“ (**ლევან სანიკიძე**, გიორგი სააკაძე, თბილისი, 1988 წ. გვ. 232).

მოურავის გაზრდილი მურთაზ ბაღდათელი ხოსროვის მიმართ შურის ძიებით იყო აღვსილი, მაგრამ მაინც ყოყმანობდა: ხონთქრის სიძე, ასე დიდ პატივში მყოფი კაცი, სიკვდილით როგორ დავსაჯოო. სასახლეში გაიკითხ-გამოიკითხა და დარწმუნდა, რომ სულთანმა დაც მოიძულა და სიძეც გამეტებული ჰყავდა. მურთაზი ბრძანებას თუ არ შეასრულებდა, ამ საქმეს ვინმე სხვას დაავალებდნენ, ხოლო მურთაზა ფაშა, სიცოცხლეს თუ არა, კარიერას უნდა დამშვიდობებოდა.

ბაღდათელმა თან იახლა რამდენიმე კაცი და ალეპოში წავიდა. ხუსრევ ფაშა მედიდურად დახვდა. მურთაზ გოლიათი გვერდით მიუჯდა, სულთნის ბრძანება გააცნო და სანამ დიდვეზირი ხოსრო-ფაშა გაოგნებას დაძლევდა, მას მარცხენა იღლიის ქვეშ სატევარი აძგერა.

---

* როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით მურთაზი საქართველოს ბაღდათიდან ყოფილა. მისი ქართული გვარი არ ვიცით, ამიტომ ვბაძავთ ანდრია მცხეთელს (სადიყას), რომელმაც 1797 წელს სატევრით განგმირა საქართველოს ამაოხრებელი აღა-მაჰმად-ხანი და ჩვენს გმირს ქვემოთ მურთაზ ბაღდათლად მოვიხსენიებთ.
მურთაზ არაბულ-სპარსული სახელია და „რჩეულს“ ნიშნავს. საქართველოში საკმაოდ დამკვიდრებულია, განსაკუთრებით სვანეთში, აჭარაში და სამეგრელო-ლაზეთში.

მეორე დღეს ხოსრო-ფაშის მოკვეთილი თავი მის ცოლისძმას სულთან მურად მეოთხეს მიართვეს.*

ვინ იყო მურთაზა ფაშა? სულთანმა რატომ მაინცდამაინც მას დაავალა მოურავის მკვლელობაზე შურისძიება? ამ კითხვებზე პასუხს იძლევა რამდენიმე თურქული წყარო და ნაწილობრივ მურად ქასაბის ზემოთდასახელებული წიგნი. (გვ. 116, 117).

მურთაზი წარმომავლობით ქართველია. დაიბადა საქართველოში. მისი მშობლიური გვარი უცნობია. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, მურთაზი დიდი მოურავის თანამებრძოლთა შორის ჩანს. 1622 წელს სააკაძემ იგი აღსაზრდელად ქართული წარმოშობის დიდვეზირს **მეჰმედ-ფაშას** (1535-1625) ჩააბარა. თავის მასწავლებელთან ერთად მონაწილეობდა ჰალების და ერევნის ლაშქრობებში, ერთხანს ჩილდირის ბეგლარ-ბეგის და სილისტრის** კაიმაკამის თანამდებობები ეკავა. ჯერ კიდევ საქართველოში მყოფ მოურავს, აწ უკვე ქართლის გამგებელს, რომელმაც საბოლოოდ შეაქცია ზურგი სპარსეთის შაჰს, სულთანი მურად მეოთხე საპასუხო წერილს უგზავნის და პირდება ყიზილბაშების წინააღმდეგ გალაშქრებაში დახმარებას. გიორგი სააკაძის ერთ-ერთ დახმარედ სულთანი ჩილდირის ბეგს მურთაზას ასახელებს, რაც შემთხვევითი არაა: „... დაწვრილებითი და ვრცელი წერილებით მაცნობებ, რომ უბედურ ყიზილბაშს სწადია მაგ მხარეები დააზარალოს, რაც გზადაბნეული შაჰის ფუჭ ოცნებას შეადგენს... შენს მაშველად დაინიშნა ბათუმის **ბეგლარ-ბეგი ომერი**... ვილაიეთის ჯარით **ჩილდირის ციხის ბეგი მურთაზა**, არფალიკის წესით სანჯაყის მფლობელი **საფარი**... მათ განკარგულებაში მყოფი ლაშქრითურთ.“ (**ქათიბ ჩელების** ცნობები... გვ. 81, 82).

ამგვარად, ნათელი ხდება, რომ გიორგი სააკაძეს თავის უმცროს მეგობართან და აღზრდილთან მურთაზთან დიდი ბრძოლებიც აკავშირებდა, რაც გარდაცვალებამდე არ შეუწყვეტიათ, ისინი ბოლომდე მეგობრებად დარჩნენ.

ირანის შაჰმა ამ ბრძოლებში გამარჯვებას მიაღწია. თითქმის მთლიანად დაიპყრო საქართველო და ერევნისკენ გაილაშქრა. ამ დროს „მურთაზა ბეგი მარდინის მახლობლად სულთნის საზაფხულო რეზიდენციაში გადავიდა და ვილაიეთის ჯარი მოიწვია. სხვებიც მოემზადნენ და ვანის პირდაპირ თვალყურის სადევნებლად გაჩერდნენ“ (იქვე, გვ. 235).

თავისი აღმზრდელის მეჰმედ ფაშის სიკვდილით დასჯის (1625 წ.) შემდეგ მურთაზი სასახლის განკარგულებაში გადავიდა. სულთან მურად IV-ის დროს იგი მისი მეგობარი (მუსაჰიბი) გახდა. სულთან იბრაიმ პირველმა კი მურთაზა ფაშა საჭურველმტვირთველად დააწინაურა.

1648 წელს მურთაზმა ვეზირის წოდება მიიღო. ორი წლის შემდეგ დამასკოს ვალი გახდა. სხვადასხვა დროს ასრულებდა ჩილდირის, ბაღდადის და დიარბექირის ვალის მოვალეობას. ბოლოს ბაღდადის ვილაიეთის მმართველად დანიშნეს.

მურთაზ ბაღდათელმა ყველა ამ ქალაქში ააგო მრავალი საყოფაცხოვრებო შენობა და სამლოცველოები, აგრეთვე სულეიმანის აკლდამის კარი და დაბა აიუზელალას წყალსაცავი.

დიარბექირის ვალის თანამდებობაზე ყოფნისას აშენებული მეჩეთი ახლაც მურთაზა ფაშის მეჩეთის სახელს ატარებს.

მურთაზის ვინაობაზე და გარეგნობაზე საინტერესო ცნობას გვაწვდის მისი თანამედროვე და მეგობარი, ცნობილი მოგზაური **ევლია ჩელები** (1611-1683), რომელიც მასთან მუეძინთა (მეჩეთის მსახური, მნათე) უფროსად მსახურობდა.

„ამბავი მურთაზა ფაშასი: **მურთაზა ფაშა დაბადებულია საქართველოში,** ჩობანიანთა ვარსკვლავივით მშვენიერი ასულის „ბაღდადად“ წოდებული ხათუნის მიერ აშენებულ საამურ ქალაქში, რომელსაც **საქართველოს ბაღდადი** ეწოდება. საქართველოს მბრძანებელ მავრულ ხანს (მოურავს — რ.ს.) იგი საჩუქრად გაუგზავნია თაბანი ასსი მეჰმედ-ფაშასთვის და მის პატიოსან ჰარემში აღიზარდა. როდესაც დავაჟკაცდა, იჩ-ოღლანი (ქრისტიანთა ბიჭები, რომლებსაც სახელმწიფო თანამდებობაზე გასამწესებლად ზრდიდნენ — რ.ს.) გახდა და თაბანი

* მურად მეოთხე საშუალოზე მაღალი, მხარბეჭიანი, კუნთმაგარი ფალავანი ყოფილა. მშვილდისრით სროლაშიც ბადალი არ ჰყავდა. ამავე დროს წიგნიერი კაცი და სწავლულების ქომაგი იყო. ლექსებს თავადაც თხზავდა და მუსიკალურ წვეულებებსაც მართავდა (ისკენდერ ფალა. ლექსთა სულთანები. სტამბოლი. 2006 წ.) მურად მეოთხეს შემოკრებილი ჰყავდა მასავით ძლიერი გოლიათი ფაშები. სწორედ ამან განაპირობა მურთაზა ფაშის დაახლოებაც მასთან (მის გარეგნობაზე. იხ. ქვემოთ).

** ოლქი და ქალაქი ბულგარეთში.

ასსი მეჰმედ-ფაშას სადრაზამობის (დიდვეზირობის — რ.ს.) დროს ალეპოში იმყოფებოდა, სადაც ჯარი იზამთრებდა. შემდეგ — ერევნის ომში, შემდეგ ფაშას ახლდა სილისტრიაში, სადაც ივი კიმაკამი იყო და ეწოდა სარიკჯი-ბაში (თავზეხელაღებულთა რაზმის უფროსი — რ.ს.) მურთაზა აღა. **როდესაც ვლახეთისა და მოლდავეთის ამბების გამო თაბანი ასსი მოკლეს** და მთელი მისი ღულამები (ხელქვეითები, რ.ს.) სულთნის სასახლეში წაიყვანეს, მათთან ერთად ესეც მიიღეს და სახელად უწოდეს დესთარი (მწერლების გამგებელი, რ.ს.) მურთაზა-ფაშა. სულთან იბრაჰიმის დროს მის საკუთარ მცველთა ოდაში შევიდა. **ოცდასამი წლისამ** თანამდებობა მიიღო, სულთნის დაახლოებული პირი და საჭურველმტვირთველი გახდა. მეჰმედ-ხან მეოთხის ტახტზე ასვლის პირველ ხანებში როდესაც საჭურველმტვირთველის თანამდებობაზე იყო, დამასკოს ვილაიეთი მიიღო და ჩირაღდანივით აინთო.

მისი გარეგნობა: ტანადი, შავგვრემანი, სწორშუბლიანი, შავწარბწამწამა, ჭრელთვალა და ენამოჩლექილი იყო, რადგანაც ქვედა ყბაზე ოთხი კბილი აკლდა, ზოგიერთ ბგერას ვერ წარმოთქვამდა. წვერი ახლად მოეშვა და უფრო მეტად დამშვენებულიყო. მკერდგანიერი, წელწვრილი, მკლავმაგარი, ბრტყელტერფა — თავისი ბატონივით, — კეთილი, მშვიდი, თავაზიანი, მოსიყვარულე, მოფარიკავე, ძალის მცდელი, მძლავრი ვაჟკაცი იყო. მუდამ ოქროქსოვილისა და ხატაურის ნაირფერადი ტანისამოსის ჩაცმა უყვარდა, რადგანაც **ქალების დიდი მოყვარული იყო. მისი იჩ-აღები არ შეიძლებოდა, რომ ახალგაზრდები ყოფილიყვნენ და ყველანი ოცდაათწლიანი, ღონიერი ვაჟკაცები იყვნენ.** ამ სკუტარის ველზე იჩ-ღულამებს (საშინაო მონა, რ.ს.) ასი ყურუში უბოძა და საჭურველმტვირთველსა და ჩოხადარსაც (სულთნის ტანსაცმლის გამგებელი, რ.ს.) ერთი ქისა“ (**ევლია ჩელების** მოგზაურობის წიგნი. თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა **გიორგი ფუთურიძემ.** თბილისი, 1973 წ. გვ. 437).

ამ ხატოვან დახასიათებას კომენტარი არ სჭირდება. მხოლოდ ერთს დავამატებ. მურთაზ ბაღდათელის თვისებებიდან ავტორი ხაზს უსვამს **ზნეობრივ მხარეს**. იმ დროინდელ ოსმალეთში ახალგაზრდა იჩ-აღასთან (შინამოსამსახურე, რ.ს.) მათი პატრონები არაიშვიათად ამორალურ საქციელს (მამათმავლობა) სჩადიოდნენ. ევლია ჩელები ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მურთაზა ფაშა ქალების მოყვარული იყო და მის ახლომახლო ახალგაზრდა იჩ-აღა ვერ გაჭაჭანდებოდა, ყველანი 30 წელს გადაცილებულნი იყვნენო.

ევლია ჩელების ჩანაწერებში ნათქვამია აგრეთვე, რომ მურთაზა-ფაშასთან ერთად ოსმალეთში მისი ძმა თემრესტ-ბეიც (თეიმურაზი) ყოფილა. ავტორი კერძოდ საუბრობს რუმის სახანოში მდებარე დუმბულის ციხეში თეიმურაზის და მისი მეგობრების თავშეფარების, მათი დატყვევების და იქედან დახსნის ისტორიაზე (მურად ქასაბი. გვ. 116). სხვა ამ პიროვნების შესახებ არაფერი ვიცით.

ჩვენთვის ცნობილია მურთაზ ბაღდათელის ბოლო დიდი თანამდებობა — დიარბექირის ვალი, რომელსაც 1658 წელს ასრულებდა. ამის შემდეგ სულთნის სასახლეში მას სხვადასხვა თანამდებობებზე ვხედავთ, მაგრამ როდის იყო, რამდენ ხანს დარჩა და როდის გარდაიცვალა, უცნობია.

რაც შეეხება მისი დაბადების თარიღს, შეიძლება დავადგინოთ **ევლია ჩელების** ჩანაწერებით, რომ აღმზრდელის **მეჰმედ ფაშის** სიკვდილის დროს, 1625 წელს მურთაზი 23 წლისა იყო, ე. ი. დაბადებულია 1602 წელს.

მურთაზ ბაღდათელის მეუღლის ვინაობა უცნობია. ჰყოლია სამი შვილი, რომლებიც მამის სიცოცხლეში გარდაცვლილან. ერთერთი მათგანი, **ხატიჯე ხანუმი** ქ. დიარბექირში, მისთვის გაკეთებულ აკლდამაში დაუკრძალავთ. საფლავს ჰქონია ასეთი წარწერა: „იბნი ჰალიდის აკლდამა (მურთაზა ფაშას ქალიშვილი) ხატიჯე ჰანიმის სახლი გახდა. ვინც წაიკითხავს ფატიჰას, მისთვის წყალობას მიიღებს. 1068 (1657 წ.)

ასეთია ისტორია ქართველი ფაშის მურთაზა ბაღდათელისა, რომელმაც დიდი ეროვნული გმირის და ორმოცი ქართველის ვერაგული მკვლელობის გამო, ჩვენს ჩაურევლად შური გვაძიებინა.



გიორგი სარაჯიშვილი
მეცნიერების ისტორიკოსი

ქეთევან დედოფლის დაბადების თარიღისათვის

ეძღვნება ჩემს დედას – ქსენია ჭელიძე-სარაჯიშვილისას,
დაბადებიდან 100 წლის შესრულების გამო.

სადიდებელ-სავედრებელი, ქეთევან დედოფლისა: დიდებულებაი საწუთროისა მიძულე, დედოფალსა ცათა და ქვეყანისასა ეზიარე, დედოფალო ქეთევან, ხორცნი მოიწვენ სიძისა შენისა ქრისტესათვის, მას ევედრე, ჩვენ მონათა შენთა, ქართველთათვის

(ლოცვანი. ახალციხე. 1995. გვ. 252).

„ამას იქმს ქალი, ბუნებით ჭირთა მკრთალი“.
/ანტონ I. წიგნი მარტირიკა. თბ. 1980. გვ. 12/
„ქვეყნად იდიდა ღვაწლითა, ზეცად აღვიდა ქებითა“ (გვ. 90).
„ცა განაკვირნა, ქვეყანა განაკრთო მისმა თმენამან“ (გვ. 90.),
„შენ ხარ მადიდებელი ყოველთა შენ განმადიდებთა“ (გვ. 89).
/დ. ბაგრატიონი. დიმიტრიანი წამება ქეთევან დედოფლისა. თბ.1978.გვ. 79,92/.

ქეთევან დედოფლის ბიოგრაფიაში (ქ.ს.ე. ტ,10, 1986, გვ.498) დაბადების თარიღი გამოტოვებულია, რადგან საისტორიო თუ ლიტერატურული წყაროების მიხედვით დადგენილი არ იყო.

ლევან მეფის ძემ, კახეთის მეფემ (1574–1605) ალექსანდრე II-მ (1527–1605), „ბაგრატოვანთა მეფედ შთამომავალთა თავადის აშოთან მუხრან ბატონის ასული, სოფ. მუხრანში დაბადებული 1587 წელს“ (ალ. სავანელი. ცხოვრება ქეთევან დედოფლისა. ჟ. ცისკარი. 1857, 12, გვ.36), 14 წლის ქეთევანი შეაუღლა ურუსს შვილს (ქ.ს.ე. ტ. 10. 1976. გვ. 498) დავით I-ს (გ.21X.1602) კახეთის მეფეს (1601–02) (ქ.ს.ე. ტ. 3.1978, გვ.332), დავითის „ძალით მიტაცებულმა მეფობამ დაჰყო არა დიდხანს, მეფობდა იგი არა ექვსი თვე“. ორი წლის შემდეგ 1589 (გ.ს.) შეძენილი შვილი კახეთის მეფე (1606–48), ქართ-კახეთის მეფე (1625–32) თეიმურაზ I-ლი (1589–1663) შაჰ-აბასთან იზრდებოდა, როცა მისმა ბიძამ, მეფე ალექსანდრე II-ის გამაჰმადიანებულმა შვილმა კონსტანტინე I-მა (დაახლ. 1566–X. 1605), რომელიც ასევე ბავშვობიდან იზრდებოდა ირანში, შაჰ–აბასის დავალებით და სპარსელების დახმარებით მოკლა: მამა – ალექსანდრე II, ძმა გიორგი, რამდენიმე კახელი დარბაისელი, „არხიეპისკოპოზი რუსთველი, რომელიც ექადოდა მას საუკუნო შეჩვენებითა მამის სიკვდილისა და სხვა ბოროტ მოქმედებისათვის მისისა“ (ალ. სავანელი გვ.36) და თავი მეფედ გამოაცხადა. „ხალხმა იგი მეფედ არ მიიღო, კახელებმა აჯანყდნენ და 1605 წელს თავი მოკვეთეს (ქ.ს.ე. ტ. 5, 1980, გვ. 612), აჯანყების სათავეში კახელებმა ქეთევან დედოფალი ჩაიყენეს, მაშინ დედოფალი „31 წლის იყო, როცა მიიღო კახეთის მფლობელობა“ (ალ. სავანელი). „ესრეთმა ქცევამ ქეთევანისამან, რომლითაც მიიღო მფლობელობა კახეთისა“, „შაჰმა სასწრაფოდ გამოუგზავნა ქვრივ დედას – ქეთევანს თეიმურაზი გასამეფებლად“ (დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნო-

ბები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტბ. 1977,გვ,74), თეიმურაზი გამეფდა 16 წლის ასაკში (1606) (ქ.ს.ე. ტ.4, 1979, გვ. 64) და გახდა გვირგვინოსანი მეფე ბოდბის ეკლესიაში.

თვრამეტი წლის ასაკში 1607(8) წელს თეიმურაზი დააქორწინეს მამია გურიელის ასულ ანაზე. შეეძინათ შვილები: ლევანი და ალექსანდრე. დედოფალი ანა გარდაიცვალა 1610 წელს. 1612 წელს თეიმურაზ მეფეს მეორედ შერთეს ქართლის მეფის ლუარსაბ II-ის უფროსი და თამარი (ხორეშანი, ვარდისფერა), უმცროსი და თინათინი კი ჰყავდა ცოლად შა-აბას. თეიმურაზ მეფე და ირანის შაჰი ქვისლები გახდნენ. „სანამ თამარს დედოფლად მოიყვანდა თეიმურაზი, შაჰ-აბასმა წინასწარ გააფრთხილა, მეორე და არ შეერთო, რადგან თამარიც მე მეკუთვნისო, მაგრამ ქართლის მესვეურებმა შაჰ-აბასის საწინააღმდეგოდ ურჩიეს ქვრივ თეიმურაზს თამარის შერთვა. შაჰ–აბასს გადაწყვეტილი ჰქონდა ლუარსაბის დაღუპვით ქართლის ტახტის კანონიერი მემკვიდრე გამხდარიყო, როცა ლუარსაბის მეორე დასაც მოიყვანდა ცოლად. თეიმურაზ მეფე ადრევე მიუხვდა ირანის მბრძანებელს ვერაგულ ზრახვებს. თავის კახელ მეომრებზე დაიმედებულმა, შაჰის მუქარას სათანადო ანგარიში არ გაუწია. მაგრამ სწორედ კახელებმა არ ინდომეს შაჰ–აბასთან შებმა და თეიმურაზიც ცოლშვილიანად იძულებული გახდა თავი გაერიდებინა სიძესთან იმერეთში... ა. ლამბერტი, ჯუდიჩე, პიეტრო დელა ვალე, დე კასტელი და სხვა ავტორები თეიმურაზ მეფის წინააღმდეგ შაჰ-აბასის

განრისხების მიზეზად ერთხმად ასახელებენ თამარს, რომლის სილამაზეს შაჰ-აბასი სიყვარულით გაეხელებია. თამარი გამხდარა ქართლ-კახეთის დაქცევა-განადგურების მიზეზი“. ზემოთ აღნიშნული უცხო ავტორები „თამარს მეორე ელენედ გვისახავენ“ (დე კასტელი გვ. 74).

ისტორიული წყაროები კი საგარეო პოლიტიკაში, თეიმურაზ მეფეს რუსეთის ორიენტაციის მომხრეთ ასახელებს და მის შაჰ–აბასთან დაპირისპირებას ამით ხსნიან. მოსკოვში დახმარების სათხოვნელად თეიმურაზის მიერ არაერთხელ გაგზავნილმა ელჩობამ (1615, 1616, 1624, 1635 და 1649) შედეგი ვერ გამოიღო. 1626 წელს თეიმურაზ მეფემ დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან პოლიტიკური კავშირის დასამყარებლად გაგზავნა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (ნიკიფორე ირბახი). თეიმურაზი დახმარებას სთხოვდა ოსმალეთსაც, მაგრამ უშედეგოდ. 1658 წელს კი თვითონ გაემგზავრა რუსეთში სამხედრო დახმარების სათხოვნელად, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. სპარსეთის აგრესიის წინააღმდეგ შეუპოვრად მებრძოლი მეფე-პოეტი ზედმიწევნით ფლობდა სპარსულ ენას (ქ.ს.ე. ტ. 4, 1979, გვ.641–42). იგი ნახევარი საუკუნე ებრძოდა ირანელების ბატონობას საქართველოში, რითაც კახეთს დამოუკიდებელი არსებობა შეუნარჩუნა. ერის ინტერესები პირად ბედნიერებაზე მაღლა დააყენა. 74 წელს მიღწეულმა სიცოცხლე ასტრაბადის ციხეში, პატიმრობაში დაამთავრა.

აღმოსავლეთში, სისასტიკით ცნობილი, ცბიერი შაჰ მუჰამად ხუდაბანდას ძე შაჰ-აბას დიდად წოდებული, შაჰ-აბას I-ლი დაიბადა 1571 წლის 27 იანვარს, 58 წლის ასაკში მოკლეს 1629 წლის 19 იანვარს. 16 წლის ასაკში, ტახტზე ავიდა 1587 წელს. იმეფა 42 წელი. იგი სამჯერ შემოესია საქართველოს: 1614, 1616, 1617 წლებში, კახეთის ქრისტიანული სამეფოების ყიზილ-ბაშურ-მაჰმადიანურ სახანოებად გადაქცევის მიზნით. 1612 წელს შეუდგა ლაშქრობის სამზადისს, რადგან ქართლ-კახეთის ვასალობა აღარ აკმაყოფილებდა. 1613 წლის 16 ოქტომბერს ირანის დიდი ლაშქარი ისპაანიდან საქართველოსკენ დაიძრა. შაჰმა ოსმალეთის სულთანს აცნობა, რომ ქართლ-კახეთის დასჯა ჰქონდა განზრახული. იგი კახეთზე ორი მხრიდან წამოვიდა 1614 წელს, მარტის თვეში. ისწრაფოდა ხელთ ეგდო კახეთის სამეფო (ქ.ს.ე. ტ. 1, 1975, გვ. 14).

შაჰმა თეიმურაზს ერთგულების ნიშნად მძევლები მოსთხოვა. თეიმურაზმა მძევლებად 1613–14 წლებში გაუგზავნა დედა ქეთევან დედოფალი და მცირეწლოვანი ვაჟები – ლევანი და ალექსანდრე. შაჰმა თეიმურაზიც იხმო. თეიმურაზი არ ეახლა (აბას I-ის ლაშქრობანი საქართველოში) (ქ.ს.ე. ტ.1, თბ. 1975, გვ 16). აბას I-ლი ქეთევან დედოალზე 2 წლით უფროსი იყო, ხოლო თეიმურაზ I-ზე კი 18 წლით.

ქეთევან დედოფალმა 10 წელი დაჰყო სპარსეთში. შირაზში გაიგზავნა საპყრობილეში. შაჰმა „მიუწერა ბეგლარ-ბეგსა, რათა გაამაჰმადიანოს დედა თეიმურაზისა ქეთევან დედოფალი, და უკეთუ არა ჰყოს გმობა ქრისტესი, მოჰკლას ტანჯვითა“ (ვახუშტი. ქართლის ცხოვრება. გვ. 401), ხოლო მოიყვანა ძენი თეიმურაზისანი ისპაანს და გამოასაჭურისნა ქს ჩქკ (1620) ქრ ტ-Ჩ. ალექსანდრე მოკუდა მით ხოლო ლევან იქმნა ხელ (ვ:ჯელ) და ვიდოდა უპატიოდ, შემდგომად მოკუდა იგიცა“ (ვახუშტი. გვ. 401). ალ. სავანელის მიხედვით: „ძეთათვის მეფისა ბრძანა დასაჭურისება 1620 წელს. ერთი მათგანი აღსრულდა მაშინვე, ხოლო მეორე შემდეგ სამისა წლისა“.

ქეთევან დედოფლის გარეგნობის შესახებ ცნობას იძლევა წმ. ავგუსტინეს ორდენის მონასტრის ბერი, დედოფლის თვითმხილველი მამა ამბროზიო დუშ ანჟუაში, ვინც დაწერა: ნამდვილი ცნობები უბრწყინვალესი ქეთევან დედოფლის მოწამეობრივი სიკვდილის შესახებს სპარსეთის სამეფო დედაქალაქ შირაზში შაჰ-აბასის ბრძანებით, 1624 წლის 22 სექტემბერს“. „ეს ღვთისმოსავი ქალბატონი ტანდაბალი გახლდათ, დაახლოებით 40 წლისა იქნებოდა, ხელთ მლოცველის კვერთხი ეპყრა. შავად მოსილი, თავ–კისერსაც მოშავო პირბადით იფარავდა. პირმშვენიერი და დარბაისელი, არა მხოლოდ ერთი სამეფოს, არამედ მთელი იმპერიის მბრძანებლობის ღირსი იყო, უმწიკლო და სასიამოვნო პიროვნება განსაკუთრებულ სიხარულს ჰგვრიდა მხილველთ. მისი ლამაზი, დიდი შავი თვალები ირეკლავდნენ ყოველივეს, რაც მის სულში ხდებოდა, ვინაიდან ღვთის მსახურთა სულში დაბუდებულ ღვთიური მადლი სახეზედაც გამოაშუქებს ხოლმე“.

ქართული საისტორიო და ლიტერატურული ძეგლი, სადაც დედოფლის დაბადების თარიღი არის მოყვანილი, ერთადერთია ქართული სალიტერატურო ჟურნალი – „ცისკარი“, – რომლის 1857 წლის დეკემბრის ნომერში დაბეჭდილია ალექსანდრე სავანელის – „ცხოვრება ქეთევან დედოფლისა“, სადაც დაბადების თარიღად აღნიშნულია – 1573 წელი.

დედოფლის გარეგნული შეფასების დროს ანჟუშის მიერ წლოვანებაზე ნათქვამი: „დაახლოებით 40 წლის იქნებოდა“-ო, იმის მანიშნებელია, რომ წამების დროს, „ტანდაბალი ქალბატონი“, 11 წლით ახალგაზრდათ გამოიყურებოდა.

40 წლიანი წლოვანება დღემდე შემორჩა და დამკვიდრდა ლიტერატურაში, დედოფლის ულმობელი წამების თარიღმა დაჩრდილა დაბადების თარიღი. ამიტომ ყურადღებიდან გამორჩათ დაბადების თარიღის აღნიშვნა.

1914 წლის 27 აგვისტოს, გაზეთ

„სახალხო ფურცლის“, 73 ნომრის მესამე გვერდზე, ცნობაში – „ქალაქი ნამიური“, ტაძრის სურათთან ერთად წერია: „გერმანელებმა აიღეს ბელგიელთა ციხე-სიმაგრე ნამიური. აქ ადგილობრივ კათოლიკეთა ტაძარში **საუცხოვო აკლდამაში ასვენია წმ. ნაწილები ქეთევან წამებულისა.** როგორც ვიცით ქეთევან წამებული სპარსეთში აწამეს და აჰკუწეს. ამ დროს თურმე აქ იყვნენ იეზუიტები – მქადაგებელნი. მათ გამოსთხოვეს წმ. ნაწილები სპარსელებს და წაასვენეს ბელგიაში, სადაც დაასვენეს ნამიურში და **საუცხოვო მავზოლეი** აუგეს შიგ ტაძარში“.

2001 წლის გაზეთ „მრევლის“, ნომერ 8-ში, ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიის წინამძღვრის გიორგი რაზმაძის პუბლიკაციაში: „ამიტომ მოგვეფარა თვალს ეს უდიდესი სიწმინდე“, მოყოლილია მამა გიორგის და ბატონ დავით ქორიძის სპეციალური ვიზიტის შესახებ, ბელგიის ქალაქ ნამიურში წმ. ქეთევან წამებულის წმ. ნაწილების მოსანახულებლად და ახალი მასალების მოპოვების მიზნით. მათ ბრიუსელში, ბოლანდისტების მთავარ ცენტრის არქივში მიაკვლიეს ორ საარქივო მასალას. ერთ-ერთი მასალის ქსეროასლის გაზეთში გამოქვეყნებამ მიიქცია ჩვენი ყურადღება, სადაც წმ. ქეთევან დედოფლის დაბადების თარიღია აღნიშნული: „მარტ* 1573“, წამების თარიღთან ერთად. დაბადების თარიღი იგივეა, რაც ალ. სავანელის პუბლიკაციაშია მოცემული – 1573 წელი, იმ განსხვავებით, რომ აქ დაბადების თვეა მინიშნებული, ხოლო თვის რიცხვი ვარსკვლავითაა აღნიშნული, ანუ გამოტოვებულია.

გამოქვეყნებული წერილის გამო, ვესტუმრეთ მამა გიორგის ავჭალის წმ. ქეთევან დედოფლის ეკლესიაში. საუბრისას უთხარით მამა გიორგის, რომ მათ მიერ მოძიებული მასალა შეიცავდა ქეთევან დედოფლის დაბადების თარიღის აღმოჩენას.

2004 წლის 12 ოქტომბრის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ ნომერ 32-ში, წმინდა დიდმოწამე დედოფლის ქეთევანის ხსენების დღისადმი მიძღვნილი პუბლიკაცია გამოვაქვეყნეთ სათაურით: „ჭეშმარიტი მაგალითი შთამომავალთათვის“ ქეთევან დედოფლის ახლად შექმნილი წმ.ხატით, სადაც სათაურის ქვეშ ეწერა: „2003 წელს შესრულდა წმინდა ქეთე-

---

შენიშვნა. „თელავიდან გვაცნობებენ, რომ იქაურს სობოროში აღმოჩენილა ქეთევან დედოფლის სურათი იმდროინდელი, როდესაც ის განამზადეს სპარსეთში წასაყვანად სატანჯველად. ამბობენ, რომ ეს სურათი ერეკლე მეფეს შეუწირავს თელავის სობოროსათვის“.

(გაზ.„დროება.1879 წ. 209„10 ღვინობისთვე, გვ. 3).

* რაფიელ ისარლიშვილი აქვეყნებს ალ. ხახანაშვილის ნაშრომს „საქართველოს ისტორიას“, ფრანგულ ენაზე, სადაც მოთავსებულია წმ. ქეთევან წამებულის სურათი (ჟ. „მოგზაური“, 1901 წ. 6–7)

ვან დედოფლის დაბადებიდან 430 წელი“. წერილში რამდენიმე მანამდე უცნობი მასალაც გამოქვეყნდა. მოყვანილი თარიღები გამოანგარიშებული იქნა ჩვენს მიერ დადგენილი დედოფლის დაბადების თარიღის მიხედვით.

თეიმურაზის პოემა – „წამება ქეთევან დედოფლისა“ დაიწერა 1628 წელს, სადაც პოეტი წერს: „ჭეშმარიტი შენ ხარ, ვინცა ერთი რჯული გაათასე“, ხოლო 76-ე სტროფში ამბობს: „მათ აწამეს წმინდა ესე სეკდემბერსა ათორმეტსა, შვიდსა თვემდე მოგახსენებ სასწაულსა მეტის-მეტსა, საქართველო აღებულა წელსა ნაჭამი ათერთმეტსა, მარტში დარჩა მას მეუფეს ქრისტიანი ნათლის სვეტსა“. სტროფის პირველი სტრიქონი ეხება დედოფლის წამების დღის რიცხვს. სხვაობა ერთი დღეა, ანუ „13“-ის ნაცვლად წერია „12“-ტი. ზოგიერთ წყაროში სექტემბრის სხვა დღეებიც არის მოყვანილი. მაგ. ბელგიურ წყაროში წერია: „6; 12. 1624“, სხვა წყაროებში კი – „13 სექტემბერი, ძვ. სტილთ; მეორე სტროფი ეხება დროს, რომელიც გავიდა მას შემდეგ, რაც ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები: თავი, მარჯვენა ხელი და რაოდენიმე შედედებული სისხლი, 1628 წლის 1 ივნისს კათოლიკურმა მისიონერებმა საქართველოში მოაბრძანეს. ივნისი არის მეშვიდე თვე. შვიდი თვის შემდეგ პოემა უნდა დაწერილიყო (1628), ივნისის თვეში სამშობლო მიწამ ჩაიკრა წმ. დედოფალი თავის გაუმაძღარ გულში.

მესამე სტროფი მეოთხესთან მჭიდრო კავშირშია. რიცხვი „11“-ტი შეიძლება დედოფლის დაბადების დღეს აღნიშნავდეს, ან მძევლად აყვანის დღეს ეხებოდეს, ვინაიდან მარტის თვე, სხვადასხვა წლებში, დედოფლის დაბადების თვეა (1573 წლის მარტი) თეიმურაზის მხრიდან სტროფებში, განსაკუთრებული აქცენტი ეთმობა დედოფლის ქრისტიანობასთან კავშირს. ქალიშვილობაში მარიამად მონათლულ დედოფალს სპარსეთში წასვლის წინ ულოცია გურჯანის ყველაწმინდის ტაძარში. ბიოგრაფიის მიხედვით: „ მთელი კახეთი ლოცავს და აკურთხევს სახელსა მისსა... მტკიცედ და შეურყევლად დაცვისათვის ქრისტეს სარწმუნოებისა“. მეფე-პოეტის მიერ ქრისტიანობა ქრისტიანულ კონტექსტში, მხატვრულად მოხსენიება გვაფიქრებინებს, რომ რიცხვი „ათერთმეტი“, დედოფლის დაბადების თარიღს უნდა აღნიშნავდეს და არა ტყვედ წაყვანის თარიღს.

ქეთევან დედოფლის ბიოგრაფია მიხედვით: „შაჰ-აბას მძვინვარებდა, სახიერი ქრისტე დასტკბებოდა: ტანჯვანი ძნიადობდეს, მოსაგებელი ძვირფასობდა... მან მისცა სულითვისა უფალსა ჩქდ-სა წელსა, სეკდემბერსა ივ-სა. ზეცისა ძალთა განიხარეს, ოდეს წარსდგა წმიდა დედოფალი წინაშე მეუფისა საყდრისა ამა ახლითა

გვირგვინითა, ვიდრე დაბინდებადმდე წმიდა გვამი ქეთევან მოწამისა, სისხლით შესვრილი, ედვა შუა მოედანზედ და ვერავინ ჰბედავდა მიახლოებისა, მტანჯველთა შიშის გამო, თუმცა გარემოს წმიდისა მრავალნი ჰსტიროდნენ. გარნმა უფალმან ადიდა გვამი მისთვის ვნებულის დედოფლისა: მწუხრიდგან განთიადადმდე ადგა მას ბრწყინვალე ნათელი, რომელმაც განანათლა გულნიცა მრავალთა ურწმუნოთა. ამათ ახალთა მორწმუნეთა უშიშრად იცხეს დედოფლის სისხლი ქრისტესთვის დათხეული, და დაფლეს გვამი მისი მცირესა ეკლესიასა შინა, სადაც ემარხენ ორნი მხევალნი წმიდისანი, ტყვეობაში გარდაცვლილნი. დედოფლის მოწამეობამ განაკვირვეს თვით უცხოს სარწმუნოების კაცნიცა. ლათინთა მღუდელთა, რომელნიც ამჟამად ჰსცხოვრებდნენ შირაზში, წარმართთა მოსაქცევად. დაფარვით გამოიტანეს ეკლესიიდგან გვამი მოწამისა და დიდის პატივით დაასვენეს თავიანთ სასახლის ეკლესიის ტრაპეზისა ზედა. ამიერიდგან მორწმუნენი მიიღებდნენ მრავალთა კურნებათა ნაწილთა მისთაგან და თვით ადგილისაგანაცა, სადაც აწამეს ქრისტეს მოწამე. ავგუსტინელმა პატრებმა დახატეს დედოფლის ხატი და მათ ჰქონდათ თავიანთ ტაძარში“ (გაზ. თბილისის უნივერსიტეტი. 2004. 12 ოქტომბერ 32)

ქეთევან დედოფლის ცხოვრების ღერძი. მონიშნული წერტილები შეესაბამება ისტორიულ და ლიტერატურულ ძეგლებში აღნიშნულ თარიღებს



ე.ი. 14წ.+2წ.+16წ.+9წ.=51 წ.
ამრიგად, ქეთევან დედოფალი მიიცვალა
51 წლის ასაკში.

უფროსი ლევანი, უმცროსი ალექსანდრე
დაასაჭურისეს(1620), ლევანი მაშინვე
გარდაიცვალა, ხოლო ალექსანდრე 2
წლის (1623)შემდეგ.

და ბოლოს, ქეთევან დედოფალი: დაიბადა 1573 წლის 11 მარტს; 14 წლისა გათხოვდა 1587 წელს; 2 წლის შემდეგ, 1589 წელს შეეძინა ვაჟიშვილი თეიმურაზი. 16 წლის თეიმურაზ I ტახტზე ავიდა 1605 წელს; თეიმურაზის ტახტზე ასვლიდან, 9 წლის შემდეგ, 1614 წლის მარტის თვეში ტყვედ წაიყვანეს, შვილიშვილებთან: ლევანთან (უფროსი) და ალექსანდრესთან (უმცროსი) ერთად ქეთევან დედოფალი; 6 წლის შემდეგ, 1620 წელს ლევანი და ალექსანდრე დაასაჭურისეს. ლევანი მაშინვე გარდაიცვალა, ხოლო ალექსანდრე 3 წლის შემდეგ, 1623 წელს; ქეთევან დედოფალი ტყვეობაში წაყვანიდან 10 წლის შემდეგ, 1624 წლის 13 სექტემბერს (ძვ.ს.) აწამეს. აღნიშნული წლების შეკრებით: 14 წ. + 2 წ. + 16 წ. + 9 წ. + 10 წ. = 51 წ. მიიღება, რომ ქეთევან დედოფალი მიიცვალა 51 წლის ასაკში და არა 40 წლის ასაკში, როგორც მამა ამბროზიო დუშ ანჟუშს უწერია.

მოყვანილი თარიღების მიხედვით ქეთევან დედოფალი დაბადებულა 1573 წლის 11 მარტს. მართლმადიდებელი სარწმუნოებისა და სამშობლოს სიყვარულისათვის, 51 წლის ასაკში, წამებით აღესრულა 1624 წლის 13 სექტემბერს (ძვ.ს.).

კითხვას ვინ უწოდა ქეთევან დედოფალს – წამებული? დე კასტელი პასუხობს: „თუმცა თეოლოგიის თვალსაზრისით სქიზმატიკოსების ხსნა ძნელია, მაგრამ, როცა გარდაიცვალა ეს ბატონიშვილი ქალი, რომელიც იცავდა სარწმუნოებას, შეიძლება გაბედულად ითქვას, რომ მან თავისი სული იხსნა. პაპმა ურბანო VIII-მ თეიმურაზს, ქეთევანის შვილს მოსწერა წერილი, რომელშიაც ქალბატონს უწოდა – წამებული (დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. თბ. 1977, გვ. 189).

წმიდის მოწამის ქეთევან დედოფლისაგან ანბანთ ქება.

ნაბრძანები ოდეს უსჯულომან შაჰ-აბას პირველმა შირაზს პყრობილად წარგზავნა: მუნ პყრობაში მწუხარემან სთქვა:

ან ამას ვსტირი, ***ბან*** ბნელსა მჯდომი
გან გულთა მდუღრად ***დონ*** დადაგული
ენ ესრედ ვება ***ვინ*** ვის მოება
ზენ ზედი-ზედა ***ცვე*** დართული!
თან თვალნი ჩემნი ***ინ*** ისრევირწყვის,
კან კმარის მისგან ***ლას*** ლამებული.
მან მილად მოდის ***ნარ*** – ნაკადულად,
ონ ოდეს ნახონ ***პარ*** პკურებული.
ჟან ჟამნი ჩემნი გამოვიწვლილე,
რაე როდისმე ***სან*** სული მეყოს?
ტარ ტყება ვიწყე ***უნ*** უთვალავნი,
ფარ ფლობა მიჯობს ესრე რომ მეყოს.
ქან ქცევა სოფელს, ერთს წამს საყოფელს,
ღან ღიმილიცა გარდაიმეყოს;
ყარ ყველას ღმერთი თვით განმიმარტებს,
შინ შიშითა მისთა ხელი მიმეყოს.
ჩინ ჩამომება ***სვე*** უბედური,
ცან ცრემლის დენა ***ძილ*** ძნელად შრება;

წილ წყარო თვალთა ***ჭარ*** ჭმუნვით მყოფთა
ხან ხარბად დენით გარდმოჩქერება
კარ კორცნი ღაწვთა ***ჯარ*** ჯავრმან დაწვნა,
წარხდეს ელვათა შვენიერება.
ჰაი ჰაი მომშორდა ლხინი და შვება,
ჰᲣ ჰᲣ წამიხდა სახიერება!

„ეს ლექსი გადმოწერილია დავით რექტორის ნაწერიდან, რომელიც თეიმურაზ პირველის ლექსს „ქეთევანი წამებას“ უკეთებს ამ შენიშვნას: წამება ქეთევან დედოფლისა სპარსეთის ხელმწიფის შაჰ–აბას უღმრთოსაგან ქალაქსა შირაზს, თვესა სექტემბერსა ცამეტსა, წელსა 1624 ქრონიკოსა ქართულსა ზედა 312. ესე ქეთევან იყო დედოფალი კახეთისა, მეუღლე კახეთის მეფის დავითისა, ასული აშოთან მუხრან-ბატონის და დედა კახთა მეფის თეიმურაზ პირველისა. ამან, თეიმურაზ, ძემან მისმან წამება და ღვაწლი დედისა თვისისა დალექსა“. (გაზ. დროება. 1882, 1 დეკემბერი, №251, გვ.1).

ქეთევან დედოფლის წამებაზე საბა ორბელიანის თქმული:

დედოფალი ვით შეამკეს მათ უღმრთოთა სჯულისა მტერთა;
სტანთა* ნაცვლად დაუფენდეს მიწათა და ცუდთა მტვერთა;
სამ კუთხს ლურსმანს ქვეშ უგებდნენ ვითა ორხუვა, ვითა ტერთა*,
ხან სცემდეს და ხან შეჰკვრიდენ, ვითა ხელსა და ტეტერთა*.
მოჰკაზმადენ შვენიერად შეუქმოდენ ფისსა ზილფად*
ცხელს შამურსა ქინძისთავად, საოლავად* გინდა სკიფად*
ტანჯვას სარკედ, ცემას მარგედ, ნაცარს სურმად, გაზსა ჩქიფად,
აგურს საპნად უხვემდიან, განსაწმედლად კოხსა ლიფად.
ცხელსა ქვაბსა თავს გვირგვინად, საყურებად ნაკვერცხალსა,
ყამჩად ბარსა, საყბეურად მხურვალესა ნალსა ახალსა,
საჯს*ამბარჩად* ყელსაბამად მწარეს თოკსა ვითა მხალსა,
ქამრად ჯაჭვსა მოუჭერდენ, შანთს დასმიდენ ვითა ხალსა!

(გაზ. დროება. 1882, 1 დეკემბერი, 251, გვ. 1).

ქეთევან დედოფალს

ეთეროვნისა სპერასა განსმენილი,
მზის – ქვეშ მნათი, მეორე მზე ქართველი,
ყოველთ მაარსიისა, დედისა თვისებითა,
ცხებულთაგანი, ცხებულთა დედოფალი,
მწველთა სიავთა, გერგენად საჯთ იწავლებს.
ზედ – სადგარს ცხელთა, იფაღულ-მანიაკებს,
შიშვლივ შამფურთა, მხურვალეთა იკოწლებს,
ბარებსა ამ ბარჩად, ცხელთა ჟაჭვითა ისარტყლებს,
მუსმართ ილებებს, გორვებით ისაბანებს,
დიდი ეთევან, მტვერს ჰყრის, ეტრფის სიძესა.

ქალაქ შირაზში, სადაც წამებული იქნა და აღსრულებული ტანჯვითა და მაღლის სათნოების კრძალულებით და სიყვარულით ქრისტეს სარწმუნოებისადმი 1624 წ. 13 სექტემბერს. მის ხსენებას... მისი სურათი მოიპოვება სიონის ტაძრის კედელზე, მისი ცხოვრებიდან დრამა დაწერა ალ. ყაზბეგმა და დაბეჭდილია 1882 წლის „ივერიაში“ (ჟ. მწყემსი. 1885. №24 გვ. 7–9).

„ჩემის ჰაზრით, ღირსება ლიტერატურისა აღიწონების და დაფასდების არა რაოდენობითა წიგნთათა, არამედ ვითარებითა მათითა“
პლ. იოსელიანი

---

*ტეტერი – ტუტუცი;
*ზილფი – კავები;
*საოლავი – ხურმა;
*სკიფი – კბილის საწმენდი იარაღი;
*საჯი – ტაფა;
*ამბარჩა – ყელზე ჩამოსაკიდებელი სამკაული.

ქართველნო ერთად ღვთისკენ!

ოდითგანვე ჩვენში სარწმუნოება ის საძირკველი იყო, რომელსაც როგორც ცალკეულ ადამიანთა, ისე მთელი ერის სულიერი წყობა, ამქვეყნიური ცხოვრების წესი და რაგვარობა ეყრდნობოდა.

დღეს, ვუყურებთ რა ჩვენი ქვეყნის ორიათასწლოვანი ქრისტიანული ცხოვრების წარსულს, ჩვენს თვითმყოფად ქრისტიანულ კულტურასა და ტრადიციებს, გვჯერა, რომ ამ გზას უნდა მივყვეთ კვლავაც, გზას წინაპართა მიერ გაკვალულსა და ღვთისგან კურთხეულს.

ჩვენი სარწმუნო და უტყუარი ორიენტირი რწმენაზე დამყარებული ცოდნა, თავდადებული შრომა, ღვთის მფარველობა და შემწეობაა. ჩვენც წმიდა დავით წინასწარმეტყველის მსგავსად უნდა მივმართოთ უფალს: „არა მშვილდსა ჩემსა ვესავ, არცა მახვილმან ჩემმან მაცხოვნოს მე, რამეთუ შენ მაცხოვნენ ჩვენ მაჭირვებელთა ჩვენთაგან და მოძულეთა ჩვენთა არცხვინე“ (ფს.43. მ.7–8).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მართლმადიდებლური ცხოვრების წესის დანერგვა, ზრუნვა ჭეშმარიტი ცოდნის, სიკეთის, სიყვარულის, მიმტევებლობის, ურთიერთთანადგომის, ერთობის, ქრისტიანული ზნეობის განმტკიცებისათვის. ეს არის ქართველი ერის სულიერი სიწმინდის საფუძველი, ქართული ეროვნული ცნობიერების მრავალსაუკუნოვანი ბუნებრივი გზის გაგრძელება, ჩვენი ხსნა. ყოველივე ამის შესახებ, ასე გვმოძღვრავს წმიდა ილია მართალი: „წმიდა ნინოს მოციქულობით მოფენილმა და დამკვიდრებულმა ქრისტიანობამ გვიხსნა ჩვენ არამც თუ სულიერად, არამედ ხორციელადაც. იმ უდიდესმა მოძღვრებამ, რომელიც ქრისტე ღმერთმა მოუვლინა ქვეყანას

ხსნად და ცხონებად, თავისი ძლევამოსილი კალთა გადააფარა ჩვენში ჩვენს მამულს, ჩვენს ეროვნებას, ვითა ობოლი შეიკედლა, შთაუდგა გული რკინისა, გაუმძღვარა ჯვარი პატიოსანი და ძელი ჭეშმარიტებისა. და, აი, ათასხუთასი წელიწადია, ამ ძალღონით ქრისტიანობამ შეგვინახა ჩვენ ჩვენი მიწა–წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა, ჩვენი ეროვნება".

სხვაგან წმიდა ილია მართალი ამბობს: „ქრისტეს რჯული ქართველობისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალი ნაწილების გასაერთებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობასა ერისას მოასწავებდა". სწორედ ამიტომ, გულანთებული და სულმნათი ჩვენი წინაპრები ძალღონეს არ იშურებდნენ საქართველოს საკეთილდღეოდ. მათი გულისყური წმიდა წერილის იმ სიტყვებისაკენ იყო მიმართული, სადაც უფალი ბრძანებს: „თვინიერ ჩემსა არარაი ძალგიძს ყოფად არცა ერთი" (ინ.15. 5).

ქრისტიანული ეკლესიის მთელი ისტორია ერთი მთლიანი ბრძოლაა ჭეშმარიტების დასაცავად. აქტუალურია ეს ბრძოლა ჩვენს დროშიც. მიუხედავად მეცნიერულ–ტექნიკური პროგრესის არნახული მიღწევებისა, ადამიანი სულ უფრო შორდება ჭეშმარიტ სარწმუნოებას და მთლიანად მატერიალურობის სფეროშია ჩართული. დიდი სიფრთხილე გვმართებს, რადგან არნახული გაქანება მიიღო ოკულტური ინფორმაციის გავრცელებამ, „ტოტალიტარული სექტების" გააქტიურებამ. ნაირფეროვანია ამ რელიგიებისა და ცრუ სწავლებების გაცრცელების დრო და არეალი. ბოლო ჟამის შესახებ უფალი ბრძანებს: „ეკრძალენით, ნუუკუე ვინმე გაცთუნნეს თქუენ. რამეთუ მრავალნი მოვიდოდიან სახელითა ჩემითა და იტყოდიან, ვითარმედ: მე ვარ და მრავალთა აცდუნებდნენ" (მარკოზი 13. 5,6.). სწორედ ამიტომ დღეს, ისე როგორც არასდროს, ქართველმა ხალხმა მთელი გულისყური დედა ეკლესიის ხმას უნდა მიაპყროს. უდიდესი გულისხმიერებით ჩაწვდეს საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის, უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ილია II–ის ღვთივსულიერ სიტყვებს: „ქართველნო ერთად ღვთისკენ", და თუ ჩვენ ამ გზით ვივლით, უთუოდ გავიმარჯვებთ.

„მხნე იყავნ და განძლიერდინ გული თქვენი, ყოველნი რომელნი ესავთ უფალსა" (ფს. 30, 24).

ღმერთმა დალოცოს და მრავალჟამიერ ბედნიერი მომავალი მიჰმადლოს ქრისტესმოყვარე ქართველ ერს. ამინ!

იოანე ზაქარიაძე

გილოცავთ ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლის იუბილეს

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია უდიდესი მონაპოვარია ჩვენი ერისთვის, ქვეყნისთვის. ავტოკეფალიისთვის ბრძოლა წინ უსწრებდა და აგვირგვინებდა საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის ბრძოლას და აღადგენდა უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას = ავტოკეფალიას მოჰყვებოდა სახელმწიფოებრიობის აღდგენა. ავტოკეფალია საფუძველი იყო საქართველოს თავისუფლებისა. თავისუფალი ეკლესია = თავისუფალი ქვეყანა.

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ სამოციქულო ეკლესიის კანონიკური წესი (საეკლესიო სამართლებრივი ნორმა) = სამართლის წყარო უდავოდ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ საქართველოს ეკლესია ავტოკეფალური არის მოციქულთა დროიდან. ჩვენთან – საქართველოში იქადაგა ქრისტეს მოციქულმა, დაარსა ეკლესია, საქართველოს უძველესი ეკლესია სწორედ ავტოკეფალურია მოციქულთა დროიდან. ნიშნად იმისა

ავტოკეფალიის აღდგენის ასი წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო წირვაზე სვეტიცხოველში. სამახსოვრო ფოტო, 2017 წლის 25 მარტი.

რომ, მოციქულები როცა ქრისტიანობას ქადაგებდნენ სხვადასხვა ქვეყნებში, აარსებენ ეკლესიას, ეკლესია იმავე დროიდან იყო ავტოკეფალური. ასე იყო ანტიოქიის ეკლესიის დაარსების, იერუსალიმის ეკლესიის დაარსების შემთხვევაში. მოციქულმა იქადაგა, დაარსა ეკლესია, ეკლესია არის ავტოკეფალური. საქართველოს უძველესი სამოციქულო ეკლესია ამ დროიდან არის ავტოკეფალური. საქართველოს ეკლესია თვითმოწესე ეკლესია იყო და მას აღიარებდა აღმოსავლეთი. დიდი საეკლესიო მოღვაწე გიორგი მთაწმინდელი ბრძანებს: „საქართველოს (ეკლესიის) ავტოკეფალია არის მოციქულთა დროიდან". უდიდესი კანონმდებელი ვალსანოვი აცხადებს: „ეკლესიამ საქართველოში და კვიპროსშიც ნეტარი მამის – პეტრეს დროს მიიღო ავტოკეფალია (ილია II)".

„ქართველი ერის ცხოვრებაში არის განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი მოვლენები, ისტორიული თარიღები, რომლებიც აღემატებიან თავიანთ ზეისტორიულ თარიღებს". საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია V საუკუნიდან – მეფე ვახტანგ გორგასალის ზეობის ჟამს დადასტურდა. ღრმად მორწმუნე და ღვთისმოსავი წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალის დიდ ღვაწლით იერუსალიმელი პატრიარქის ლოცვა-კურთხევით პეტრე იქნა განჩინებული საქართველოს კათალიკოსად.

XI საუკუნის 50-იანი წლებიდან განისაზღვრა საქართველოს (ბაგრატ IV მეფობის დროს გაჩნდა „სახელწოდება – საქართველო", ერთიანი ქართული ქვეყნების აღმნიშვნელი გეოგრაფიული სახელი) ეკლესიის ადგილი მსოფლიო ეკლესიათა დიპტიხში. საქართველოს ეკლესია მე-5 ადგილზე იყო: კონსტანტინეპოლის, ანტიოქიის, ალექსანდრიის იერუსალიმის, საქართველოს. ეკლესიის მეთაურისთვის პატრიარქის წოდება XI საუკუნიდან დადასტურდა. წყალობა ღვთისა და მადლი დიდია ქართველ ერზე. ვახტანგ გორგასალმა ქართველ ერს ანდერძად დაუტოვა: „ეძიებდეთ სიკვდილს ქრისტესთვის". მადლობა დედა ღვთისმშობელს მის წილხვედრ ქვეყანაში (საქართველოში) ქრისტეს მოციქულების ანდრია პირველწოდებულის, სვიმონ



კანანელის, მატათას და მოციქულთა სწორის ნინოს (ქართველთა განმანათლებლის) წარმოგზავნისთვი. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დროიდან იწყება ტაძრების შენება, ქრისტიანული წიგნების წერა, ქართული კულტურის აღმავლობა, რომელიც შეიქმნა ქრისტიანობის ნიადაგზე ავტოკეფალიის შედეგად. ამ დროიდან იდენტური ცნებებია: ავტოკეფალია და თავისუფლება. ავტოკეფალია – ნიშნავს ეკლესიის თავისთავადობას, დამოუკიდებლობას, თავისუფლებას.

XII საუკუნის დიდი კანონმდებელი ბალსამონი აცხადებდა: „თავისთავადია იბერიის ეკლესია“. ქართულმა სამღვდელოებან საუკუნეების განმავლობაში შეინარჩუნა უძველესი ქართული ეკლესიის ავტოკეფალია და კათალიკოს-პატრიარქის ინსტიტუტი.

XIX საუკუნემდე (საქართველოს ეკლესიის) ავტოკეფალია ხელშეუხები იყო. 1801 წელს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I მა (რუსული იმპერიალისტურ–ავისმზრახველური უკულმართობით) გააუქმა საქართველოს სახელმწიფოებრიობა. საქართველო – თბილისისა და ქუთაისის გუბერნიად გამოაცხადა. ასევე შეუდგა საქართველოს დანარჩენი კუთხეების ოლქებად დაყოფას. 1803 წელს რუსული ცარიზმის მესვეურებმა იერიში მიიტანეს ქართული ეკლესიის დამუკიდებლობაზე. ანტონ II ის დროს საქართველოში 24 ეპარქია იყო. საქართველოს კათალიკოსი (ბაგრატიონთა შთამომავალი) ანტონ II რუსეთში გაიწვიეს. უნდოდათ ავტოკეფალიის გაუქმება. ცარისტული რუსეთი ქურდულათ ცდილობდა ქართული ეკლესია რუსეთის საპატრიარქოსთვის დაექვემდებარებინა. მთელი ათი წელი მოუნდა რუსული საიმპერატორო კარი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების განხორციელებას. 1811 წელს რუსეთის საიმპერატორო კარმა და რუსეთის სინოდმა მზაკვრულად, (ჩუმად) გააუქმა საქართველოს ავტოკეფალია და საქართველოს დაუნიშნა რუსი ეგზარხოსი. ეგზარხოსები დამამცირებლად ექცეოდნენ ქართველ მღვდელმთავრებს. ობერ-პროკურორის

ხელით ცდილობდა დამპყრობელი ერთიანი ქართული საპატრიარქო სისტემის განადგურებას. ძალის გამოყენებით აიკრძალა ქართულად წირვა-ლოცვის ჩატარება. დაიხურა ერეკლე II-ის დროს არსებული სასულიერო სემინარიები და აკადემია თბილისში, გორში, თელავში. გაუქმდა სამიტროპოლიტო კათედრა.

1819–20 წლებში ანტირუსული გამოსვლები ფაქტობრივად ქართულმა სამღვდელოებამ განახორციელა. რუსეთის იმპერატორს უგზავნიდნენ პეტიციას; მოთხოვნით ეცნო=ცნობად მიეღო საქართველოს ავტოკეფალია. იგი უხამსად პასუხობდა: ერთ (რუსულ) იმპერიაში ორი საპატრიარქოს არსებობა დაუშვებელია. (თუმცაღა ამის მაგალითი იცის მსოფლიო ისტორიამ ბიზანტიის იმპერიაში...) ქართველი ხალხი ვერ ეგუებოდა წირვა–ლოცვის რუსულად ჩატარებას. სამეგრელოს რეგიონის მოსახლეობა სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა ავისმზრახველებს. სამეგრელოში შესძლეს წირვა–ლოცვის ქართულად ჩატარების შენარჩუნება. მიტროპოლიტებმა: დოსითეოზ ქუთათელმა და ექვთიმე გელათელმა უწინამძღვრა ქართველ მრევლს რათა არ შეგუებოდნენ ავტოკეფალიის გაუქმებას. რუსული იმპერიული (ბოროტ მანქანებათა) ზრახვების წინააღმდეგ ქართული წარჩინებული საზოგადოება არც შემდგომში გაჩერებულა. ასე იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის მცდელობა – 1832 წლის შეთქმულება სოლომონ დოდაშვილის მეთავეობით, რომელიც სამწუხაროდ შინაგამცემლობით ჩაიშალა.

ქართული სამღვდელოება, მორწმუნე მრევლი, ქართული საზოგადოებრიობა არ შეგუებია იმპერიალისტურ ზრახვებს. სამართლიანი და შეუპოვარ ბრძოლა გრძელდებოდა მთელი 106 წლის მანძილზე. თაობები ემსხვერპლენ (როგორც სასულიერო ასევე საერო) საღვთისნიერო და ისტორიული კანანონზომიერების აღდგენას.

XIX საუკუნის 60-იან წლებიდა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ნაწილად იქცა ავტოკეფალიისთვის ბრძოლა. იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე, თერგდალეულები ილია მართალის (ჭავჭავაძის) მეთაურობით აქტიურად გამოდიოდნენე ეკლესიის უფლებების დასაცავად. ეპისკოპოსები: ლეონიდე (ოქროპირიძე), კირიონი (საძაგლიშვილი) აქტიურად იბრძოდნენ ავტოკეფალიის აღდგენისთვის. კირიონმა (საძაგლიშვილი) 1896 წელს მის მიერ გამოცემულ წიგნში („ნაზრევში ვოპროს“), რომელიც გამოიცა სანკტპეტერბურგის სასულიერო აკადემიაში წერს: საჭირო იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. კირიონმა და ლეონიდემ ნიკოლოზ დუნდუას მხარდაჭერით, რომელიც იმჟამად სანკტპეტერბურგში მოღვაწეობდა 1898 წელს „სანკტპეტერბურგის უწყებაში“ გამოაქვეყნეს წერილი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, რეალური ფაქტების აღნიშვნით.

1905 წლის ნოემბერში იმერეთის სამღვდელოებამ საერო და სასულიერო ხელისუფლების წინაშე წამოაყენა თხოვნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ. 1906 წელს სანტპეტერბურგში გამართულ სინოდის სხდომაზე ეპისკოპოსებმა ლეონიდემ და კირიონმა ამხილეს რუსი ეგზარხოსების პოლიტიკა საქართველოში და განაცხადეს, რომ მათმა საქმიანობამ საქართველოში ათეიზმამდე მიიყვანა მრევლი. „რა მძიმე შედეგები მოუტანა ავტოკეფალიის დაკარგვამ“ განაცხადა: კალისტრატე ცინცაძემ, რომლის მიერ დაწყებული ბრძოლა 1905–07 წლებში ავტოკეფალისტური მოძრაობაში გადაიზარდა და მებრძოლი ხასიათის შეიქმნა. ფაქტობრივად და რეალურადაც ავტოკეფალიის აღდგენა მთელი ერის მოთხოვნა იყო.

სამი ისტორიული მოვლენა განხორციელდა XX საუკუნის დასაწყისში, ეს იყო: ავტოკეფალიის აღდგენა, უნივერსიტეტის გახსნა და დამოუკიდებელი საქართველოს გამოცხადება. ავტოკეფალიის აღდგენისთვის დიდი ღვაწლი და შრომა გასწიეს: ლეონიდე ოქროპირიძემ, ამბროსი ხელაიამ, კირიონ საძაგლიშვილმა, კალისტრატე ცინცაძემ, ანტონ გიორგაძემ და სხვებმა. რაც შეეხება ავტოკეფალიის აღდგენას, ამ დიდებული საქმის დაგვირგვინება აღსრულდა 1917 წლის 25 მარტს (12 მარტს ძველი სტილით). სვეტიცხოველ-

ში შეიკრიბა ქართველი სამღვდელოება, ერი და ბერი. ცაიშისა და ოდიშის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) სვეტიცხოველში წირვის დამთავრების შემდეგ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გამოაცხადა. მღვდელმთავრებმა უბრძენესი გადაწყვეტილება მიიღეს ავტოკეფალიის საკითხი ტერიტორიული ნიშნით გადაწყვეტილიყო. საკითხის ტერიტორიული ნიშნით გადაწყვეტას ურჩევდა ივანე ჯავახიშვილი და პეტრე ავალიშვილი. (რასაც რუსული იმპერია ეწინააღმდეგებოდა). საეკლესიო დებულებით ქართულ ეკლესიამ თავის ხელში აიღო ტერიტორიული ავტოკეფალიის საკითხი. ერთ-ერთი უბრძენესი გადაწყვეტილება, რომელიც ლეონიდე ოქროპირიძემ მიიღო ეს იყო სამიტროპოლიტო კათედრის გახსნა და ეკლესიის ევქარისტული კავშირის აღდგენა (რომელიც რუსეთმა გააუქმა). შეიქმნა ეკლესიის დროებითი მმართველობა. პატრიარქის მოსაყდრედ და დროებით მმართველად ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე) დაინიშნა. ლეონიდე პირდაპირ აცხადებდა: თავისუფალ ეკლესიას გვერდით უნდა ამოუყენოთ თავისუფალი საქართველო. შეუპოვრად დაიწყო ქართულმა საზოგადოებამ საქართველოს სახელმწიფოს აღდგენისთვის ბრძოლა.

2017 წლის 17 სექტემბერს გამართულ საეკლესიო კრებაზე საქართველოს კათალიკოსად არჩეული იქნა კირიონ II (საძაგლიშვილი). კირიონ II ბრძანა: „აღარ ვარ მონა, ვარ აზნაურ ანუ თავისუფალი“ რუსეთმა დიდხანს არ აღიარა საქართველოს ავტოკეფალია. 1940 წელს სტალინმა რუსეთის სამღვდელოებას უთხრა: „სადამდე უნდა იყოთ ასე საქართველოსთან მიმართებაში“, მხოლოდ ამის შემდეგ აღიარა რუსეთმა საქართველოს ავტოკეფალია.

1990 წლის 4 მარტს საქართველოდან დიდი დელეგაცია ჩავიდა კონსტანტინეპოლში მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ილია II მეთაურობით. კონსტანტინეპოლის მსოფლიო პატრიარქს ილია II განუცხადა: გთხოვთ ცნოთ უძველესი ეკლესია და მისი ავტოკეფალია. კონსტანტინეპოლის მსოფლიო პატრიარქმა დიმიტრიოს I-მა აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და გადასცა საგანგებო სიგელი.

1990 წელს დიდმა ქართულმა დელეგაციამ ჩამოიტანა ორი დიდი სიგელი: ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების შესახებ, ასევე სიგელი; საქართველოს ეკლესიის მეთაურს ეწოდა: კათალიკოს-პატრიარქი. ილია II-ის დიდი ღვაწლითა და რუდუნებით ისტორიული სამართლიანობა აღდგა. საქართველოს ეკლესია მსოფლიო ეკლესიათა დიპტიხში ამჟამად მე-6 ადგილზეა. (მე-5 ადგილზე რუსეთი აღმოჩნდა).

უფალს შევსთხოვოთ აღსდგეს მთლიანობა საქართველოსი!

ე პ ი ს ტ ო ლ ე

ლოცვა-კურთხევა ქართველ ხალხს

...

წაიკითხავს თუ არა მკითხველი ამ ეპისტოლეს, იმწამსვე მიხვდება, რამხელა ნიჭმა, საღვთისმეტყველო განათლებამ და სიბრძნემ (ეს ყველაფერი კი მხოლოდ უფლისაგან ენიჭება ადამიანს) შექმნა და დაწერა ეს ლოცვა, რამხელა სულიერი სიმაღლე და სიყვარული ქართველი ხალხისა გამოიხატება ამ გზავნილში.

ეპისტოლე

უფლისა მიმართ ვილოცოთ.

უფალო, მოგვეც ძალა, რომ შეგვეძლოს ნათელი მოვფინოთ იქ, სადაც წყვდიადი გამეფებულა, რომ შეგვეძლოს სიხარულის მიტანა იქ, სადაც მწუხარება დამკვიდრებულა, ვეძიოთ არა ის, რომ ვუყვარდეთ სხვას, არამედ ის,

რომ გვიყვარდეს ჩვენ.

უფლისა მიმართ ვილოცოთ.

რომ არ ვიყოთ გულცივნი ადამიანებთან და გულგრილნი და გულგრილნი მათი ტკივილების მიმართ (რამეთუ ამით არის მოწამლული კაცობრიობა).

რომ მოვიპოვოთ სულიერი ძალა იმისა, რომ ყოველივე, რაც კი ჩვენი სურვილის საწინააღმდეგოდ შეგვემთხვევა, მადლობით მივიღოთ და მთელი გულით ვუთხრათ

მადლობა ღმერთს.

უფლისა მიმართ ვილოცოთ.

რომ შევძლოთ ტვირთვა მოყვასის სიმძიმისა.

რომ მეყსეულად განვაგდოთ ყოველი ცოდვილი გულისთქმა.

რომ შეგვეძლოს იმდენად ვექცეთ იმედგაცრუებულს.

რომ არ დავემონოთ კაცთა და სახმართა.

რომ განვთავისუფლდეთ მრისხანებისგან, გულისწყრომისა და საკუთრი ნების გატანის სურვილისგან.

(წმინდა მამები ამბობენ: „დაამარცხა ქრისტიანმა მრისხანება და თვითნებობა?“)

მან დაამარცხა ეშმაკი!

უფლისა მიმართ ვილოცოთ.

რომ შევიმეცნოთ ჩვენს თავში ძველი ადამიანი და დავამარცხოთ იგი;

რომ არ ვამბობდეთ ყველაფერს, რასაც ვფიქრობთ, არამედ კარგად დავფიქრდეთ, რა უნდა ვთქვათ;

რომ სიღრმისეულად შევიმეცნოთ, რომ ამასოფლური კეთილდღეობა მსწრაფლწამრავალი და არამდგრადია.

რომ იოლად არ ვაპატიოთ საკუთრ თავს უმცირესი შეცდომების დაშვებაც კი, რათ არ დავისაჯოთ მათ გამო.

რომ გულისხმავყოთ ის, რომ საუკეთესო საქმიანობა, ყველაზე სასარგებლო შრომა და უმაღლესი მეცადინეობა არის:

ყოველგან და ყოველჟამს სიკეთეს ვიქმოდეთ.

უფლისა მიმართ ვილოცოთ.

რათა არასოდეს დაგვავიწყდეს ის, რომ ,,გასაღები" ჭეშმარიტი ბედნიერებისა და თვისუფლებისა ქრისტეს ჯვარზე არის ჩამოკიდებული.

რომ გასაგები გახდეს ჩვენთვის ის, რომ ვინც სხვას იმორჩილებს-ძლიერია, ხოლო ვინც ქრისტესთვის ემორჩილება-**ის უძლეველია**.

უფლისა მიმართ ვილოცოთ.

რომ მოვიპოვოთ ,,უმაღლესი განათლება", რაც სხვა არა არის რა,თუ არა მოძულება ყოველივე უსჯულოებისა.

რომ ვისწავლოთ, ჯერ ჩვენ თვითონ ავასრულოთ ის რასაც სხვას ვურჩევთ.

რომ ცხოვრების წესად გვექცეს: არ ველოდოთ, რას გაგვიკეთებს სხვა, არამედ ვზრუნავდეთ, თუ რას ვაკეთებთ ჩვენ სხვისთვის.

რომ სხვადასხვა განსაცდელისა და სიძნელეების დროს მოვერიდოთ სიტყვას ,,რატომ?"(ყურდრება: ,,რატომ?" შეცდომაა, ,,რატომ?" ნიშნავს, კიდე ერთი განსაცდელი მოვიწიოთ საკუთარ თავზე).

რომ მარადის მთელი გულით ვამბობდეთ:

იყავნ ნება შენი, უფალო!

უფლისა მიმართ ვილოცოთ.

რომ არასაოდეს ვერეოდეთ სხვის საქმეში.

(ფრიად დამამწუხრებელია, როდესაც ადამიანი ცდილობს სხვისი ქცევის მოწესრიგებას, მაშინ როცა მისი პირადი ცხოვრება სრული უწესრიგობაა).

რომ არასოდეს გვავიწყდებოდეს:

1) დაუცადებელად მოვუხმობდეთ იესო ქრისტეს სახელს,

რომ არ გვავიწყდებოდეს:

2) მარადიული დანიშნულება ადამიანისა.

რომ არ გვავიწყდებოდეს:

3) პასუხისმგებლობა ვალდებულებებზე, შრომისმოყვარეობის სარგებელი,

სიტყვაძუნწობა და არა მრავლისმეტყველება.

მოკრძალება და არა საკუთრი თავის წარმოჩენა.

თბილი ღიმილი და არა პირქუშობა.

განრიდება ყოველივე უსჯულოებისაგან.

რომ განუწყვეტლივ ვებრძოდეთ დაცემულობას ადამიანისას, ოღონდ ისე რომ **ადამიანს ჭრილობა არ მივაყენოთ.**

რომ ვიყოთ დაუღლავნი სხვათ შეწევნაში.

რომ დაუვიწყარი გახდეს ჩვენთვის უდიდესი კანონი:

ცხოვრება არის უწყვეტი მსხვერპლის გაღება.

(და ვინც არ შეიყვარა და მოყვასის ტკივილი არ გაინაწილა, მარადის გლახაკი დარჩება!)

უფლისა მიმართ ვილოცოთ.

რომ წესად დავიდოთ, სანამ რამეს ვიტყოდეთ, ვკითხოთ საკუთრ თავს: „ის, რაც უნდა ვთქვათ“.

1. არის სიმართლე?
2. არის სასარგებლო?
3. არის აუცილებელი?
4. არის კეთილშობილური?
5. არის ქრისტიანული?

ნებავს ღმერთს???

რომ ვვიქცეთ სულიერ „ოაზისად“ ამა სოფლისა „საჰარაში“.

რომ შეგვეძლოს „ჩვენი უფლებების“ მსხვერპლად გაღება იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ

მშვიდობა,

მეგობრობა,

თანასწორობა,

ჰარმონია.

უფლისა მიმართ ვილოცოთ.

რომ გავხდეთ ნამდვილი ბრძენნი (ამისათვის კი საკმარისია საკუთარი უვიცობის დანახვა).

რომ გავხდეთ შემწყნარებლნი და მომთმენნი სხვათა შეცდომების მიმართ.

რომ ვიყოთ თავისუფალნი, მაგრამ არა უწესრიგონი (უდისციპლინონი).

რომ არასოდეს აკლდეს ჩვენს სიტყვებს, ჩვენს ქმედებას და ყოველ ჩვენს ქცევას „მარილი“.

რომელი „მარილი?“

მარილი ჭეშმარიტი სიყვარულისა.

უფლისა მიმართ ვილოცოთ.

რომ მივემსგავსოთ ვარდებს, რომლებშიც არ ლაპარაკობენ.

არამედ მხოლოდ სურნელს აფრქვევენ.

რომ სულიერი შფოთისა და მრისხანების ჟამს

არაფერს ვამბობდეთ და ვიქმოდეთ, არამედ მხოლოდ ვითმენდეთ და ვლოცულობდეთ.

რომ ვიმყოფებოდეთ მარადჟამს სულიერ მღვიძარებაში და გვახსოვდეს,

კაცთმოყვარე ღმერთი არ მოითხოვს ჩვენგან იმდენ შრომასა და ღვაწლს ცათ სასუფევლისათვის, რამდენსაც სატანა — ჯოჯოხეთისათვის.

უფლისა მიმართ ვილოცოთ.

რომ ვხედავდეთ ნათლად; თუ არ მოვკვდით ქრისტესთან, ვერ ვიცხოვრებთ მასთან ერთად.

რომ გვჯეროდეს და გვწამდეს, რომ ყველა სხვა გამარჯვებაზე შეუდარებლად აღმატებულია გამარჯვება საკუთრ ეგოიზმზე (საკუთარ თავში ძველ ადამიანზე).

უფლისა მიმართ ვილოცოთ.

რომ შევიყვაროთ და მოვიხვეჭოთ კეთილშობილება (ხასიათისა), რომელიც შეიძინება უსასყიდლოდ, მაგრამ ყიდულობს ყველაფერს.

რომ ვირწმუნოთ: არ არსებობს ,,კარი" დაკეტილი, რომელიც არ იღება **სიყვარულით და მოთმინებით.**

უფლისა მიმართ ვილოცოთ.

რომ ვისწავლოთ, როგორ გავიღოთ მსხვერპლად რაიმე პირადი დროებიდან, რომ სიყვარული იქცეს საქმედ... იქცეს მსხვერპლად... იქცეს ძღვნად...

რომ ვისწავლოთ, თუ როგორ ვიცხოვროთ ამა სოფელში ისე, რომ ამა სოფელმა არ იცხოვროს ჩვენში.

რომ ჩვენში მხოლოდ ღმერთის სიყვარული სუფევდეს და ვცხოვრობდეთ მისი წმინდა ნების აღსასრულებლად და მოყვასის სიყვარულისათვის.

რომ დავინახოთ ჩვენი მდგომარეობა, დავინახოთ სიღრმე ჩვენი სულისა, ჩვენი სულიერი ჭრილობები, თუ როგორ აავსო ,,სოფელმა" სული ჩვენი უსჯულოებით, თუ როგორ სავსე ვართ ,,ეგოიზმით" და მაშინ მივხვდებით, რომ სხვათ გამოსწორებას კი არ უნდა ვცდილობდეთ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სულიერ გაჯანსაღებაზე ვზრუნავდეთ.

უფლისა მიმართ ვილოცოთ.

რომ ჩავწვდეთ არსს იმისას, რომ **უდიდესი ბედნიერება მიენიჭება ადამიანს, სხვისთვის ბედნიერების მცდელობისას.**

უფლისა მიმართ ვილოცოთ.

რომ სიღრმისეულად შევიმეცნოთ:
მონა ქრისტესი ყველაზე თავისუფალი ადამიანია.

უფლისა მიმართ ვილოცოთ.

რომ შევიმეცნოთ, თუ რა არის ნამდვილი ,,თავისუფლება". რამე თუ თავისუფლება არ ნიშნავს, **შეგეძლოს აკეთო ის, რაც გინდა, რაც მოგეხასიათება, არამედ თვისუფლება არის: შეგეძლოს (უნარი გქონდეს) აკეთო ის, რაც სწორია (რაც ღმერთში უნდა).**

უფლისა მიმართ ვილოცოთ.

რომ შევძლოთ სწავლა მოთმინებისა.
,,რამეთუ მან ვინც ისწავლა მოთმინება, ისწავლა თითქმის ყველაფერი".

უფლისა მიმართ ვილოცოთ.

რომ შეგვეძლოს ტკივილის ჩვენთვის დატოვება, ხოლო სიხარულის სხვათათვის განაწილება.

უფლისა მიმართ ვილოცოთ.

რომ შევისისხლხორცოთ, რომ მტერი ჩვენი ის კი არ არის, ვისაც ვძულვართ, არამედ მტერი ჩვენი არის ის, რომ: **ჩვენ გვძულს.**

უფლისა მიმართ ვილოცოთ.

რომ შევძლოთ ცრემლი მოვწმინდოთ შეჭირვებულს.
რომ ჯვარს ვეცვეთ იმისთვის, რომ აღვსდგეთ.
რომ მოვკვდეთ ამა სოფლისათვის,
რომ ვიცხოვროთ ქრისტეში.
რომ ვეძიებდეთ არა იმას, რომ ესმოდეთ ჩვენი, არამედ იმას, რომ გვესმოდეს სხვისი.

უფლისა მიმართ ვილოცოთ.

რომ შევიგნოთ, ჯერ კიდევ საკუთარი თავისთვის ვცხოვრობთ,
არსობრივად ცხოვრება არ დაგვიწყია!
რომ გავინაწილოთ სხვისი მწუხარება და ტკივილი. და თუ ამას მოვახერხებთ, მთელ კაცობრიობასთან და მთელ სამყაროსთან ვიქნებით დაკავშირებულნი ერთი საიდუმლო კავშირით...
კავშირით სიყვარულისა –
ვილოცოთ რომ ვაქციოთ მდუმარება ქადაგებად,
ვილოცოთ, რომ ვიქადაგოთ საკუთრი სიმდაბლით,
ვილოცოთ, რომ ვიქცეთ ნათელ მაგალითდ ყველასთის,
ვილოცოთ, რომ ყურადღებით მოვეკიდოთ ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანსაც კი, რამეთუ ეს უმნიშვნელო წვრილმანები განსაზღვრავენ ხასიათს სრულისას, და წვრილმანების სრულყოფა წვრილმანი კი აღარ არის, არამედ თავად **სრულყოფილებაა**.
ვილოცოთ, რომ ვისწრაფოდეთ სრულყოფილებისაკენ, და მთელი ცხოვრება ჩვენი იქცეს ერთ ცოცხალ ქრისტიანულ მაგალითად და დაუცხრომლად ვადიდებდეთ
ყოვლადწმინდა სამებასა –
მამასა და ძესა და სულსა წმინდასა
აწ და მარადის უკუნითი უკუნისამდე.
ამინ!

წმიდა დავით გარესჯელის უდაბნო

შ ე დ გ ე ნ ი ლ ი

მღვდელ-მონაზონის კალისტრატესაგან

თბილისი
ექვთიმე ხელაძის სტამბა.
1884

„წმინდა დავითის უდაბნო,
გამოკვეთილია კლდისაო,
შიგა სუფევენ ბერები,
მადიდებელნი ღვთისაო,
წირვა და ლოცვა იმათი,
გალობა გერონტისაო“. *
ხალხური სიმღერა

უდაბნო ესე მდებარეობს ტფილისის მაზრაში ქ. ტფილისიდან 60 ვერსტზედ, გარეთ კახეთში, სოფელ საგარეჯოს სამხრეთისკენ, ერთ მთიან ადგილზედ, განშორებული ყოვლის მხრით სოფელს, ტყეს და წყალსა არა უმცირეს 30-ს ვერსტისა, ფრიად ცხელსა და ყოვლითურთ უპოვარსა ადგილზედ.

ეს უდაბნო დაარსებულია 562 წელსა, შემდგომ ქრისტესი, ღირსისა და ღმერთ-შემოსილისა მამისა ჩვენისა, ქართველთ მნათობისა დავით გარესჯელის მიერ, რომელიც იყო იმ ათ-ცამეტთა მამათაგანი, რომელთაც გამოეცხადა ყოვლადწმინდა ღვთის მშობელი და უბრძანა, რათა წამოსრული იყვნენ სიირიდამ გასავრცელებლად ქრისტიანობისა საქართველოსა შინა.

ესე წმინდანი მამები მოვიდნენ საქართველოში მეექვსე საუკუნეში; თითოეულმა მათგანმა დაისადგურეს სხვა და სხვა ალაგებზედ: ქართლში და კახეთში, სადაც ხალხში ამტკიცებდნენ წმინდა ნინოსგან ქადაგებულს ქრისტეს სარწმუნოებას.

წმინდა და საკვირველთ-მოქმედი დავით, როგორც მყუდროების მოყვარე, განშორდა სოფლის შფოთს და ამბოხებას--დაისადგურა ამ ალაგზედ, სადაც იღვწოდა და აღვიძებდა მოწაფეთა მისთა სარწმუნოების გავრცელებისათვის, რომლისა გამო აღშენდა თორმეტი მონასტერი, რისთვისაც იწოდებოდა ადგილი

* ეს გერონტი იყო პირველი გამოჩენილი სრული მგალობელი (ვაჩნაძე), გარდაიცვალა ღრმა მოხუცი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში

ესე „მრავალ მთის უდაბნოდ“.

კაცი უცნობი და უვალი ამ ადგილებში, მომავალი ჩრდილოეთიდამ სამხრეთისკენ, შემდგომ თვალუწვთენელ მინდვრებით სიარულისა ამ უდაბნოში, პირველად შეხედავს მთის თავზე მაღალ საყარაულო კოშკს ოთხ კუთხიანს, აშენებულს ქვითკირით კლდეზე.

მოუახლოვდება რა ამ მთის ძირს, მოულოდნელად შეხვდება გზის პირად მარჯვნით აღმართულ კლდეში გამო-კვეთილს ერთს სენაკს და სახვა ასავალ ჩაჭრილ კიბეებს და ამოკვეთილ ღარებს. ქვემოთ ამისა ნახავს ორს ჭას ამავე კლდისგან ამოკვეთილს, რომლის ამოკვეთილ ღარების ქვემოთ არიან დარგული ნუშის და ატმის ხეები თავის დროზედ მსხმოიარენი.

კაცი მოსრული ამ მთის ძირში, უეცრად ნახავს დიდს კარს დაკეტილს, აღმოსავლეთისკენ მხედველს, მცირე კედელს და სახლის კუთხეს ქვითკირით ნაშენსა, და გაოცდება ამგვარ შემთხვევათათვის ამისთანა უდაბურ ალაგზედ.

აქ შესავალი კარის თავზედ მიიქცევენ მნახველის ყურადღებას გამოხატულებანი და ამგვარი წარწერილობა ხუცურის ასომთავრულით: „განმიხვენით:. მე:. ბჭენი:. სიმართლისა:. შევიდე:. მასშინა:. და:. აუარო:. უფალსა:. ესე:. არს:. ბჭე:. უფლისა:. და:. მართალნი:. შევლენ:. მას:. შინა:. ქორონიკონს:. ტპგ:. (383).

ამ ქვაზე არის ამოჭრილი სამი ირემი ნუკრიანი, მაგალითი იმისი, რომ უფალმან იცის პირუტყვთაცა-ნადირთაგან გამოზრდა მოშიშთა მისთა, როგორც იზრდებოდა წმიდა დავით და მოწაფე მისი ლუკიანე; როდესაც აქაურმა ჰაერმა გაახმო ის ბალახიც, რომელთაც ეს მამები ხმარობდენ საჭმელად, მათ მოითმინეს შიმშილი და წყურვილი; მაშინ ღმერთმა მოუვლინა ირმები, ყოველ საღამოს მოვიდოდენ, როგორც შინაური საქონელი, მივიდოდა ლუკიანე და მოსწველდა მათ; რძეს მიართმევდა წმიდა დავითს, დასახავდა იგი ჯვარს და შედგებოდა ყველად.

აქვე არის ამოჭრილი ერთი არწივი და მისს კლანჭებს ქვეშ სძევს თევზი ორაგული, ნიშნად მისა, რომ, როდესაც ამ უდაბნოს მოღვაწე მამებს ერთს ბზობა დღეს არ ჰქონდათ არც თევზი და არც მხალი, მათ მოახსენეს წინამძღვარს, თუ რითი ინუგეშონ ხორცის უძლურებისათვის; მაშინ უბრძანა მამამ ორს ძმას, რომ გავიდნენ ველზე და მოძებნონ მწვანვილი მინდვრისა. --ერთი წავიდა ჩიჩხიტურის მხრით და მეორე დოდოს უდაბნოსკენ; მწვანვილის ძებნაში ერთ მათგანის წინ დაეშვა არწივი და დააგდო თევზი ცოცხალი ორაგული*. მაშინ ბერმა სიხარულით ხმა უყო ძმას თვისსა: „თევზი, თევზი!“ მოვიდა იგი და ორთავემ მოართვეს წინამძღვარს, რომელმაც უბრძანა: „იოანნე მახარებელმა გამოგვიგზავნაო“. ამ დროიდამ უნდა იყოს ხალხში ხმარებული ის, რომ უქონელობის დროს იტყვიან ხოლმე: „იოანე მახარებელი გამოგვიგზავნის:.

ამავე ქვაზე არის ამოჭრილი სახე ორის ყორანისა, რომელთაც მიმფრინავთ ნისკარტით მიაქვსთ ვაშლები. ეს არის სახსოვარი მისი, რომ ამ ლავრაში იდგა ვაშლის ხე მოსხმული, ამის ნაყოფისგან ყველა ძმები საერთოდ სჭამდენ დროსა პურის ჭამისასა ტრაპეზსა ზედა.

ამ ვაშლისგან ჩუმად იკრიფებოდა ვაშლები; მაგრამ ვერ გაიგეს-რა. ბოლოს წინამძღვარმა ინება დარაჯის დაყენება, რომელმაც ნახა, რომ ორი ყორანი მოვიდნენ, მოსწყვიტეს ნეკრები ვაშლითურთ და შეიტანეს ერთს კლდეში; ცნობის მოყვარე კაცმა ისურვა ნახ-

* ორაგული იცის მდინარე მტკვარმა, რომელიც უდის უდაბნოს დასავლეთისკენ ოც-და-ათს ვერსტზედ.

ვა იმ ადგილისა, საცა ყორნებმა შეიტანეს ვაშლები; აღმოჩნდა რომ იმ კლდეში ყოფილა მოღვაწე დაყუდებული, რომელიც იზრდებოდა ყორანთაგან; სულიერის სიტკბოებით ეამბორნენ ერთმანერთს და დაიწყეს ბაასი ზეციურ ცხოვრებაზედ. შემდგომ ამ ალაგზედ გამრავლდნენ მოღვაწეები, გამოკვეთეს ეკკლესია და სენაკები, წითელ უდაბნოდ წოდებული, რომელიც მდებარებს სამხრეთისკენ შორის ბერთ-უბნის და დავითის უდაბნოსა ორ ვერსტზედ. დღესაც არის ძველი ჩამოქცეული ეკკლესია და სენაკები.

ზემო ნახსენები კარის ქვაზედ კიდევ არის ამოჭრილი ორი ლომი ჯაჭვით დაბმულნი, ეს მოგვაგონებს იმას, რომ ღვთისადმი მინდობილთა დათრგუნონ ლომი და ვეშაპი, როგორც დაიმორჩილა წმიდა დავითმა დიდი და საზარელი იგი ვეშაპი, რომელიც იყო ამ უდაბნოს დიდს ქვემო ხევში და რომელმაც შეუჭამა ირემს ნუკრი; ამიტომ წმიდა დავითმა გამოიყვანა ამ ხევიდამ ეს საშინელი გველი, რომლის მნახველი ლუკიანე შიშით თავ-ზარდაცემული დაეცა მიწაზედ; მაშინ დავითმა უბრძანა; მამაო ლუკიანე! რათა შეშინდი ერთის ჭიისაგან, რომელიც განგებულებითა ღვთისათა დაიწვა ცეცხლითა.

ზემო მოხსენებულნი მაგალითნი, როგორც გადმოცემით ვიცით, დაწერილ არიან ჯვარ-შემოსილის წიგნში, რომელიც გაუტანია განსვენებულს პლატონ ეგ, იოსელიანს და დღეს ვისა აქვს არ ვიცით?

კაცი შევა თუ არა უდაბნოს გალავანში წარმოუდგებიან უცხო სანახავნი: ხეები მწვანით შემოსილნი, ორი მაღალ-მაღალი მრგვალი კოშკები, მაღალ-მაღალი გალავნების კედლები (ერთი ამათგანი ახალი დიდი კედელი აღშენდა 1883 წელში, ჩემს დროს, რომელიც ექვსი წლის წინათ ჩამოქცეულ იყო...).

გარშემო უდაბნოისა იმყოფებიან დიდი მთები სამის მხრით აღმართულნი. ქვემოთ ამისა, კედლებში ნახავს კაცი მხოლოდ კარსა და ფანჯრებს და სხვა არაფერს; მაგრამ შევა თუ არა კედლის კარში შეხვდება გონების გამაცვიფრებელს დიდს პალატს კლდეში გამოკვეთილს კამარედად; სიგრძით აქვს მას ცხრა საჟენი, განით სამი საჟენი და სიმაღლით სამი საჟენი და ერთი ალაბი. ორივე მხარეს აქვს გაზიდული ბაქნები, იმავე კლდისგან გამოკვთილი. წინ ექვს-ექვს ქვის სვეტებზე დაწყობილია ხონჩის მსგავსი გრძელი ხის სუფრები.

ამ ტრაპეზიდამ ადვილ გამოსაცნობია, თუ რამდენი ყოფილან უწინ ბერები ამ უდაბნოში. აქ შეიკბებოდნენ წინამძღვარი და ძმბი პურის საჭმელად, ეგრეთვე მაშინ, როცა ექმნებოდათ რჩევა სამონასტრო საქმის განგების შესახებ. ამ საზოგადო ტრაპეზს აქვს თავზე საკუთარი საჯდომი, სადაც დაჯდებოდა წინამძღვარი იკონომოსით და რიგის მღვდელ-მონაზონითურთ, ხოლო სხვანი-ორთავე მხარეს თავიდამ ბოლომდის. ტრაპეზის დროს ერთი განწესებული ძმათაგანი აღვიდოდა საწიგნობრზედ და კითხულობდა წმიდათა ცხოვრებას, ჩვეულებისამებრ მონასტრისა; ყველა ძმანი პურის ჭამისათანა სიჩუმით, ყურადღებით და გულის ხმის ყოფით ისმენდენ ამას (როგორც ეს დღეს არსებობს დასავლეთ საქართველოში-აფხაზეთში, ახალ-ათონის სვიმონ პანანიტის მონასტერში, სიმრავლის გამო რუსის ბერებისა). შემდგომ ტრაპეზიდამ აღდგომისა შესწირვიდენ მადლობის ლოცვას, წავიდოდნენ მყუდროებით თვისთვის სენაკებში ხელთ საქმარისათვის, ვისაც კი რა შეეძლო; ვერ ნახავდა ერთი მესენაკე მეორესა;ამ ნაირად იყვნენ მოუკლებელ ლოცვასა და მარხვაში, სწერდენ საღმრთო წერილების თარგმანებს, ჰქონდათ სკოლა და ცდილობდენ სწავლის გავრცელებას მით, საიდამაც გამოდიოდენ მეცნიერნი სასულიერო მქადაგებელნი; მაგალ. ანტონ I კათალიკოზი და დიდი ანტონ ჭყონდიდელი იყვნენ აქ აღზრდილნი.

რომ აქაურნი უწინდელი მოღვაწე ბერებნი იყვნენ დაუძინებელი მშრომელნი, არ იყო მათში ჩვენი დროების სენი--შური და მტერობა, ამას გვიმტკიცებენ მათგან ნაშრომნაღვაწნი ძველი ხელთ-ნაწერები და სხვ.

ამ დიდს პალატს მარჯვნით შიგნით აქვს კარი შესავალი მარანისა, რომელიც გამოკვეთილია კლდეში; დღესაც არიან დამარხულნი დიდი და პატარა ქვევრები.

ამ პალატიდამ სამხრეთისკენ არის შესავალი კარი იოანე ღვთის-მეტყველის დიდის

ეკლესიისა, იმავე ბუნებითის კლდისაგან კამარედად გამოკვეთილი, რომელსაც განყოფს ამ პალატის ერთი გამოკვეთილი კედელი. ეკლესიას აქვს შიგნით სიგრძე ცხრა საჟენი, განი ოთხ-ნახევარი საჟენი და სიმაღლე ოთხ-ნახევარი საჟენი.

კანკელი ამისი გამოჭრილია ძირიდამ თავამდე იმავე ბუნებითის კლდისაგან, რომელზედაც დახატულია ხატები მსგავსად მოზაიკისა ბერძნულის მხატვრობით, იმ დროიდამ დღესაც ცხოვლად დაშთენილნი.

საკურთხეველი აქვს დიდი, მაღალ დასაჯდომელიდამ (ტრაპეზის უკან მღვდელმთავრის საჯდომელი): ორივე მხარეს სრულიად ეკლესიის კედლებს აქვს ჩამოსაჯდომი კლდისაგან გამოკვეთილები. ტრაპეზი დღესაც შეურყეველია, სამკვეთლო და სხვა, კლდისგანვე გამოჭრილი, ყოველი მრთლად არის. საკურთხეველს აქვს აღმოსავლეთით მხოლოდ ერთი ფანჯარა, რომელიც ანათლებს სრულიად ეკლესიასა.

ამ ეკლესიის დასავლეთით არის მეორე გამოკვეთილება იმავე კლდისგან, განით და სიმაღლით იმდენი, რამდენიც არის თვით ეს ეკლესია; ხოლო სიგრძით ხუთი საჟენი. ჩამოქცეულია რამდენიმე დიდრონი ქვები და არა სჩანს, თუ რა ყოფილა ესა; მაგრამ უნდა ყოფილიყოს სალარო. ეს ეკლესია, როგორც გუჯრებისგან სჩანს, ყოფილა აღშენებული თეიმურაზ პირველის მეფის შემწეობით. ამ ეკლესიის სამხრეთის კარით არის ქანქანა, (გზა ფარული) გაყვანილი ზემო და ქვემო ორის უბნის ნაწილების ყველა გამოკვეთილების და შენობების ქვეშ, სიგრძით ას სამოც საჟენზედ. ეს ქანქანა მიდის აღმოსავლეთისკენ წმინდის დავითის საფლავის ეკლესიისადმი, ასე რომ ღვთის მეტყველის ეკლესიიდამ ყოფილა საიდუმლო შემაერთებელი გზა; მაგრამ ალაგ-ალაგ ჩამოქცეულა და ამის გამო დახშულია.

ცა ამ დიდის ეკლესიისა სიძველისა გამო ჩამოქცეულია, რომლის ნაქცევითაც იატაკი დაფარულია ნახევრის ალაბიდამ ერთს ალაბამდე. მნახველი ამ შესანიშნავის ეკლესიისა ვინ იქნება იმისთანა უგულო, რომ არ ისურვოს მისი განახლება, რომელიც შეადგენს საქართველოს ძველს მოღვაწეთა ქალაქს და არხიტეკტურას?!

ამ ღვთის მეტყველის ეკლესიის მარჯვნით არის მეორე პალატი იმავე კლდეში გამოკვეთილი, რომელსაც აქვს შიგნით რვა-ნახევარი საჟენი სიგრძე, განი სამ-ნახევარი საჟენი და სიმაღლე სამი საჟენი, რომელშიაც, ძველის ჩვეულებისამებრ, დღესაც არსებობს საზოგადო ტრაპეზი; ამას აქვს ერთი შესავალი კარი და მის ზევით ერთი ფანჯარა, რომელიც საკმაოდ ანათლებს. შემსვლელი მასში მარცხნით ნახავს კარს სახაბაზოსას, კლდისგან გამოკვეთილს, შიგნით აგურით ნაშენ ფურნეს და დიდს ხის ვარცლსა, რომელზედაც იზილება ექვსი ფუთიდამ ათ ფუთამდინ პურის ფქვილი; აქ ზარის დარეკისთანავე, ძველის ჩვეულებისამებრ, უნდა შეიკრიბნენ ხოლმე ყველა ძმები და მსახურნი, რომ ყველამ ამოქნას ცომისაგან გუნდები.

შიგნით ამ პალატში არის საკუჭნაო, კლდისგან გამოკვეთილი, ტრაპეზის სახმართათვის. ესენი არის ზემო უბანზედ, სადაც საშუალ ალაგზე დარგულია ორი დიდი თუთის ხეები საჩრდილობელი და მათ შორის ქვითკირის ნაშენი დასასხდომი.

მარჯვნით ამისა ციცაბ კლდეში არის გამოკვეთილი ძირიდამ თავამდე, დაყოფილი სართულებად, თერთმეტ სენაკამდის: რომელიმე ამათგანი ჩუქურთმით, ვაზებით და ტევნებით შვენიერად გამოქნილნი კლდისგან და რომელნიმე დახატულნი წმინდად: ხუთს ამათგანში დღესაც სცხოვრობენ ძმანი. ამ ზემო უბნის ჩასავალ კარზედ მარცხნით ნახავს კარს სამზარეულოსას, საკმაოდ კლდისგან გამოკვეთილს.

ზემო ნაწილის უბანი--ორის კოშკებიდამ გავლებულია მაღალი კედლები ქვითკირისა, სადაც არის გაშენებული ქვითკირის ერთი ორ-სართულიანი სახლი; რომელიც შეადგენს გალავანს, აქვს ორი კარი, ერთი ამათგანი რკინისა. ამ ზღუდიდამ წასრული აღმოსავლეთისკენ გავა მცირე გალავანს და ჩავა მეორე ნაწილში, სადაც სდგას ერთი ტოტებ გაშლილი დიდი ხართუთა, საჩეხიას ვაკეზედ, და ორი კაკალი ხევის პირებში. ამ მეორის მოედნის ჩასავალ კიბის მარჯვნით შეგხვდებათ კარი, კლდეში გამოკვეთილი, ექვს

საჟენზედ ფარულად ჩასავალი: მერმედ შესდგება მესამე ნაწილი, რომლის აივან გრეხილით და კიბით ჩავა მეოთხე ნაწილის გალავანში, სადაც არიან დასაფლავებულნი სხეულნი ძმებთა და თავადთ ანდრონიკაანთ და ვაჩნაძეებთა.

აქ მარცხნით არის ეკლესია ფერის-ცვალებისა, გამოკვეთილი კლდისაგან; შიგნით სიგრძე აქვს ექვსი საჟენი, და ორ-ნახევარი ალაბი, განი ოთხი საჟენი და ხუთი ჩარექი, და სიმაღლე ორ-ნახევარი საჟენი. ფანჯრები აქვს სამი კამარებში: ერთი საკურთხეველში, მეორე საშუალ ეკლესიისა, კანკელის სანათობელად, და მესამე ეკლესიის შესავალ კარზედ; კარი რკინისა აქვს.

მარჯვნით კედლის კამარის ჩასწვრივ არის საფლავი ამ მონასტრის დამფუძნებლის წმინდა დავით გარესჯელისა, გაჯით გალესილი; ზედ სდგას ახალი კაკლის კუბო ვარაყიანი და ზედ გამოხატულება წმინდა დავითისა, ოქრომკერდის ნაქსოვი ფარჩით დაფარებული.

კანკელი არის ტილოზედ ნახატი, ეკლესია საკმაოდ გაწყობილი, რომელშიაც სრულდება წირვა-ლოცვა, — საკურთხევლის მაღალი დასაჯდომელიდამ ორივე მხარეს აქვს ეკლესიას ჩამოსაჯდომები, გამოკვეთილნი იმავე კლდისაგან. სამკვეთლო, საკუთარს განყოფილებაშია კლდეში გამოჭრილი.

ამ ეკლესიაში ასვენია ერთს მცირე ვერცხლის ყუთში ის მადლის ქვა, რომელიც მოიტანა წმინდა დავითმა ქრისტეს საფლავიდამ. შემდგომ მის გარდაცვალებისა ბევრმა წელმა გაიარა, რომ არავინ იცოდა, თუ სად იყო. იგი შენახული. 1816 წელს, სიძველის გამო, ეს ეკლესია განაახლა ამ უდაბნოს წინამძღვარმა არხიმანდიტრმა ილარიონ (ვაჩნაძემ) მეორემ; დაიწყო საფუძველიდამ შენობა მისი; მოითხოვა საჭიროებამ გაესწორებინა კანკელის ოთხ კუთხიანი სვეტი, რომელშიც იყო ფეხებისკენ წმინდა დავითის საფლავისა. ეს სვეტი ნახევარი რომ ჩამოაქციეს გამოჩნდა კედელი, გაჯით გალესილი და შიგ დახატული ღირსი მამები დავით და დოდო, იმ დროისა, როდესაც დავითი მოვიდა იერუსალიმიდამ და შეეყარა დოდოს მხიარული სახით ერთმანეთის ხელებზედ ამბორის მყოფელნი; ზედ ეწერა: „ხატი წმ. დავითისა, იერუსალიმიდამ მოსულისა“. მოითხოვა საჭიროებამ ამ კედლის ერთბაშად ხატიტურთ გასწორება; როდესაც ჩამოქცეულ იქმნა, გამოჩნდა სხვა კედელი გაჯით გალესილი და თახჩაში მცირე სორო, რომელშიაც იდვა ეს მადლის ქვა; --- ეს ეკლესია პირველში ყოფილა ღრმა ამოკვეთილი ჭა ანუ ქვაბი, რომელშიაც სცხოვრობდა ღირსი მამა დავით, სადაც აღსრულდა და დასაფლავდა. შემდგომ მოღვაწეთა ამა უდაბნოსათა გამოკვეთეს კლდე, გაავრცელეს, აღაშენეს კედელი და გააკეთეს ეკლესიად.

მადლის ქვა არის ბატის კვერცხზედ ცოტა ნაკლები, --- მოგრძე,---თავზედ აქვს ხალი ძველი სისხლის ფერი, ცალ გვერდზედ მისივე ფერით წვრილად ჩაწრეებული თავიდამ ბოლომდის, ფერით არის საშუალ თეთრის და წითლისა, რომელიც ჰკურნავს სარწმუნოებით შემხებელსა მისსა. ამ ქვისადმი და დავითის საფლავისადმი დიდი სასოება და პატივისცემა აქვსთ ქართველთა, რუსთა და სომეხთა; ეს ქვა გამოისვენება ხოლმე მხოლოდ წმინდა დავითის ტაძრის დღესასწაულზედ, რომელსაც აღვასრულებთ ყოველთვის ამაღლების სწორედ დღესა ხუთშაბათსა. დავითზედ ამბობს ნიკოლოზ თბილელი:

„განშორებულთა, სიკეთე მამა დავით,
ირემთა ზრდილობს, ნიშნებს
საკვირველებთა,

ბუბაქარს ქრისტნავს, ვეშაპს ცეცხლითა
დასწვავს,
შრომათა ხვავსა, თან წარყვების ზეცად,
გარესჯას მღვიმობს, სულსა აღა-ღვთის
ხელებს“.

(იხილე სადღესასწაულო, გვერდი 551.)

წმინდა დავითის საფლავის ეკლესიის პირ-დაპირ არის სამი სენაკი ქვითკირის ნაშენი. მეორე ზემო სართული შესდგება შენებულთ აივანთ, სენაკების, კიბეების და გამოკვეთილ თახჩებისაგან. მესამე, ზედა სართული შესდგება ახალ გვარი შენობისაგან, ორ სართულიანი სახლი საჩეხიანი და ერთი სენაკი.

ამის ზემოდ არის მეოთხე სართული და ერთი სენაკი, პატარა საკუჭნაოთი, რომელსაც აქვს მცირე აივანი და ზედ დარგულია ერთი ძირი ვაზი და მსხმოიარე ატმის ხე.

სისწორივ ამისა მარჯვენა გვერდით არის მცირე ეკლესია წმინდის ნიკოლოზისა, ქვითკირით ნაშენი; ამას აქვს სამი ფანჯარა: ერთი საკურთხეველში და ორი ეკლესიის მარჯვნით, და ერთი შესავალი კარი. შესავალი კარის ზემოთ ოთხი აგურით ნაშენი სვეტებია და მათ ზემოთ სამრეკლო ექვსი ზარით. ეკლესია არის სიგრძით ოთხი საჟენი, განით და სიმაღლით ორ-ორი საჟენი. კანკელი და აღსავლის კარები აქვს ახალი კამარედად კაკლისა, ხატები მშვენიერის ხელოვნებისა ვარაყით და მინაქრით გამოხატული, პეტერბურღიდამ მ. საბანინისგან შეწირული 1880 წელსა. ეს ეკლესია იმყოფება პირველ შესავლის გალავნის პირველ ნახსენების კარისათანა.

ამის ზემოთ არის ახალ-ნაშენი სახლი, სამ-თვალიანი, რომლის ზედა სართულთი სდგას ამავე შესავალ კარის ბჭის თავზედ. ამ სახლის აივანიდამ მარჯვნით ზევით ამხედველი ნახავს კლდეში ყურადღების მისაქცევ გამოკვეთილებას, ქვა--კირით თაღ-შეკრულს, მაღლა გაზიდულს პირველ ნახსენების საყარაულო კოშკის ძირამდის, რომელსაც აქვს ას-თორმეტი ნაბიჯი, ფეხის მოსამაგრებელი აღმოკვეთილება კიბედ იმავე კლდისგან, — ეს არის საიდუმლო გზა, ასავალი იმ საყარაულო კოშკზედ. ასრე, რომ მტერი ვერ დაინახავდა ამსვლელს და ვერც ვერაფერს

ავნებდა. ამ კოშკში დღესაც არის დიდრონი გათლილი ქვები, მრგვალი როგორც ბურთი; როცა მტერი მიუხდებოდათ, სხვათა–შორის ამ ქვებსაც დააგორებდნენ ხოლმე ყარაულები ამ კოშკიდამ, რომლებსაც ვერაფერი ვერ შეამაგრებდა მტრის მოსაგერებლად.

როდესაც სამხრეთ-დასავლეთისკენ მიიხედავს კაცი, პირველად გადაავლებს თვალს ორს მაღალ-მაღალ მრგვალ ქვითკირის კოშკებს და სამს მაღალ ქვითკირისვე კედლებს, და შეაჩერებს თვალს მოფერდო დიდ მაღალ შიშველ კლდესა, განით მდებარეს, რომელიც სიმაღლით ოთხას საჟენამდის არის და სიგრძით მარტო ის ნაწილი, რომელიც პირ-და-პირ დასცქერის ამ უდაბნოს, არის თითქმის ამდენივე; მაგრამ სრულიად ამ მთის სიგრძე იქნება არა უმცირეს ორის ვერსტისა, რომელიც დჰყურებს დასავლეთ ყარაიას მინდვრებს, ტყეს და მდინარე მტკვარს, სამხრეთისკენ პატარა არარატს და სხვა სომხეთის მთებსა. ამ მთას გადმოღმით (უდაბნოსკენ) აქვს მრავალი სხვადასხვა ამოკვეთილი ღარები და ძირს თორმეტი ჭები, ამოკვეთილნი, ძირ-ფართო და ძირ-ვიწროები, სიმაღლით სამ-ნახევარ საჟენიდამ ხუთ საჟენამდინ, რომელნიც აივსებიან ხოლმე წვიმიანობის დროს და ინახავენ გრილ წყალს, რომელსაც ხმარობენ ძმანი სასმელად და საჭმელისათვის.

ამ მთის კალთაში არის გამოკვეთილი სიმაღლით საჟენი და განით სამი საჟენი; ამაში ძირიდამ და ზემო კედლებიდამ სწვეთს, როგორც ცვარი, და შესდგება საათში ერთი ბოთლი წყალი, მშვენიერის ფერის და გემოსი რომელსაც უწოდებენ „ცრემლის წყალსა“, ხოლო მლოცველი ხალხი კი ეძახის: „მადლის წყალს“, რომელიც მიაქვთ ხოლმე სახლში, როგორც ნაკუთხი წყალი.

მარცხნით, ე. ი. სამხრეთით, მესამე ციცაბ კლდეში არის გამოკვეთილი ექვსი სენაკი სხვადასხვა თახჩებში და ორი ეკლესია; ამ ეკლესიებში ერთი არის ღვთისმშობლის მიძინებისა, კამერადად გამოჭრილი, რომელიც არის სიგრძით ოთხი საჟენი, განით ორი საჟენი და ორი ალაბი და სიმაღლით ორი საჟენი და ერთი ჩარექი. კანკელი ამისი არის გაჯით აშენებული და ჩუქურთმით გამოქნილი; ხატები არიან ტილოსი მშვენიერად თვითეული ცალკ-ცალკე მისი ზომის ქვაზედ დაკრულნი; ამბიონი და იატაკი აქვს შესაფერი, გამოკვეთილი, საკურთხეველიდამ ორივე მხარეს აქვს ეკლესიას ჩამოსაჯდომი კლდისაგან გამოკვეთილი; გახვრეტილია კლდე და ეს შეადგენს საკურთხეველის ფანჯარას, რომლისგანაც ნათლდება. ეკლესიას კი ერთი დასავლეთის კარის და მის ზევით ერთი ფანჯრისგან იღებს სინათლეს; ეკლესია საკმაოდ შემკობილია, დღესაც სრულდება მასში წირვა-ლოცვა.

ამას ზემოდ არის მეხუთე ეკლესია, მცირე, წმინდის ქალწულის მოწამისა მარინასი, კლდისგან გამოკვეთილი; სიგრძე აქვს ორი საჟენი, განი და სიმაღლე თითო საჟენი; მასში არის ძველი მშვენიერი მხატვრობა, მაგრამ არ სრულდება საღმრთო მსახურება, აქ არის მხოლოდ ორი სენაკი და სხვანი სიძველისა გამო ჩამოქცეულან.

აქვე არის ის დიდი სამჭედლო, კლდეში გამოკვეთილი, სადაც დღესაც არის ჩასმული გრდემი, საბერველი და სხვა, რომელიც გვიმტკიცებს, რომ ჩვენი უწინდელი ბერები იყვნენ მჭედლებიც, რკინის სპილენძის და ოქროსი.

აქ სჩანან სხვადასხვა ალაგებში თეთრი მოდიდო ლოკოკინები, შენივთებული ქვებზედ; აქ არის კლდეში გაქვავებული ცხოველის ძვალიც.

ამ მთის ზემო კერძო სამოც საჟენზედ დაშორებით, მეორე გვერდით გამოკვეთილია სენაკი (ქვაბი), რომელშიაც მოღვაწეობდა დიდი ილარიონ ქართველი (კახეთის თავადი ვაჩნაძე). ეს იყო მღვდელ-მონაზონი, თავი და მოძღვარი ამ სავანისა – მეცხრე საუკუნის დასაწყისში, რომელიც თავის წმინდა ცხოვრების გამო აიძულა მეფემ და ხალხმა, რომ მიეღო საეპისკოპოსო კათედრა; მაგრამ არ ინება, რადგან უყვარდა დაყუდებით ცხოვრება; ამის გამო გამოარჩია ერთი ძმათაგანი, რომელიც გონებით მაღლა იდგა სხვებზე, და მიანდო მას გამგეობა ამ სავანისა ამ ნაირის დარიგებით: „აჰა ესე რა მწყემსად და მოძღვრად ძმათა ამათ განგაჩინებ შენ წამის ყოფითა ღვთისათა“; სხვათა შორის, ეს მოძღვრებაც დაუტოვა: „ნუ ოდეს დაუხ-

შავ (დაუკეტავ) კარსა მონასტრისასა უცხოთა და უღონოთა, არამედ სართულიცა ესე ზოგად იყავნ თქვენდა და უცხოთა თანასწორად. თქვენდა და გლახაკთა იყავ ყოველივე ზიარი, ესრედ თუ იქმოდით მრავალ–წილად მოისთვლოთ ზეგარდმო სარეწავი (სარგებლობა) თქვენი". შემდგომ ამ გვარის დარიგებისა ნეტარი და საკვირველთმოქმედი ილარიონი გაექცა კაცობრივ დიდებას და წავიდა პალესტინეს, – თესალონიკეში; მიიცვალა 882 წელსა. საქართველოს ეკლესია დღესასწაულობს ხსენებასა მისსა 19 ნოემბერს ამ სახით:

ნაპრალით კლდისად, გარესჯისად, მამაო,
ამაღლდი ზენა, სიმაღლედ ილარიონ.
ველით უდაბნოთ, იორდანისად, დიდო,
ანგელოზთასა, საზღვარსა მისწვეთ, კნინღა,
აქ დახედ მზეო, იმსრბოლე ცად მესამედ".

(იხილე სადღესასწაულო, გვერდი 245).

ყველა ზემო ნახსენები კლდეებიდამ გამოკვეთილები: ეკლესიები, სენაკები, პალატები წმინდათ გალესილ არიან გაჯით, გარდა იატაკისა. ამ სავანეში დღეს არის ხუთი ეკლესია. სამში დღესაც სრულდება საღმრთო მსახურება.

მარტო ზემო აღრიცხული სამის მხრით აღმართულ კლდეებში არიან ოთხმოცდა თუთხმეტი სენაკები, რომელნიც დღესაც იხილვებიან, გარდა ეკლესიებისა, პალატებისა და სხვა–და–სხვა თახჩებისა.

ქვითკირით შენობა შესდგება თორმეტი სხვა–და–სხვა ხუთ–ხუთ საჟენიანი კედლებისაგან. ყველა გონიერი მნახველი ამ სავანისა მის არხიტეკტურულ მუშაობაზე გაოცდება: აი როგორ მოიხსენიებს არხიტეკტორი ლიპარტი თავის შენიშვნაში ამ უდაბნოს: „განიხილვების რა დრო, მოთმინება წინად დანახვა, რომელთაც მოითხოვდნენ ესოდენნი დიდნი მუშაკობანი, გავრცელებისთვის ამა სასულიერო დაწესებისა, ადგილთა შინა მოკლებულთა ყოველთა საჭიროებითა ღონის–ძიებათა შენობისათვის: ე. ი. ხისა და წყლისა; მტკიცედ გაბედვისათანა დასაპყრობელად ამა ადგილისა დაშთებოდა ერთი ღონის–ძიება: გამოკვეთა კლდეთა შინა თავთა თვისთა სადგურისა, რომლის დამამტკიცებელნი არიან სადგურნი ღრმად სიძველის წარმომადგენელნი; კლდეზედან იხილვებიან ჯერეთცა ნაცემნი წერაქვთანი*, რომელნიც გამოკვეთილ არიან წერაქვებითა და იარაღებითა და არა თოფის წამლითა; გამოჭრილ არს მათ შინა კლდე: ეკლესიათა, სენაკთა, კართა, სარკმელთა, და თახჩებთაგან ოთხ ას ოცდა ჩვიდმეტი კუბიკური საჟენი. ამა კლდეთა შინა კეთილ–ხელოვანი ქვის მჭრელი შეიძლებდა წერაქვით გამოჭრასა დღესა შინა ნახევარის ადლის ოდენ კუბიკურის საჟენისა, და ამასაც არა ყოველგან; აღრიცხვითა ამით საჭირო იყო ოცდა ორი ათას ას ორმოცი დღე საწარმოებლად ესე ვითარისა მუშაობისა; სჩანს, რომ უმეტესი ნაწილი წარმოებულ არს თვით მონაზონთაგან".

ასე და ამ გვარად, ყველა ხსენებულ გამოკვეთილებას მოუნდებოდა სამოც–და–ექვსის წლის მოუწყვეტელი მუშაობა.

ამ უდაბნოში მოღვაწე ბერებისაგან სხვათა–შორის ჩვენ დაგვრჩომია მშვენიერი ძველი ხელთ–ნაწერები, ხუცური და მხედრული, ქართული სამეცნიერო წიგნები, და სახელდობრ: 1, დოღმატიკა, 2, ხრონოღრაფი, 3, გრდემლი, 4, კავშირი, 5, დიალექტიკა, 6, საზღვარი დავითისი, 7, წიგნი დამარღვეველი ლათინთ სარწმუნოებისა, 8, წინწილი ღაღადებისა, 9, ოთხი თავი სახარების განმარტება ეტრატზედ, 10, კატეგორია, 11, იოანე სინელი, 12, დამასკელი გრიგორისა, 13, დიონოსის წინა ბჭე, 14, ეფრემ ლაფსაიკონი, 15, ლაფსაიკონი მეორე, 16, ნეტართა მამათა ცხოვრება, 17, ქართველთა წმინდათა ცხოვრება, 18, სვინაქსარი ეტრატზედ, 19, ცხოვრება გრიგორი ღვთისმეტყველისა, 20, გამოცხადება იოანე ღვთისმეტყველისა, 21, დავითნის განმარტება ეტრატზედ, 22, ლაფსაიკონი ოქროპირისა, 33, წინამძღვარი იოანე დამასკელისა, 24, ჟამგულანი ეტრატზედ, 25, სწავლა მონაზონთათვის ეტრატზედ, 26, ქართული ლექსიკონი, 27, ქართული ღრამატიკა და სხვა., რომელნიც

* დღესაც ცხადად აჩნია თვითოეულის წერაქვის დანაკრავი.

შენახულ არიან ამა უდაბნოს ბიბლიოთეკაში. ნუ თუ ცოდვა არ არის ამ გვარი სამეცნიერო წიგნები რჩებოდეს დაუბეჭდავად და სხვა ამ გვარი ნაშრომ–ნაღვაწი წინაპართა გაუცნობელად შემდგომთა მათთა შთამომავალთათვის?!

გარდა წმინდა დავითის სხეულისა აქ განისვენებენ ცნობილნი კეთილის მოქმედებითა და წმინდა ცხოვრებითა თვისითა: ღირსი მამა დოდო, (კახეთის თავადთაგანი, ანდრონიკანი), მოწაფე დავით გარესჯელისა, რომელმაც დააფუძნა დოდოს მონასტერი, რომელიც პირდაპირ უყურბს ჩრდილოეთიდამ ამ უდაბნოს, ერთ ვერსტზედ, ერთს დიდ მთაზედ, სადაც დღესაც არის ეკლესიები, სხვა–და–სხვა სენაკები და ჭები, კლდისაგან გამოკვეთილნი, ვიდრე ორასამდის; წმინდა დოდო აღსრულდა ექვსას–ოც–და–სამ წელში, რომელსაც ქართველთა ეკლესია დღესასწაულობს მეშვიდესა ზადიკის ოთხშაბათსა, ე.ი. ამაღლების შემდეგ, სწორეთ წინა დღეს დავით გარესჯელის დღესასწაულისა; მამა ლუკიანე, მოწაფე წმინდა დავითისა; ღირსი მამა არსენი, წამებული შაჰ–აბაზისაგან ათას–ექვსას–სამ წელში; გრიგორი ხუცეს–მონაზონი, გარდაცვლილი ათას–ექვსას–ოცდა–რვა წელში, რომელმაც აღწერა წამება ქეთევან დედოფლისა.

აქ დასაფლავებულ არიან სხეულნი საქართველოს მეფეთა: 1) ალექსანდრე პირველისა ათას–ოთხას ორმოცდა–და–ორ წელში, 2) ბაგრატიონისა, რომელმაც დასტოვა სამეფო ტახტი და შეიმოსა მონაზონებითი ცხოვრება, 3) დიმიტრი, რომელიც შეუდგა მამის მაგალითს, დაუტევა ქვეყნიური მეფობა და შევიდა ბერად, იწოდებოდა დამიანედ, მრავალს მოღვაწეობაში აღსრულდა ათას–ხუთას– ორმოც– და–თოთხმეტ წელში, და 4) მეუღლე საქართველოს მეფის გიორგისა ეკატერინე (ქართულად) ქეთევანი, ათას შვიდას ოთხმოცდა ორ წელში.

აქვე მარხიან მღვდელთ–მთავარნი: 1) იოსებ მიტროპოლიტი ნინო წმინდისა, ათას შვიდას თერთმეტ წელს, 2) ნიკოლოზ ნინოწმინდელი, 3) იონა ბოდბის მიტროპოლიტი, 4) დომენტი რუსთავის მიტროპოლიტი, 5) დავით ბოდბის მიტროპოლიტი და 6) მთავარ ეპისკოპოსი ქართლისა, რომანოზ მონაზონი,

ათას შვიდას წელს და სხვა.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისადმის, დავით გარესჯელის უდაბნო იყო ყოვლისფრით მდიდარი და უნაკლულო, როგორც სჩანს გუჯრებისაგან; ლეონ მეფესა და შემდეგთა ჰქონდათ მიცემული ყმა და მამული, წისქვილები, ეგრეთვე ხორაგნი, რამდენიც კი საჭირო იყო იმ დროს დიდ–ძალის ბერებისათვის, ე. ი. პური, ღვინო, თევზი, ყველი, ერბო, ბრინჯი, ხიზილალა, ნიგოზი, ხახვი, მარილი, მატყლი და ტანის სამოსი, რომელიც შესდგებოდა მარტო შალის ჩოხებისაგან და ცხვრის ტყავებისაგან; ხოლო ეკკლესიისთვის სანთელი და საკმელი საკმაო.

(იხილე 1566–1695 წ. გუჯრები).

უწინდელი დიდი მამულები გარდავიდა ხაზინში 1818 წელში; დღეს აქვს ამ უდაბნოს საკუთარს მფლობელობაში საძოვარი მინდვრები იმგრგვლივ მახლობლად მონასტრისა, ზვარი და წისქვილი ს. საგარესჯოში:

ძმანი სცხოვრებენ საზოგადო ტრაპეზით და ჯამაგირით. აწ არიან შტატით:ერთი წინამძღვარი არხიმანდრიტი გრიგორი (დადიანი), წევრი საქართველო–იმერეთის სინოდის კანტორისა, სამი მღვდელმონაზონი, ორი იერ–– დიაკონი, ოთხი მორჩილი, ექვსი შაგირდი, ერთი ჩაფარი და სამი მოსამსახურე; ესენი მუდამ მონასტრის ხარჯზედ ინახებიან.

ამავე მდგომარეობას და განსაზღვრებასა შინა იმყოფებიან მკვიდრნი იოანე ნათლის–მცემლის უდაბნოისა, რომელიც მდებარეობს დასავლეთისაკენ რვა ვერსტზედ; ესეც ამ გვარს გამოკვეთილ კლდეებში არის და უფრო ფიცხელს და უპოვარს ალაგზედ.

წმინდა დავით გარესჯელის უდაბნო აკლებულია ოთხ–ჯერ სპარსთა და ლეკთაგან: ა) მეთექვსმეტე საუკუნეში, ბ) 1772 წელში, გ) 1851 წელში და დ) 1857 წელში; ამიტომ დღეს არავითარი ძველი ნივთები არ მოიპოვებიან, მხოლოდ არის ძველი ჯაზაირი და თოფები, რომელნიც ჰქონდათ მიცემული მეფეთა და ხალხთაგან მოსაგერებლად მტერთა. ოთხი ამ თოფებთაგანი საუკეთესო გატანილ არიან სამოქალაქო მმართებლობისაგან 1879 წ. მუზეუმში, ნაცვლად მათისა მოსცეს სამი ახალი სისტემის თოფები (ბერდენკები) და ერთი პიბოდი. უწინ ყავდა ამ მონასტერს ოც–და–ათი კაცი ყარაული, შემდგომ თუთხმეტი კაცი, მერმედ რვა, ამის შემდეგ ოთხი, უკანასკნელ წარსულ წლებში ორი, და ეხლა კი დადგა ერთ ჩაფარზედ...

საშეშე სრულიად არ იპოვება; მხოლოდ ბუნებას მოუცია გასახურებლად ფურნისა გრაკლის ფიჩხი. ძმანი სცხოვრებენ უბუხრო გამოკვეთილ სენაკებში, რომელნიც ზამთრით თბილნი არიან და ზაფხულით კი გრილნი.

თუმცა ეს ადგილი უწყლოა და ცხელი, მაგრამ უწინ მშრომელ ბერებთაგან დარგულია ხევებში ხეხილნი: ნუში, ატამი, ჭერამი, კაკალი, თუთა, ხართუთა, და სხვა., განგებ მათთვის გაკეთებულს მოფერდო ალაგზე, ქვა და მიწით შემაგრებულს ხევებში, ძირიდამ აყოლებული ვიდრე უდაბნოს მთის თავამდის, ერთი მეორეზედ მოშორებით, თითქო გალავნით ნაკვეთ–ნაკვეთ მიწებად დაყოფილი, როგორც ბაღი; ამ გვარად დარგული ხეხილი და მწვანე თივა ახარებენ მნახველის გულსა.

ამ ნაირად არიან სხვადა და სხვა–ამ უდაბნოს კალთებშიაც დარგული ნაყოფიერი ხეები, რომელთაც ასაზდროებს მიწა და ნაწვიმარი წყალი, ჩამომდინარე ხსენებულის მთებიდამ.

ამ უდაბნოს მთები არიან ფერით მოყვითლო ქვიშიანი; ქვემოთ მდებარე მთები კი ფერათ არიან თეთრი, წითელი, ლურჯი, შავი და ყვითელი, როგორც საღებავი, და ზოლიანი; არიან ეგრეთვე გოგირდის სუნის მლაშე ადგილები, ქვის ნახშირი, უნდა იყოს ნავთიც. არ შეიძლება არ იყოს რაისამე მადანი ამ მხარეში, თუ კი იმას ეყოლება მცოდნე მძებნელი. ამ მთებს უვლის ბაქოს რკინის გზა თუთხმეტ ვერსტზედ ყარაიის მინდვრებით.

უდაბნოს გარეშე აღმომცენარეობს მშვენიერი წმინდა თივა, როგორც აფხაზეთ–სამეგრელოში კოინდარი; ბლომად ამოდის სატაცური, ქარქვეტა, დანდური, კაპარი და სოკო. ოთხფეხისაგან იმყოფებიან აქ ზამთრით ცხვრის ფარები, მუდამ კი ჯეირნები, კურდღელი, აფთარი, დათვი, მგელი და მელა. მფრინველთაგან – მგალობელნი: შროშანი, შაშვი, მერცხალი, ტარბი, კაკაბი, გნოლი, მწყერი, გარიელა, და დაბერებული ორბები; ზაფხულობით ერთობ ბევრი იცის ქვემძრომლები. ზამთარში ეწვევიან ხოლმე უდაბნოს გარეული ინდოური, წერო და ბატები.

ესენი იმიტომ მოვიხსენე, რომ შეუძლიან მკითხველმა გაიცნოს თვისება აქაურის ჰაერისა.

წმინდა დავით გარესჯელის უდაბნოს მთა, რომელიც ზევით ვახსენეთ, დაჰყურებს ყარაიის მინდვრებს. გადაღმა გვერდით ციცაბ კლდეში არიან გამოკვეთილნი ეკლესიები და სენაკები, დღესაც მხატვრობით დაშთომილნი, იმ ათას ორას მამებთა, რომელნიც დაიხოცნენ ულმრთო სპარსის მეფის შაჰაბაზის მახვილით, ქრისტეს აღდგომის დღეს, თვით აღდგომის ეკლესიაში, რომელიც დღესაც არის ამ მთის თავზედ დაქცეული; როდესაც ეს ღირსნი მამები აღასრულებდნენ ღამით აღდგომის ცისკარს და გარს უვლიდნენ ეკლესიას სანთლებით, მაშინ შაჰაბაზმა დაინახა შორიდამ და წამოვიდა ჯარით მათკენ; როდესაც ესენი საღმრთო ლიტურგიას აღასრულებდნენ და მიიღეს კიდეც წმინდა საიდუმლო, სწორეთ იმ დროს დაესხა უსჯულო იგი და აწამა 1603 წელში მოწამეობის გვირგვინითა. დღესაც ცხადად ღაღადებს უკან ორას–ოთხმოცი წლის დანთხეული სისხლი; მაგ., ერთს ამ მთის კლდეში გამოკვეთილ ეკლესიაში ტრაპეზის აქეთ–იქით მხარზედ აჩნია დაღვრილი სისხლი, ასრე რომ შეიძლება იმის აღება. აქ არის ტრაპეზის პირ–და–პირ გამოხატულება; მაცხოვრისა, ღვთისმშობლისა და ნათლის–მცემლისა, სრულის ტანით მოუშლელი, რომელთათვის თათრებს მოუთხრიათ თვალები ხანჯლის წვერით.

ამ წამებულთ ძვლები საქართველოს მეფემ თეიმურაზ პირველმა შეაკრებინა ერთად, რომ იქმნეს საგრძნობელად ჩვენის ხალხისა; ამიტომ ამ მთის თავზედ აღაშენა ერთი მცირე ეკლესია, სადაც საკურთხეველში ერთს საწნახელში ჩაწყობილ არიან ამათი ძვლები, რომელთაც აჩნიათ დანაკრავი მახვილისა თავზედ და მკლავზედ.

ხსენებასა ამათსა დღესასწაულობს ქართველი ეკლესია სამშაბათს ბრწყინვალის კვირიაკისას, რომელსაც დღესაც ვდღესასწაულობთ სამღვთო ლიტურგიით თვით ამ წამებულს ეკლესიაში.

ეკლესია ქართველთა წამებულთა, ამათ იხსენიებს ამ სახით:

„ვნებათა მიერ, წმინდათა იმარტვილნეს,
მმარხველთა ღირსთა, მხნედ ძლევის
მოყვარებით,
ნივთნი ბებკულნი, აპორფირ–ძოწეულნეს,
სისხლით ღებვითა, ალარ–უსასყიდლო
ჰყნეს“.

(იხილე სადღესასწ., გვერდი 539.)

ამწამებულთ მთიდამ სამხრეთისკენ მეოთხე ვერსტზედ არის ბერთ–უბნის ეკლესია, მოყვითანო ფერისა, ქვიშიანი, დიდს მთაზედ, – ციცაბ კლდეებში არიან გამოკვეთილნი: ეკლესიები, სენაკები და შესანიშნავი დიდი პალატები, დიდრონი ჭები და ქვევრები. ერთს ამათგანს დიდს ღვთის–მშობლის ეკლესიაში უფრო ცოცხლად დაშთენილია ძველი მხატვრობა, სადაც მარცხნით კედელზედ არის დახატული სრულის ტანით ჩვენი დიდებული თამარ მეფე, იმ სახით, როგორც არის მისი სურათი გამოფენილი, გვერდით მისსა შვილი მისი ლაშა გიორგი, ფშავურის ტანის–სამოსით. ამ ბერთ–უბნის და წამებულთ მთები და მშვენიერი ეკლესიები თვისის სენაკებით ისრე მაღლა დაყურებენ შორ–ახლო მდებარე ადგილებს, თითქო შეუპოვარი მცველი, როგორც მაღლიდამ უხილავი მცველი თვალი ზეციურის დედოფლისა.

არიან სხვებიც მრავალნი გამოკვეთილებანი სხვა და სხვა ამ მხრის მთებში: ეკლესიები და სენაკები, რომელნიც მოგვითხრობენ, რომ წინაპართა ჩვენთა ჭეშმარიტად ისმინეს სიტყვა ღვთისა და მტკიცედ დაიმარხეს იგი, სადაც მეჩვიდმეტე საუკუნეს წინეთ ამ მრავალ მთის უდაბნოში იყვნენ უმეტეს თორმეტი ათასის კაცისა, აღვსებულთა კეთილითა და პატიოსანის ცხოვრების მოღვაწეობითა, რომელთა სახელები დაწერილ–არიან კალმითა ზენაითა.

დღეს მხოლოდ არსებობს ეს პირველად დაარსებული წმიდა დავითის უდაბნო, როგორც უწინარეს ყოველთა დაარსებული, და მეორე ნათლისმცემლის უდაბნო; ხოლო სხვანი ყოველნი, სამწუხაროდ, იხილვებიან უქმად და ბუდედ ორბთა, ღრმად წარმომადგენელნი სიძველეთა მათთა.

როგორც სჩანს ამ უდაბნოს მთების სიყვითლისგან და ქვიშიანობისაგან, ეს მთები უნდა იყვნენ წარმომდგარნი საქვეყნო წარღვნისაგან, მით უმეტეს როდესაც კლდეებში ვპოულობთ გაქვავებულ სხვა და სხვა ქვემძრომლებსა და ცხოველების ძვლებსა...

მღვდელ-მონაზონი კალისტრატე.
1884 წ. წმ. დავითის უდაბნო

შალვა ველიაძე

ავაშენოთ ტაძარი სამარადისოდ – სამარადჟამოდ!

ხოლო მე შენი უხვი წყალობით
მოვალ შენს სახლში, ვეთაყვანები
შენს წმიდა ტაძარს – შენდამი შიშით.
..
ნეტარ არს ხალხი, რომლისთვისაც უფალია ღმერთი,
ხალხი – მისდა სამემკვიდროდ ამორჩეული.

დავით მეფსალმუნე

ქართველი ხალხი არის ერი უფლისა, ხოლო საქართველო სამკვიდრებელი ღმრთისა. საქართველო უფლისგან ცხებული და ღვთისმშობლის წილხვედრილი ქვეყანაა. საქართველო ოდითგანვე იყო უფლის სავენახე, ქართველი კაცი კი მევენახე. უხუცესთა გადმოცემით ტბეთისწყლის ხეობის (ამჟამად უჩამბისწყლის ხეობის) მარჯვენა მხარეს აღმოსავლეთით საცხოვრებელ უბან ქვაფთიდან დაახლოებით 300 მეტრის მოშორებით მოვაკებულ მიწის ნაკვეთს (მიდამოს), ჩვენი წინაპრები ხ უ ც ი ა უ რ ს უწოდებდნენ. სოფელ ტბეთში საავტომობილო გზით მიმავალი მგზავრი ქვისსასროლიას კლდეს რომ გაივლის, ამ კლდის ბოლოს მდინარე ტბეთის მახლობლად – მღვდლებს (ხუცებს) ვენახი ჰქონიათ გაშენებული. დაახლოებით შუასაუკუნეებში ტბეთში არსებულა სამონასტრო კომპლექსი. დიდი ტბეთის საკათედრო ტაძარი (რომელიც ტაო–კლარჯეთში იყო) მისი სამწყსო ქედის რაიონის სოფელ დანდალომდე ვრცელდებოდა. დიდი ტბეთის საზაფხულო რეზიდენცია იყო ამჟამინდელ შუახევის რაიონის სოფელ ტბეთში, სწორედაც აქ არსებული მონასტრის მღვდლებს (ხუცებს) – ამჟამინდელ ხუციაურში გაშენებული ჰქონიათ ვენახი. ამ ადგილის სახელწოდება – ხუციაური, ისტორიულ მეხსიერებას დღემდე შემორჩა. აღნიშნული კარგად ახსოვს სოფელ ტბეთის მკვიდრს, ამჟამად ქალაქ ბათუმში მცხოვრებ გურამ თურმანიძეს. იგი ამასთანავე გვამცნობს, რომ დიდი ტბეთის მცხოვრებთაგან ორი ოჯახი გადმოსულა საცხოვრებლად დღევანდელი ტბეთის ტერიტორიაზე. საცხოვრებლად აქ დამკვიდრებულან და ადგილისთვისაც ტბეთი დაურქმევიათ. VIII საუკუნის შედგენილ რუქაზე არის აღნიშნული ორი ტბეთი: ტაო–კლარჯეთისა და აჭარის მთიანეთის.

ლაკლაკეთელი მიხეილ ბერიძე მოგვითხრობს მისი ბავშვობისდროინდელ ერთ-ერთ ეპიზოდზე: ერთ ავდრიან დღეს, როცა ძლიერ წვიმდა მდინარე ლაკლაკეთს მოჰქონდა ქვისგან გამოკვეთილი ჯვარი = ქვის ჯვარი. აღნიშნული ჯვარი მდინარეს სოფელ სამოლეთის ძველი ჩამოშლილის სასაფლაოდან ჩამოჰქონდა. მთელი უჩამბის ხეობა მოფენილი იყო ეკლესია–ტაძრებით ქრისტიანული სასაფლაოებით, მათ შორის ყოფილა ქვის





ჯვრიანი სასაფლაოები სამოლეთში, გოგაძეებში, წაბლანაში. ამ სახის ქვის ჯვრიანი სასაფლაო შემორჩენილია პირვანდელი სახით სოფელ ბუთურაულში, ნაწილობრივ კი სოფელ ნენიაში. ეს უტყუარ ფაქტები ერთხელ კიდევ მოწმობენ ძირძველ კუთხეში – აჭარაში მცხოვრები ჩვენი წინაპრების ქრისტიანულ აღმსარებლობას. მათ მოწამეობრივ ცხოვრებას თურქთა სამას წლიანი ბატონობის დროს. როცა მტერს უნდოდა ხერხემალში გაეტეხა ჩვენი ხალხი, უნდოდა ჩვენი მიწა–წყლის წართმევა, ჩვენი კულტურის, ჩვენი სარწმუნოების განადგურება, მაგრამ უფალმა არ დაუშვა ეს და განგვიკურნა და დაგვიამა ჭრილობები. უფალი ღმერთის მოწყალებით ჩვენი ხალხი ისევ უბრუნდება მამა–პაპისეულ სარწმუნოებას – მართლმადიდებლურ ქრისტიანობას. მშობელი ხალხის რჩეული მამულიშვილები კიდევ უფრო მაღალსულიერების გზას დაადგნენ და ეკლესიაც ააშენეს. უფლის ნებით ეკლესიასთან დაახლოებული ინტელიგენციის გურამ თურმანიძისა და ნაირა ლორთქიფანიძის ოჯახში აღიზარდა სასულიერო პირი: მღვდელი – დეკანოზი ანდრია (თურმანიძე), რომელმაც ბათუმ-ლაზეთის მთავარეპისკოპოსის მეუფე დიმიტრის ლოცვა-კურთხევით ქალაქ ბათუმში ჯავახიშვილის ქუჩაზე აღაშენა წმიდა აბუსერისძე ტბელის სახელობის ტაძარი. იგი ამ ტაძარს უფლის შეწევნით 7 წელი აშენებდა. ტაძარი შენდებოდა შემოწირულობებით.

საქართველოში ეს მეორე ტაძარია, რომელიც აბუსერსიძე ტბელის სახელზე აიგო. პირველი ქალაქ თბილისში მამა მირიანის (სამხარაძე) მიერ. ამასთანავე ხიჭაურში (შუახევის რაიონში) ფუნქციონირებს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა აბუსერისძე ტბელის სახელობის საერო და სასულიერო სასწავლებელი.

გმირი და წმინდანი აბუსერისძე ტბელი XIII საუკუნის პირველი ნახევრის უდიდესი მოაზროვნე, მწერალი და მეცნიერი. ავტორი ეპოქალური თხზულებისა: „ქრონიკონი სრული მისითა საუწყებელითა განგებითა“, „გალობანი სამთა იოვანეთა“ (ნათლისმცემლისა, მახარებლისა და ოქროპირისა), ჰაგიოგრაფიულ–ისტორიული მოთხრობა „ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი“. აბუსერისძე ტბელი მის მერვე შედგენილ „მოსახსენიებელში“ წერს: ჩემი დედა – ხათუთა (შემდგომ მონაზვნად აღკვეცილა ეკატერინეს სახელით) დიდი სასოებით აღავლენდა ლოცვას „სრულისა საქართველოს“ საკეთილდღეოდ“, მანვე დამიტოვა ანდერძად ლოცვა და მუდმივად კითხვა სახარებისა და ფსალმუნებისა = მფარველად ორსავ სოფელსა შინა: „და კაცისა მჭამელთა მგელთა ოტებანი, სრულად საზღვართა შინა სრულისა საქართველოისათა, წინაშე მისსა



ლიტანიობითა და დედისა ღმრთისა ხატისა მის თანავე გარეთ განყვანებითა, რომელსა სასოებდა დედაი ჩემი სარწმუნოებითა და სამარადისოითა წინაშემდგომარებითა და დაუდუმებელითა კითხვითა წმიდისა სახარებისაითა, ფსალმუნებითა და ლოცვითა, რომელი მე დამიტევა ანდერძობით, მფარველად ორისავე ცხოვრებისა ჩემისა“

მეუფე დიმიტრი ბათუმ-ლაზეთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი: უფლის სადიდებლად და ჩვენი სულის საოხად ავაშენოთ ტაძარი სამარადისოდ – სამარადჟამოდ! ქ.ბათუმში ჯავახიშვილის დასახლებაში ეს ტაძარი აიგო წმინდა აბუსერისძე ტბელის სახელზე. წმინდა აბუსერისძე ტბელი მსოფლიო დონის მეცნიერი გახლდათ. პასკალისა და ანჩისხატის საგალობელის ავტორი... იყო დრო როცა მომხდურთა ავი ზრახვების გამო, მდინარე ჭოროხი წითლად მოედინებოდა... სარწმუნოებისა და მამულისათვის ჩვენმა წინაპრებმა უდიდესი მსხვერპლი გაიღო. 2003 წელს წმინდა სინოდმა წმინდანად შერაცხა ღირსი მამა აბუსერისძე ტბელი და თეოდორე აჭარელი... მამა ანდრია (თურმანიძე) ამ ტაძარს აშენებს მთელი ოჯახით. მასთან ერთად ჩართული იყო მის ირგვლივ მყოფი კეთილი ადამიანები – (შემომწირველები).

ყველაზე დიდი მადლია უფლის სახლს რომ ააგებ. ამ ტაძრის წინამძღოლად მამა

ანდრია იქნა დადგენილი. დავით მეფსალმუნე ბრძანებს:

„ჩემთა ძმათა და მეგობართა, გამო, ვამბობ: „მშვიდობა შენ!“

ჩვენი უფალი ღმერთის სახლისთვის
გისურვებთ სიკეთეს შენ“.

მამა ანდრია ოჯახით: მეუღლე – ელისაბედ ჩხაიძე; შვილები: ნოკოლოზი, იოანა, ლაზარე, პელაგია და ათანასია

„არსად არ არის ამდენი სიწმინდე, რაც საქართველოშია და არსად არ არის ამდენი სულიერი სიუხვე, რაც საქართველოშია, და აი ამიტომაა, რომ უფალი მეტს ითხოვს ჩვენგან“ (ილია II).

მადლი უფლისა იესო ქრისტესი იყოს ჩვენზედა!



ოთარ ცინარიძე

მარადისობის სიმბოლო ზამლეთის გორაზე

მათეს სახარებაში ნათქვამია, რომ ჯვარზე გაკრულ იესო ქრისტეს ტკივილგაყუჩების მიზნით ნაღველნარევი ძმარი მიაწოდეს, მაგრამ უფალმა უარი თქვა, რათა ბოლომდე სრულად განეცადა ვნება ადამიანების გამოსახსნელად. რომაელ ჯარისკაცებს ჯვარცმულის მიტოვება მანამ არ შეეძლოთ, ვიდრე მსჯავრდებული არ აღესრულებოდა. სიკვდილის დასაჩქარებლად ისინი ჯვარზე გაკრულებს წვივებს უმტრევდნენ და იგი ასტიქსით კვდებოდა.

იოანე ღვთისმეტყველის მიხედვით, ხოლო სიტყვა, რომელიც იესო ქრისტემ ჯვარზე წარმოთქვა იყო – „აღსრულდა“. ამ სიტყვით უფალმა ჯოჯოხეთზე, სიკვდილზე, ბოროტებაზე გამარჯვება აღნიშნა.

ჯვარი ამ გამარჯვების, ღვთაებრივი სიყვარულის ძლევამოსილების სიმბოლოა. იგი აგვირგვინებს ქრისტიანული ტაძრებისა და სამლოცველოების გუმბათებს, გამოისახება ტაძრის ინტერიერში, საეკლესიო შესამოსელზე, მიმდინარეობს მსვლელობები ჯვრით, ჯვრის წყალში შთაფლვა ხდება წყალკურთხევისას. ბოლო წლებში წმინდა, ისტორიულ ადგილებში ჯვრის აღმართვამ, მასზე პარაკლისის გადახდამ მასიური ხასიათი მიიღო. გამონაკლისი არც სხალთის ეპარქიაა. მარტო 2016 წლის 10 თვეში 10–მდე წმინდა ადგილზე ჯვარმა გამოანათა.

წმინდისერის, წანკალაურის, ტბეთის, ლაკლაკეთის, მთა ღომის, დაბა შუახევის, ოქროპილაურის ციხის, ოქროპილაურის, დაბაძველის შემდეგ ჯვარი ზამლეთის გორაზე აღიმართა.

ამ ისტორიული ადგილიდან მგზავრი სხალთა=ხიხანის, ღორჯომის, ბეღლეთი= დანისპარაულის ხეობებისკენ მიემგზავრება. იგი მანათობელია, დღით და ღამით კარგად მოჩანს ხულოს, შუახევის მუნიციპალიტეტების სოფლებიდან.

მე და ჩემი მეგობრების ოჯახები 1989 წლის სტიქიურ მოვლენებს გავერიდეთ. გარდაბნის მუნიციპალიტეტში, თბილისის სიახლოვეს ვაზიანსა და მუხროვანში საცხოვრისი გამოვნახეთ, ნაწილი ქალაქ ბათუმსა და თბილისში დამკვიდრდა. წინაპრების საძვალე, ჩვენი ქრისტიანობის ბალავარი აჭარა, ცეცხლითა და მახვილით წართმეულ მრწამს ძალიან რთულად იბრუნებს. ჯვარის აღმართვას, მართლმადიდებლური ტაძრების აშენებაში წილის გაღებას მალხაზ ვახტანგაძე,

სულხან დავითაძე, გოჩა, როინ, გურამ, რომან, შალვა მახარაძეები ჩემთან ერთად მადლად მიიჩნევენ. ჩვენს მიერ დამზადებული 10–მდე მეტრის სიმაღლის ჯვრები უკვე მეოთხე ადგილზე იკურთხება.

ყველაფერს ამ კუთხის, აქ დანთებული სანთლის მადლით ვაკეთებთ, – გვითხრა სხალთის ეპარქიაში ჯვრების აღმართვის ერთ–ერთმა ინიციატორმა დევი (ასლან) დავითაძემ.

ქალაქ ბათუმში დამზადებული 10 მეტრი სიმაღლის ჯვარი ზამლეთში დააბრძანეს. სხალთის ეპარქიის მღვდელმსახურების დეკანოზ მატათას, მამა გიორგის, მამა ანდრიას და მამა ბაგრატის, შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის ტარიელ ებრალიძის, გამგებლის პირველი მოადგილის ავთანდილ დიასამიძის დახმარებით ინიციატორებმა ჯვარი მაღალ გორაზე ხელდახელ აიტანეს.

შალვა მახარაძის სადარმა ვაჟკაცებმა ცემენტი, ქვიშა, ქვის ლოდები აზიდეს და აღმართული ჯვრის საძირკველში დუღაბი ჩაყარეს.

– ეს ჯვარი განაცხადია იმ ტაძრის მშენებლობისა, რომელიც ზამლეთის შიგ გორის მომიჯნავედ, ელვაურის ტერიტორიაზე მალე დაიწყება. მდინარე აჭარისწყლის მარჯვენა სანაპიროზე ჯვარი აღიმართა, მარცხენაზე ტაძარი აიგება. გადასასვლელად ტურისტები ფურტიოს თაღოვანი ხიდით ისარგებლებენ. აქვეა ეთნოგრაფიული კუთხე – ,,ქართული სახლი". იმედია ეს ტერიტორია მომლოცველებისა და ტურისტების სავანედ იქცევა, – გვითხრა შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ტარიელ ებრალიძემ.

ღვთისმსახურებმა ახლად აღმართულ ჯვარს პარაკლისი გადაუხადეს და ნაკურთხი წყალი აპკურეს.

–ჯვარი ქრისტიანებისთვის ხსნის, მარადიული სიცოცხლის სიმბოლო და თაყვანისცემის საგანია. ჯვარის გარეშე არ არსებობს ქრისტიანთა ოჯახი, ამიტომაც მას გულზე ატარებენ. ჯვარი, რომელიც ზამლეთში გორაზე აღიმართა ცხადი და ცალსახა ნიშანია მარადისობისა.

გაივლის ათეული, ასეული წლები და ისტორიას შემორჩება მათი სახელები, რომლებმაც ზამლეთში ჯვრის აღმართვა ითავეს. უფლის მადლი შეეწიოთ დავითაძეების, მახარაძეების, ვახტანგიძეების გვარების ღირსეულ წარმომადგენლებს.

როინ აბუსელიძე

წამოსვლა (მიკროპოემა)

ბზობა

პატარა ქოხი გვქონდა. ღელესთან ახლო და ხის
ლაფარო. რომლის სუნი მუდამ ჟრუანტელს მგვრიდა,
უფროსი ძმები მუდამ მთაში დენიდნენ ნახირს
და ალიონთან ერთად ჩამოდიოდნენ მთიდან.
(ახლოვდებოდა ბზობა) ვმხიარულობდით რარიგ
მთელი ოჯახი. (თითქმის) მურა დარბოდა იქვე,
მხოლოდ და მხოლოდ მამა არღვევდა ჩვეულ განრიგს
და ჩამოფხატულ ქუდში სიზმრებს იჭერდა ხისქვეშ.

ბზობა II

პატარა ქოხი გვქონდა. ღელესთან ახლო და ხის
ლაფარო. ლაფაროსთან საბელს მიბმული ცხენი,
უმცროსი ძმა და ნენე მთაში დენიდნენ ნახირს
და სულ ელოდნენ მახსოვს უფროსი ძმების წერილს
ომიდან, (იდგა ბზობა) ეზოს შეუჩნდა ხავსი
და ის სიჩუმეც მორიგ უიმედობას თესდა,
მოწყენილიყო ძაღლი, ახლაც თვალნათლივ მახსოვს -
თუ როგორ ოჯდა მამა, დამწუხრებული, ხესთან...

ბზობა III

პატარა ქოხი გვქონდა. ღელესთან ახლო და ხის
ლაფარო, იფერთხავდა ქარით შემოსილ ფოთოლს,
გამთენიისას მარტო მივუყვებოდით ნახირს
მე და ნენე და გულზე სამი ვაჟკაცის ფოტო...
ოჯახი დარდს და ტკივილს ვერ გავექეცით ვერსად,
ეზოში დაგვრჩა მხოლოდ ერთი პატარა ტაბლა,
(ბზობა იყო) და მახსოვს - მამის საყვარელ ხესთან,
სისხამზე, როგორ ვთხრიდი მამაჩემისვე საფლავს.

ბზობა IV

პატარა ქოხი გვქონდა. ღელესთან ახლო და ხის
ლაფარო. ბოლო ზამთარს წამოსვლამდე რომ დავწვით,
რამდენი რამე მოხდა, რამდენი რამე ვნახეთ
მე და ნენემ და მაინც ჩამოვიტანეთ ქანცი -
გზამდე, ჩემოდნით ორი, (ბზობა დღე იდგა გარეთ)
ჩვენ ერთმანეთი გვახლდა.. და ჩვენ ერთმანეთს ვახლდით,
მოვდიოდით და ახლაც (ყველაზე უფრო მწარედ)
მახსოვს - ავტობუსს როგორ- მოსდევდა ჩვენი ძაღლი!...

აჭარული ბალადა (იუმორესკა)

შემხედა და ვერ მიცნა,
შევხედე და ვიცანი,
ციცამ გულზე დამასო,
სიყვარულის ფიწალი,
სიყვარული? - ჰემ იცით
ყველამ, - რაფერიც არი,
(კარში კატა კნაოდა,
კაკანებდა ციცარი)
ციცაი, ზოვლი ლამაზი,
გახდა დასაფიცარი.

ბაბამ მითხრა - გაგცვეთო,
მაგ თავს გიგიტკლიცავო,
რა დროს შენი ქალია,
რა დროს შენი ციცავო,
ოჯაღიდან გაგადებ,
პურის მადლმა, ვფიცავო,
საკუთარი ხელებით,
გათხარო და მიწავო,
ახლა მივხდი დილაზე,
იმ წყაროსთან ვის ცავო.

ნენემ მითხრა - ამ პროხ ბერს,
ნუ მუუსმენ ნენიო,
რაფერც შენს გულს ეწადოს,
ნენი, ისე ქენიო,
აგერ ყაბალახი და
იგერ კიდვენ ცხენიო,
ოქრო რგოლის ბეჭედი,
მზითევი და ძღვენიო,
ციცას ყურში მუუყევ,
ქმრობა მინდა შენიო.

ავდექი და ვეახელ!
ციცამ მითხრა - ვერაო...
გაღმა დურსუნს ფარა აქ,
შენ კი ლექსებს წერავო,
მასე ვერ წამოგყვები,
ჩემო ისკენდერავო.

ციცას ვუთხარ, - მიდინგლე,
ცავ, ტყვილა და ამრიო,
შეშურდება დუნიას,
ჩემნაირი ქმარიო,
დურსუნს ფარა თუ კი აქვს,
ქი გავს სუპერ მარიოს
და თუ ის გირჩევნია -
შენი ქეჩაც მკარიო.

ევფუნგეთ და ევშალეთ,
არ დიმითმო ციცამაც,
თუმცა ტყვილი ხებერი,
ციცამ მალე იწამა.
ზვინი გახდა ჰოსტელიც,
ოდაცა და კარავიც,
გზაზე არ ჭაჭანებდა
იმ მომენტჩი არავინ.
გამევყენე საქმეში,
ჩემი შნო და მარილი,
ოიპეეეე, გემო ჰქონია
თლად სასელა სხალივით.
დამაბიწყა ლექსები,
დამაბიწყა წიგნები,
ჰოდა რა მენაღვლება,
ამ სხალს ვკრეფ და ვიქნები...

სელიმ ხიმშიაშვილს

ჩირუხისწყალში შეაგელვა რაში ჭენებით,
როდესაც ბოლო ქრისტიანის სისხლი დაირწყა,
მხედრის გარეშე დარჩენილი იდგნენ ცხენები,
ჩირუხისწყალში შეაგელვა რაში ჭენებით,
ხოლო მტრის რემა ხვრეპდა
ჭვანისწყალს.

მაშინ როდესაც სისხლიანი ფეხით გათელილ
ხატებს და ფრესკებს აწმინდავდა ნამუსს იმამი,
კარგად გამოჩნდა - შეიძლება იყო ქართველიც
და მუსლიმანიც.

რადგანაც სისხლი უპირველეს არის რაოდენ...
როგორ არ შეგძრას ცრემლიანი ხალხის თვალებმა,
როცა სამშობლოს მიგიყვანენ სასაკლაომდე -
შეიცვლი რწმენას! - უსამშობლოდ განა ვინა ვართ?
და შენი თავი ოდნავადაც არ გებრალება -
გასაწირავად.

და სწორედ იმ დღეს გადმოლახე წყალი ჩირუხის,
და სწორედ იმ დღეს დაუდექი შენს ერს ზვარაკად,
მოძღვრავდი ხალხს და საკუთარ თავს ვერც კი მიუხვდი
რომ ქრისტეს ენით გალაპარაკა.

შემდეგ იყივლეს მამლებმა და ციხის კედლებმაც
მშვილდისრები და მახვილები როცა მოისხეს,
იმზირებოდი სისხლისფერი ყაბალახიდან,
თანაქართველი, თანამრწმენი, თანამოსისხლე.
იქმნა უკუნი და ის ღამეც აღარ გავიდა,
თუმცა გმირობა სამუდამოდ შერჩა ბინადართ,
შემდეგ მოჰკვეთეს საქართველოს შენი თავი და
შემდეგ ინათა...

ქართულ ენას

ქარი წაიღებს როგორც წესი ქარის მონატანს,
ქარი ქართული, ქარი მღვრიე, ქარი დაღლილი,
მორიგი დილა გაზაფხულთან გაიზმორა და
მთქნარებასავით გადაედო ხეებს აპრილი...

უწინ კი ამ დროს მტერი მუნჯი კერპით გვდევნიდა,
მძიმე თავსატეხს ჩვენ კი ტკბილი ენით ვენაზეთ,
ქრისტიანობა იწყებოდა ქართულ ენიდან
და ალბათ ღმერთიც საუბრობდა ქართულ ენაზე -

ისე ვიყავით, საკუთარი სულის ღადარში,
ჩაფლულები რომ უიმედო შეგვრჩა არჩივი,
მაგრამ აქამდე სიმღერების ძალით გადავრჩით
და ერთმანეთის სიმღერებიც გადავარჩინეთ.

ახლა კი ენავ ისე მქვია შენით გამძღარი,
არ დავიღლები თუნდაც ლექსში სიტყვის ხეტებით,
იმდენნაირი გაარღვიე დრო და საზღვარი,
ხშირად ფრჩხილებში ჩასასმელად არ მემეტები.

ისე მიყვარხარ, რომ ეს გრძნობა მიყვარს უფრორე
და მინდა მთელი ძალისხმევა შენით მოვისრა,
მთელი პლანეტა ერთ ენაზე რომ ვსაუბრობდეთ,
მე ავაგებდი ალბათ გოდოლს ბაბილონისას...

ენავ, ქართველთა მარჩენალო, რწმენავ, დედანო,
შენი ერთგული ყოფილიყოს ყველა ბოლომდე
და ღმერთმა ნუ ქნას რომ ოდესმე ქარს მოეტანო.
და თუ მოგიტანს არასოდეს არ გაჰყოლოდე.

***

მთიანი აჭარის ბუნებრივ მშვენიერებას აქ მოღვაწეთა შემოქმედებითი ცხოვრება კიდევ უფრო მიმზიდველ და ულამაზეს კუთხედ წარმოაჩენს. სულის შუქმთოვ ოკეანედან ზურაბ ზოიძის სახიერება მშობლიურ სივრცეს გადმოჰყურბს, როგორც სპეტაკი სულის სვებედნიერი რაინდი. ზურაბ ზოიძემ თავისი შემოქმედებითი ცხოვრებით ადამიანური და ბუნებრივი სამყარო მშვენიერებად აქცია, და თვით ამ მშვენიერებაში უკვდავად დარჩა,როგორც მოკაშკაშე ვარსკვლავი: ღვთისა და მამულის ერთგული ჯარისკაცი, მოყვასის მოყვარული, სამშობლოს სიყვარულით ამაღლებული გრძნობების უხვად წარმომჩენი, დინჯი, თავდაბალი, ზომიერი სიტყვის მთქმელი, ნათელი გონების დარბაისელი მამულიშვილი. მისი მოღვაწეობის ფართო არეალში მან დატოვა კაცური კაცობის ზნემაღალი ადამიანის ღირსეული სახე... (შალვა ველიაძე).

ზურაბ ზოიძე

სხალთის ტაძართან

ასწლეულებმა დამიმძიმეს
მხრები ლოდივით,
ასაკი მთანგავს –
აპრილივით ნორჩი როდი ვარ,
მკერდშებოლილი შევაბერდი
ამ მთებს ლოდივით,
შენი სუნთქვა ვარ,
ფეხადგმული შენთან მოვდივარ.

სიცოცხლე ჰყვავის,
იარები ძველი მირჩება
და ცუდ ამინდებს
გაზაფხულის ცვლიან დარები,
უფლის წყალობით
ეს სოფლები გადამირჩება,
აღარ დარეკენ
 გლოვის ხმაზე ჩემი ზარები.

შენახული მაქვს
შეუბღალი რწმენა–ღირსება
იქ, სადაც დიდი
წინაპრების ხმები ისმოდა,
სიცოცხლე ჩემი
საკვირველი ძალით ივსება,
როგორც სიმღერა,
სინათლე და მარადისობა.

1992

ფერისცვალება

კარგად
ვიცოდი
თუ რა მემართა
ბედთან წილნაყარს და ვწერდი ღამით,
ვწერდი, მესმოდა ჩურჩული მთათა,
თავბრუდახვეულს ათასი რამით!

ვწერდი,
ვიცოდი
იგი რაც არი,
გაჯერებული სისხლში წვალებით,
ხანძარი ჩაქრა, დარჩა ნაცარი
და უეცარი ფერისცვალება.

2000

აჭარა

ბედი ყოველთვის გვქონდა სხვაგვარი
და მუდამ იყო შენი მდევარი,
ოთოლთასავით ქედზე შემდგარი,
ხან ფარი იყავ, ხან სატევარი.

გვერდში იმედად გედგა გონიო
და სხალთა, რწმენის მაღალი დროშა,
საუკუნეთა მიღმა მგონია,
კვლავ ედავები ავბედით დრო–ჟამს.

მაინც რა იყო, ანდა რა მოხდა,
თუ ზოგჯერ იყავ ცეცხლში ჩანთქმული
მას შემდეგ დიდი ხანი გამოხდა,
და დგახარ ისევ მკლავშემართული.

ბევრი რამ უკვე მოჩა, გათავდა
ვით სამასი წლის ღამის თევანი,
უნდა ჩაწურო ახლა თავადა
ტყეს გახიზნული ვაზის მტევანი.

მე ვიცი შენი ხვედრი მკაცრია...
ყველა სიზმარი ვეღარ ახსენი,
ზოგს ვითომ შენზე დარდი აცვია
ტანზე და მხოლოდ სიტყვით გიხსენებს.

ყველა მოკეთე ხომ არ იქნება,
ბევრი კვლავ შანთით სხეულს დაგიწვავს.
ზოგი ლანდივით თუ გაგიქრება,
უმეტესობა გვირგვინს დაგიწნავს.

ჩემო აჭარავ! კვლავ ხარ ლელოსი
გამტანი, ძნელი გზებით მავალი,
მარადი დღე ხარ საქართველოსი,
შენი წარსულით და მომავალით.

ნაძვი და მუხა

სოფელ ნიგაზეულში ეროვნული გმირის – სელიმ ხიმშიაშვილის საფლავზე ნაძვი და მუხაა ამოსული

დადუმებული სასაფლაოს ცივი ლოდები,
რაღაც იდუმალ სევდითა და ტკივილით სწუხან,
–აქ სამუდამო წინაპრების უყვართ ლოდინი –
გმირის საფლავზე ამოსულა ნაძვი და მუხა.

ტანდაკორძილი და ხნიერი ბერიკაცები
დგანან, იმათი ცრემლ–ნაჟური პეშვებით შევსვი,
ტყვიისფერ სივრცეს გასცქერიან ორბის
თვალებით,
სელიმის მკერდში გადგმული აქვთ ძლიერი
ფესვი.

დადუმებული სასაფლაოს ცივი ლოდები,
რაღაც იდუმალ სევდისა და დარდის მომდები,
აქ არის დიდი წინაპარის ნავთსაყუდარი,
და ამის მეტი არაფერი არა უნდა რა!

2001

თავისუფლების კუნძული

მე შენ ჩამიდგი თვალში სინათლე,
სინათლისათვის დიდი მადლობა,
მე მიყვარს, ღმერთო, შენი სიმართლე,
მე ვგმობ ყოველგვარ უსამართლობას.

მე ახალ მეტაფორას მოვიძევ
და შენი საყდრის ბერივით მშვიდი,
ერთი პოეტი ზურაბ ზოიძე,
ერთი პატარა კანარის ჩიტი.

ჯერ კიდევ დიდი ომი მომიწევს,
მტერთან, შორიდან ენას რომ გიყოფს,
მსურს ერთი კაცი – ზურაბ ზოიძე
თავისუფლების კუნძული ვიყო.

მტერი შორიდან ენას რომ გიყოფს,
მინდა წავართვა ამის უფლება,
თავისუფლების კუნძული ვიყო,
კუნძული შენი თავისუფლების.

მე ვკითხულობდი გრანელს

მე ვკითხულობდი გრანელს ხმამაღლა,
მაშინ როდესაც წვიმდა და წვიმდა,
ვიცი, იქნება ქარი ამეღამ
და ქარსაცავი ადგილი მინდა.

რომ ამა სოფლის ამაოებამ
ვეღარ მიმაგნოს, სადაც ვიქნები
და დავასრულო ჩემი პოემა –
ჩემი ცხოვრების პარადიგმები.

2014 წელი.

გუგუნებდეს საქართველო!

ერის სიცოცხლე, ენა, მამული
ხიბლი მთისა და დედაბუნების,
ხევის მდინარე, წყაროს ჩუხჩუხი
დედის ნანა და მამის რუდუნი.
„განდაგანა“ და ზვარში „ნადური“,
ვმღერი „შავლეგოს“ სევდის გულითა,
შენთვის ვბუბუნებ ჩემო სამშობლოვ
ვხარობ „ჩაკრულოს“ უკვდავებითა.
და თუ მამულში, ვნავარდობ,
წმინდა ანდრიას ზართა გუგუნით,
ვარ ბედნიერი დღეს, რომ ვამაყობ,
ხიხანზე მდგარი საქართველოთი!
... საქართველოვ, ღვთისწილხვედრო!
ცრემლს სიმღერით ვიშრობ ხოლმე,
მთიდან ორბიც გადმომძახის,
მე ვარ შენი მეციხოვნე.
ერის რჯულის დამცველი ვარ
დედის კალთით, მჭადზე ჯვარით.
ხიხანზე, რომ გადმოვდგები
მესმის ხმები, დროთა ჟამის,
ვლოცავ ერის წმინდა ზარებს
და სამშობლოს გულში ვლაღობ,
კურთხეული ნინოს ჯვარით
ჩემს მამულში, სულთან ვგალობ.
გადმოვდგები გოდერძით თუ,
ღომას მთაზე ლოცვითა
გუგუნებდეს საქართველო!
დედის კალთით დარწეული,
უკვდავ ერის აკვნითა.



რევაზ ფევაძე
საქართველოს ფოლკლორის
ფესტივალის ლაურეატი
– ზეპირსიტყვიერებაში,
აჭარის რეგიონიდან

შ. მამულაძე, ა. კახიძე, ე. კახიძე

გონიო–აფსაროსი *

გონიო–აფსაროსი მდებარეობს სამხრეთ–დასავლეთ საქართველოში, მდ. ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე, ქ.ბათუმიდან 12 კმ–ის მოშორებით. ციხე-სიმაგრე ზღვისპირას სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილასაა აგებული. სწორედ აქ გადიოდა ტრაპეზუნტიდან ფასის–სებასტოპოლისაკენ მიმავალი გზა. ჭოროხისა და აჭარისწყლის ხეობებით კი მესხებით დასახლებულ რეგიონებთან, მცირე არმენიასთან და აღმოსავლეთ საქართველოსთან შეიძლებოდა დაკავშირება.

გონიო–აფსაროსის ციხე-სიმაგრე გეგმით სწორკუთხედია. მისი სიგრძე 222 მ-ია, ხოლო სიგანე – 195 მ. მთელი ფართობი 4.75 ჰექტარს შეადგენს. ციხის კედლების საერთო სიგრძე პერიმეტრზე – 900 მ–ია, კედლების სიმაღლე – 5 მ; ხოლო კუთხეებთან, სადაც კოშკებია აღმართული – 7 მ. საძირკვლის სიღრმე 3,5 მ აღემატება. კედლების ქვემო ნაწილი დიდი ზომის თლილი კვადრებით არის მოპირკეთებული, შიდა მხარეს დასავლეთ კედელს სიმეტრიულად განლაგებული კონტრფორმებიც მიუყვება. რომაული ხანის ციხის კედლებზე მთელ სიგრძეზე დაშორებულია წვრილი ქვებით ნაგები ოსმალური პერიოდის ქონგურები. ამჟამად ციხე მოითვლის 18 კოშკს; თავდაპირველად 22 კოშკი ჰქონდა. გალავნის კუთხეებთან აღმართულია 4 მთავარი კოშკი, რომლებსაც ციხის შიგნით გააჩნიათ ქვის კიბე. ციხე–სიმაგრეს ადრე 4 შემოსასვლელი ჰქონია. დღესდღეობით დასავლეთ კარიბჭის გარდა ყველა ამოქოლილია. ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში ციხის მთავარ შემოსასვლელში მთლიანად დაცული ყოფილა მოჩუქურთმებული კარები, რომელიც პროფესორ ა. კრასნოვის ცნობით, თითქოსდა, უცხოელ არქეოლოგებს წაუღიათ. ერთმანეთის საპირისპიროდ განლაგებული შემოსასვლელები მიანიშნებდნენ რომაული კასტელუმებისათვის დამახასიათებელ ორი ურთიერთგადამკვეთი ქუჩის (კარდო, დეკულანუმი) არსებობაზე. ციხე-სიმაგრის ფასადი, რომელიც განისაზღვრებოდა მთავარი ქუჩისა და კოშკების განლაგების მიხედვით, დასავლეთისაკენ (ე. ი. ზღვისკენ) არის მიმართული. ზღვა წარმოადგენდა ზურგსაც, ვინაიდან გასაგები მიზეზების გამო, საშიშროების შემთხვევაში სწორედ აქეთკენ იყო ყველაზე უხიფათო მომარაგებისა და უკანდასახევი გზა. აღმოსავლეთით ციხეს მთები იცავდნენ, ჩრდილოეთიდან – მდინარე, მხოლოდ სამხრეთიდან იყო ის

შედარებით დაუცველი და ამიტომც აქ ყველაზე მეტადაა გამაგრებული ციხის კედლები.

---

* ნაშრომი იბეჭდება მკითხველთა თხოვნით (გონი–აფსაროსის ციხე–სიმაგრის შესახებ – საისტორიო წყაროებისა და თანამედროვე ისტორიკოს–არქეოლოგების მიერ მოკვლეული მასალების – ისტორიით დაინტერესების გამო).

გონიო-აფსაროსი განლაგებულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს იმ ნაწილში, სადაც აღმოცენდა გვიანბრინჯაო–ადრერკინის ხანის (ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანები) ბრწყინვალე თვითმყოფადი კოლხური კულტურა. აქვე დაირწა ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანი. ეს მხარე უაღრესად მდიდარია ბრინჯაოს მეტალურგიისათვის აუცილებელი პოლიმეტალებით, განსაკუთრებით სპილენძის საბადოებით. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტსაც, რომ რეგიონი უძველესი ეპოქებიდან წარმოადგენდა აზიურ და ევროპული ცივილიზაციების შეხვედრების ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლს. აჭარის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ამდროინდელი ბრინჯაოს მრავალი განძი (ისპანი, დიდაჭარა, ხიხაძირი, სახალვაშო, ქობულეთი, ზენითი, მახო, ერგე, ზემო ჯოჭო, საღორეთი, ზუნდაგა, კირნათი, თხილნარი, გვარა, სიხალიძეები, მერისი, ვაიო და სხვა).

ასურული (თუქულთი– ნინურთა II– 1248–1209 წწ; ტიგლათფილისერ I-1115-1077 წწ; სალმანასარ III–859–824 წწ) და ურარტული (მენუა 810–786 წწ; არგიშტი I-786–765 წწ; სარდურ II– 765–735 წწ.) წყაროების მიხედვით გვიანბრინჯაო–ადრერკინის ხანაშივე ჭოროხის აუზში არსებობდა პირველი ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები: დაიაენი – დიაუხა (ძვ.წ. XIII-IX სს) და კულხა (ძვ.წ. XII-VIII სს). ანტიკური ტრადიციისა და არქეოლოგიური მონაცემების თანახმად, სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება აფსაროსის, როგორც დასახლებული პუნქტის წარმოქმნა. სტეფანე ბიზანტიელის, არტემიდორე ეფესელის, არიანესა და პროკოპი კესარიელის ცნობების მიხედვით აფსაროსის წარმოშობა უკავშირდება არგონავტების აია–კოლხეთში ლაშქრობას. თქმულების თანახმად, როცა იაზონის რაზმმა მედეას დახმარებით ოქროს საწმისის არესის წმინდა ჭალიდან გატაცება მოახერხა და მედეასთან ერთად გემ „არგოთი“ გეზი ელადისაკენ აიღო, მზის ღვთაება ჰელიოსის ძემ, მეფე აიეტმა, მათ საკუთარი ფლოტი დაადევნა, რომელსაც ტახტის მემკვიდრე აფსირტე სარდლობდა. კოლხები „არგოს“ მდ. აფსაროსის შესართავთან წამოეწივნენ, მედეას რჩევით იაზონმა აფსირტე გემზე მიიპატიჟა, სიცოცხლეს გამოასალმა და ნაწილ–ნაწილ აკეპა. არგონავტებმა იალქნები აწიეს და აფსირტეს გვამის ნაწილებს მდევართა შეყოვნების მიზნით ზღვაში თანდათანობით ყრიდნენ. ძველი ავტორების ცნობებით, კოლხებმა აფსირტეს სხეულის ნაწილები შეკრიბეს, ხმელეთზე გადაიტანეს და დაასაფლავეს იქ, სადაც ახლა გონიოს ციხე დგას. არიანე აღნიშნავდა: „ამბობენ, რომ ადგილი აფსაროსი ოდესღაც აფსირტედ იწოდებოდა, იმის გამო, რომ თითქოს აქ მედეას ხელით დაიღუპა აფსირტე (აფსირტეს საფლავსაც უჩვენებდნენ), ხოლო შემდეგ კი სახელი მეზობელმა ბარბაროსებმა დაამახინჯეს“. პროკოპი კესარიელი აფსირტეს საფლავს ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში ათავსებდა, აფსაროსის სახელის წარმოშობის მითოლოგიური ახსნისგან განსხვავებით, ქართულ ისტორიოგრაფიაში აფსაროსის ეტიმოლოგია წყლით მდიდარ უბანს, ჭაობიან ადგილს უკავშირდება, თუმცა გამორიცხული არაა, რომ თვით აიეტის ვაჟის სახელი აფსირტეც რაღაცნაირად წყალთან იყოს დაკავშირებული, ისევე როგორც ელიოსის ვაჟის ფაზისის სახელი უკავშირდება მდინარე რიონს.

ძვ.წ. I ათასწლეულის დამდეგიდან, თუ უფრო ადრე არა, გონიოს მიდამოებში ფუნქციონირებდა რკინის მეტალურგიის მძლავრი კერა (ავგია, ჭარნალი, ახალსოფელი, გონიო, კვარიატი), ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ე.წ. დიუნური დასახლების ნაშთები, რომლებიც ძვ.წ. VIII-VII სს. თარიღდება. ფიქრობენ, რომ ზღვისპირა ზოლში ხდებოდა შავიმეტა-



ლურგიისათვის აუცილებელი მაგნეტიტური ქვიშის მოპოვება. აქვე იყო გამართული საერთო სატომო სამლოცველოებიც.

გონიო-აფსაროსის ციხის ტერიტორიაზე ცხოვრება კლასიკურ ხანაშიც გრძელდებოდა. ციხის სამხრეთ კედელთან ახლოს გაითხარა ძვ.წ. V საუკუნის ორი სამარხი, რომელშიაც სხვადასხვა ფორმის დოქებთან ერთად აღმოჩნდა ვერცხლის სხივანა საყურე, ბრინჯაოს სამაჯურები, გიშრის, ქარვისა და მინისებური პასტის მძივები. წერილობითი წყაროები ამ დროის აფსაროსზე მცირეა. მხოლოდ და მხოლოდ ძვ.წ. IV ს. ავტორის ფსევდო-სკილაქს კარიანდელი თავის „პერიპლუსში“ ასახელებს მდინარე აფსაროსს. ძვ.წ. IV ს. დასასრულსა და ძვ.წ. III ს. იწყება აფსაროსის ახალი აღორძინება. ამის დამადასტურებელია ელინისტური ხანის შემთხვევით აღმოჩენილი სამარხები და მათში მოპოვებული ინვენტარი: კოლხური ამფორა, დერგი, შავპრიალა დოქი და სხვ. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევენ აფსაროსში აღმოჩენილი მაკედონიის მეფის ანტიგონა გონატას (ძვ.წ. 277–239 წწ) სახელით მოჭრილი მონეტა და ელინიზმის ეპოქით დათარიღებული სინოპური ამფორები.

ძვ.წ. II ს. უკანასკნელ მეოთხედში მთლიანად კოლხეთს და, რა თქმა უნდა, აფსაროსსაც პონტოს მეფე მითრიდატე დაეუფლა. ძვ.წ. 65 წელს იბერია რომაელთა სარდალმა პომპეუსმა ხელთ იგდო და უნდა ვიფიქროთ, რომ კოლხეთშიც რომაელები გაბატონდნენ. ძვ.წ. 65–47 წწ კოლხეთი ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა, რომელსაც არისტარქე მართავდა. ტრაპეზუნტის ოლქი (სამხრეთ კოლხეთი) გალატიის მეფე დეიოტარის სამფლობელოში შედიოდა და აფსაროსიც სადღაც ამ ორი ერთეულის საზღვარზე უნდა ყოფილიყო. ძვ.წ. 47 წ. პომპეუსსა და იულიუს კეისარს შორის ამტყდარი სამოქალაქო ომებით ისარგებლა ბოსფორის მეფე მითრიდატე ევპატორის ვაჟმა ფარნაკმა და პონტოს სამხრეთი სანაპიროების ნაწილი (რა თქმა უნდა, აფსაროსის ჩათვლით) დაიკავა. ამავე წელს ზელესთან ბრძოლაში კეისარმა სასტიკად გაანადგურა ფარნაკი და მისი სამფლობელოები რომაელთა მოკავშირეს პერგამის მეფე მითრიდატეს გადასცა. არისტარქეს შემდეგ კოლხეთი აღარ წარმოადგენდა მთლიან ერთეულს. თანაც, მთიელ ტომთა მოძალებით აქ მდგომარეობა საკმაოდ გართულდა. სწორედ ამიტომაც ახალი და ძველი წელთაღრიცხვების მიჯნაზე იგი რომაელებზე დაქვემდებარებულ პოლემონების პონტოს შემადგენლობაში შედიოდა. სტრაბონის ცნობით, კოლხეთს „ ისევე როგორც ტრაპეზუნტს, ფარნაკიას და მათ ზემოთ მცხოვრებ ბარბაროსებს“ მართავდა პოლემონ I ქვრივი პითოდორიდა, აშკარაა, რომ აფსაროსის დასახლებაც პოლემონების პონტოს საზღვრებში მოექცა.

ახალი წელთააღრიცხვა ქრისტიანული რელიგიის აღმოცენებით დაიწყო. ეს პროცესი შეეხო როგორც მთლიანად დასავლეთ საქართველოს, ისე კონკრეტულად აფსაროსსაც. ახ.წ. VIII ს. მეორე ნახევრის საეკლესიო მოღვაწე ეპიფანე კონსტანტინეპოლელთან ვკითხულობთ: „კვიპროსის ეპისკოპოსი ეპიფანე ამბობს, რომ გადმოცემის მიხედვით, ნეტარმა მოციქულმა ანდრიამ დამოძღვრა სკვითები და სოგდიანები და გორსიანები დიდ სებასტოპოლში, სადაც არის აფსარის ციხე, ჰვისოს ნავსადგური და მდინარე ფაზისი; იქ მოსახლეობენ იბერიელები, სუსები, ფუსტელები და ალანები...“ აქვე მას მინიშნებული აქვს, რომ პანტეკოსტის (სულიწმიდის მოფენის) შემდეგ ანდრია, სვიმონ კანანელი,

მათე და თადეოზი გამოემართნენ ჩრდილოეთის წარმართების მოსაქცევად, მათ შორის „ველური“ კოლხებიც იყვნენ. ეპიფანე კონსტანტინეპოლელის თანახმად მოციქული სვიმონ კანანელი დაკრძალულია ნიკოფსიაში; ეპიფანე კვიპროსელის (ახ.წ. IV ს) მიხედვით კი საქართველოში მოციქული მატათაცაა დაკრძალული. მატათამ ანუ მატათიამ, რომელიც იუდა ისკარიორტელის ნაცვლად იქნა მოციქულად არჩეული: „იქადაგა სახარება მეორე ეთიოპიაში (კოლხეთი), სადაც არის აფსარის ციხე და ჰვისის ნავსადგური... იქვე გარდაიცვალა და დამარხულია დღემდე“. ანალოგიურ ცნობებს გვაწვდიან დოროთეოს ტვირელი (III ს), სოფრონი (IV ს) და სხვანი...

ახ.წ. 63 წ. იმპერატორ ნერონის (54–68 წწ) ბრძანებით გაუქმდა პოლემონების სამეფო და პონტო კოლხეთთან ერთად გალატიის პროვინციაში შევიდა.

ახ.წ. 77 წ. დათარიღებულ ნაშრომში გათუს პლინიუს სეკუნდუსი აღნიშნავდა: „ტრაპეზუნტიდან 140000 ნაბიჯით დაშორებულია მდინარე აფსარი, რომლის შესართავთან ამავე სახელის ციხე-სიმაგრეა“. ამავე ავტორის მიხედვით აფსაროსი მაკრონების ქვეყანაშია, რომლის ჩრდილოეთითაც ჭოროხის შესართავთან ლაზები ცხოვრობდნენ. აღნიშნული ცნობის მიხედვით, აფსაროსი უკვე ახ.წ. I ს. მეორე ნახევრიდან მოქმედი ციხეა, რაც არქეოლოგიური მონაცემების მიხედვითაც დასტურდება. აქ ნაპოვნია იმპერატორების ტიბერიუსის (14–37 წწ), ნერონის (48–68 წწ), დომიციანეს (81–96 წწ) და სხვათა სახელით მოჭრილი სპილენძის მონეტები, ახ.წ. I ს. გავრცელებულ იტალიკურ და კოსურ ნაწარმად მიჩნეული ამფორები, წითელლაკიანი კერამიკა, მინის ნაწარმი, იტალიკური ბრინჯაოს ლათინურწარწერიანი ჭრაქი და ა.შ.

ახ.წ. 131 წელს იმპერატორ ადრიანეს (117–138 წწ) დავალებით აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იმოგზაურა და თავის „პერიპლუსში“ არსებული მდგომარეობა აღწერა კაპადოკიის მმართველმა ფლავიუს არიანემ. არიანე ასახელებს აფსაროსში მდგარ ხუთ კოჰორტას. აფსაროსის რომაული გარნიზონის შესახებ ცნობებს გვაწვდიან სხვა წყაროებიც. მაგალითად, იტალიაში ნოლას მახლობლად, აბელაში აღმოჩენილი წარწერის მიხედვით მარკუს პრეტორიუს კელერი, რომელიც ტრაიანემ დააჯილდოვა პართიის ომში (113–117 წწ) მონაწილეობისათვის ერთ დროს ასრულებდა რომაელთა იმ სანაპირო ჯარების მეთაურის მოვალეობას, რომლებიც დაბანაკებული იყვნენ აფსარში. მნიშვნელოვანია აგრეთვე ეგვიპტეში, კერძოდ, ფაიუმში აღმოჩენილი II საუკუნით დათარიღებული პაპირუსის ფრაგმენტი, რომელიც აფსაროსის ვეტერანის მიერაა დაწერილი. აქ მოხსენიებულია აფსაროსში მდგარი კლავდიუსის სახელობის II კოჰორტის ვეტერანი მარციალი. წერილობითი წყაროებისა და აღმოჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლების მიხედვით დასტურდება, რომ აფსაროსში იდგა შემდეგი დასახელების რომაული გარნიზონები: აბელას წარწერაში მოხსენიებული დამხმარე საგუშაგო რაზმები, ე.წ. „ნუმერ“-ები, იმპერატორ კლავდიუსის სახელობის II დამხმარე კოჰორტი, მოისართა კოჰორტი – “შაგიტტარიუს” და იმპერატორ ავრელიუსის სახელობის კოჰორტა. არსებული მონაცემები საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ არიანეს „ ერიპლუს”–ში დასახელებული აფსაროსში მდგარი ხუთი კოჰორტა დამხმარე კოჰორტებია და არა ლეგიონური. ასე, რომ აფსაროსში დაახლოებით 1200–1500 ლეგიონერი იდგა.

განსაკუთრებით საინტერესოა ახ.წ. IV ს. რომაელი გეოგრაფის კასტორიუსის რუკა, სადაც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში სხვა თანადროული კასტელუმებისაგან განსხვავებით, აფსაროსის ციხის მხოლოდ სახელი კი არაა მითითებული, არამედ მისი სქემატური გეგმარებაცაა დატანილი. ცნობილია, რომ კასტორიუსი იყენებდა ძველ, კერძოდ, ახ.წ. I-II სს. წყაროებს.

როგორც ჩანს, ახ.წ. II ს. პირველ ნახევარში აფსაროსი არამარტო ძლიერი სამხედრო ბაზა იყო, არამედ მნიშვნელოვანი საქალაქო პუნქტიც. ახ.წ. VI ს. ავტორი პროკოპი კესარიელი აღნიშნავდა: „ეს ქალაქი ძველად მრავალრიცხოვანი ყოფილა, მას გარშემო უვლიდა მრავალი კედელი და შემკული იყო თეატრით და ჰიპოდრომით და მრავალი სხვაც ჰქონდა, რაც ჩვეულებრივ ქალაქის სიდიდის მომას-

სამხრეთის კარიბჭე. გათხრების საერთო ხედი

წავებელია“. ყველა მონაცემების მიხედვით აფსაროსი ასეთ მდგომარეობას სწორედ ახ.წ. II ს. პირველ ნახევარში მიაღწევდა. მეორე ნახევარში პოლიტიკური ვითარება არსებითად არ შეცვლილა.

ახ.წ. III ს. აფსაროსის ისტორიაში შემობრუნების ხანად შეიძლება ჩავთვალოთ, ამ პერიოდში შეიმჩნევა აფსაროსის სამხედრო ბანაკად გადაქცევის ტენდენცია. ახ.წ. III ს. ავტორი იპოლიტე რომაელი ასახელებს Λα–ρευβολη აფსაროსს. ეს სიტყვა კი ბანაკს, სასაზღვრო პუნქტს აღნიშნავდა. ასევე ბანაკის სახელით მოიხსენიებს აფსაროსს ევსევი კესარიელი (260–340 წწ). სწორედ ამ ბანაკში გარდაიცვალა ქრისტიანობისთვის წამებული სამხედრო მოხელის ორენტიოსის ორი თანამოაზრე (ბერძნული სვინაქსარის მიხედვით იმპერატორ დიოკლეტიანესა (284–305 წწ) და მაქსიმიანეს (285–305 წწ) დროს. ზემოთ ნახსენები დოროთეოს ტვირიელი ანდრია პირველწოდებულის მოღვაწეობის აღწერისას მიუთითებდა: „ანდრია მივიდა დიდ სებასტოპოლისში, სადაც არის აფსარის ციხე-სიმაგრე და მდინარე ფაზისი“.

ახ.წ. III ს. ბოლოდან რომის იმპერიის ცენტრი თანდათანობით აღმოსავლეთისაკენ ინაცვლებს; სავარაუდო იყო, რომ რომაელები განახორციელებდნენ ზომებს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში თავიანთი გავლენის აღსადგენად. ზოსიმე ლაპარაკობს იმპერატორ კონსტანტინეს (306–337 წწ) მიერ იმპერიის 4 ნაწილად გაყოფაზე. ერთ-ერთ მათგანში შედიოდა მთელი შავიზღვისპირეთი პამფილიიდან ტრაპეზუნტამდე და ფაზისზე არსებულ სიმაგრეებამდე. როგორც ჩანს, ამ პერიოდში აფსაროსის ციხე განაგრძობდა რომაელთა სამხედრო ბანაკის მოვალეობის შესრულებას. IV ს. მეორე ნახევრიდან აქ აღარ იდგა რომაელთა გარნიზონი. მაგალითად, ამიანე მარცელინე შავი ზღვის სანაპიროს აღწერისას არაფერს ამბობს აფსაროსზე, ხოლო ფაზისსა და დიოსკურიას ქალაქებად მოიხსენიებს. აფსაროსს არც V ს. დასაწყისის ძეგლი „νοτατια δαγνιτιτατυμ”-ით ასახელებს. VI ს. ავტორს პროკოპი კესარიელს ფაზისი და აფსაროსი სრულიად გაპარტახებული დახვდა. აფსაროსის ციხე–სიმაგრე IV ს. მეორე ნახევრიდან VI ს. პირველი ნახევრის ჩათვლით უბრალოდ მიტოვებულია.

წერილობით წყაროებში დაცულ ცნობებს ეხმაურება არქეოლოგიური მონაცემებიც. აფსაროსში მოპოვებული მრავალრიცხოვანი წითელლაკიანი ნაწარმის თითქმის არცერთი ეგზემპლარი არაა შემკული რელიეფური დეკორით. მაშინ როცა, IV ს. და განსაკუთრებით კი V ს. წითელლაკიანი ნაწარმი საკმაოდ უხვადაა ორნამენტირებული რელიეფური, გეომეტრიული თუ მცენარეული მოტივებით. აქ არ გვხვდება ე.წ. ლურჯხალიანი მინის ერთი ფრაგმენტიც კი, რომელიც სპეციალისტთა აზრით, ჩნდება დაახლოებით IV ს. მეორე ნახევარში და არსებობს V ს. დასაწყისამდე. აქ აღმოჩენილ მდიდარ ნუმიზმატიკურ მასალაში არც ერთი მონეტა არ თარიღდება IV ს. მეორე ნახევრით, V საუკუნითა და VI ს. პირველი მეოთხედით.

ციხე-ქალაქ აფსაროსში ცხოვრების გამოცოცხლება VI ს. მეორე ნახევრიდან იწყება. აგათია სქოლასტიკოსის მიხედვით მეფე გუბაზის მკვლელებს იოანესა და რუსტიკეს ქალაქ აფსარუნტის სატუსაღოში ამწყვდევენ. ამ დროს აფსაროსი მაინც ჩვეულებრივი, რი-



ციხის საერთო ხედი
Overview of the fort

გითი დასახლება უნდა ყოფილიყო, რომელიც დაკნინების გამო, ისტორიკოსთა ნაკლებ ყურადღებას იქცევდა. როგორც ჩანს, აფსაროსისა და სხვა ბაზების გამოყენებით ბიზანტიელებმა VII ს. დასაწყისში მთელი კლარჯეთის ზღვისპირეთი მიიტაცეს. VII ს. პირველი ნახევრის (630–640 წწ) ბიზანტიური წყარო („პასქალური ქრონიკა") აფსარს ναπευβοψε-ეს უწოდებს. აფსარს, როგორც სამხედრო ბანაკს იცნობს VIII ს. მეორე ნახევრის ბიზანტიელი მწერალი ეპიფანე კონსტანტინოპოლელი. „აფსარვას ქალაქს" იხსენიებს აგრეთვე VIII ს. ქართველი მწერალი იოანე საბანისძე. X ს. ბიზანტიელი ისტორიკოსი კონსტანტინე პორფიროგენეტი ასახელებს „აკამფსისის ციხეს", რომელიც ბიზანტიის შემადგენლობაში ეგულება. XI ს. ბოლოსა და XII ს. დასაწყისში დავით აღმაშენებელმა თითქმის მთელი საქართველო გაანთავისუფლა თურქებისაგან. მან ერთხელ „ხუფთით ჭოროხის პირი წარვლო" და კლარჯეთს გადავიდა. ამის შემდეგ ჩნდება აფსაროსის ახალი სახელწოდება – გონიო, გონია. ამ დროს, ტრაპეზუნტში და მის ჩრდილოეთითაც აქტიურ სავაჭრო ურთიერთობებს ანხორციელებდნენ გენუელი ვაჭრები. ამასთან, ისინი აარსებდნენ ფაქტორიებს. გამორიცხული არაა, რომ ძველ აფსაროსში მათ თავიანთი ფაქტორია ჰქონდათ და სახელწოდება „გონიოც" გენუელებისაგან მოდის. გარდა ამ ჰიპოთეზისა, არსებობს სხვა ვერსიებიც. ყველაზე უფრო მისაღები უნდა იყოს იმათი ვარაუდი, რომლებიც ზანურ გამოთქმას „წყარი გონიას ორთუ"-ს უკავშირებენ, რაც ნიშნავს მდინარე ადიდებულა, ბრუნავს, მორევს აკეთებს.

ხალხური ტრადიცია კი – გონიოს ციხის აშენებას თამარ მეფეს მიაწერს. შეიძლება ეს დაკავშირებული იყოს XIII ს–ის დასაწყისში ამ მეფის ლაშქრობასთან სამხრეთ შავიზღვისპირეთში და 1204 წ. ტრაპიზონის საკეისროს შექმნასთან, რომლის შემადგენლობაშიც ქართული მხარის ნება–სურვილით, გონიოც შევიდა. ტრაპიზონის ოფიციალური ისტორიკოსი მიქაელ პანარეტოსი (XIV-XV სს) მოგვითხრობს, რომ 1377 წელს გონიოდან მაკრიალში თავისი საქმროს, ტრაპეზუნტის კეისრის იოანე-ალექსი III (1350-1390 წწ) უმცროსი ძის მანუილთან შესახვედრად გაემართა საქართველოს მეფე დავით IX (1348–1360 წწ) ასული გულქან-ხათუნი (ევდოკია).

XVI საუკუნის მეორე ნახევარში გონიო თურქებმა დაიპყრეს. 1590–1595 წწ მათ აამაღლეს ციხის კედლები და ის შემდგომი შეტევების პლაცდარმად აქციეს. XVII ს. განმავლობაში ოსმალებმა სამცხის დანარჩენი ტერიტორიაც დაიპყრეს, ხოლო საზღვარი ჭოროხთან კი XVII ს. ბოლომდე დარჩა. 1616–1618 წწ გონიოს ციხე შაჰ-აბასისგან დევნილი კახეთის მეფის თეიმურაზ I (1606–1610 წწ) რეზიდენცია იყო. თეიმურაზი სწორედ გონიოდან აპირებდა 1618 წელს რუსეთში გამგზავრებას, მაგრამ მალე ის ქართ–კახეთის სამეფო ტახტზე მიიპატიჟეს.

1654 წელს გონიოს ციხე შავ ზღვაზე მოთარეშე დონელ კაზაკთა რაზმმა აიღო. თურქმა იანიჩარებმა ისინი ამოჟლიტეს, რაც სამ დღიანი ზეიმით აღნიშნეს. XVII ს პირველ ნახევარში მოღვაწე იტალიელმა მისიონერმა დე კასტელმა დაგვიტოვა გონიოს ციხის დასურათება. კასტელის მინაწერიდან ჩანს, რომ გონიოში ოსმალთა გარნიზონი და სამხედრო ადმინისტრაცია იდგა. თავად ციხე-სიმაგრე ტყვეთა სყიდვის ერთ-ერთ ცენტრად გადაიქცა. 1672 წელს გონიოში განლაგებულმა თურქმა ჯარისკაცებმა გაძარცვეს ცნობილი ფრანგი კომერსანტი და მოგზაური ჟან შარდენი. 1714 წელს აქაურმა ოსმალო მებაჟეებმა გაძარცვეს და შეურაცხყვეს ევროპიდან მომავალი საქართველოს ელჩი სულხან-საბა ორბელიანი.

დ. ბაქრაძის მიხედვით, 1700 წლის მახლობელ ხანებში თურქებმა ბათუმი, ხოლო უფრო მოგვიანებით კი ქობულეთი აიღეს. ამის შემდეგ გონიოს, როგორც ფორპოსტის როლი მოიშალა და იგი კიდევ უფრო დაკნინდა. XVIII საუკუნეში გონიოს შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ვახუშტი ბაგრატიონი: „ფრინველნი მრავალნი, ხილნი მრავალნი და ბათუმს, გონიასა და ერგეს ნარინჯი, თურინჯი, ლიმო, ზეთისხილი, ბროწეულ მრავალ და ზღვის კიდესაც ვენახნი მაღლნარნი". გონიოს ვახუშტი „მცირე ქალაქსა" და ციხეს უწოდებს. გონიოზე ლაპარაკობს XVII საუკუნის თურქი მოგზაური ევლია ჩელებიც, რომელიც ამბობს, რომ გონიოში ზღვა პირდაპირ ადგებოდა ციხე–სიმაგრეს. გონიო ტრაპიზონის ვილაეთის ბათუმის სანჯაყში შედიოდა. სადაც ომის დროს 800 მეომარი იკრიბებოდა. გონიო ამ დროსაც სასაზღვრო პუნქტი იყო, სადაც მშვიდობიანობის დროს 500 მეომარი იდგა. XIX ს. პირველი ნახევრის გონიოს შესახებ ცნობები აქვთ დაცული ევროპელ მოგზაურებს კოხსა და სპენსერს. ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა–ცხოვრების შესახებ საინტერესო ფაქტებს გვაწვდიან კ. პალგრეევი, გ. ყაზბეგი და სხვა.

1878 წ. გონიო აჭარასთან ერთად ოსმალთა ბატონობისაგან გაანთავისუფლეს.

სანკტპეტერბურგში დაცული საარქივო მასალების მიხედვით დასტურდება, რომ გონიო–აფსაროსი ტროას აღმომჩენის, მიკენისა და ორქომენის შემსწავლელის ჰენრიხ შლიმანის ინტერესთა სფეროში მოქცეულა. იგი საკუთარი სახსრებით კისრულობდა განეხორციელებინა საველე არქეოლოგიური კვლევა–ძიებანი, მაგრამ ადრინდელი გამრუდებული კომერციული საქმეების გამო ჰ.შლიმანს საიმპერატორო კარისაგან ამისი დასტური ვერ მიულია. ჩვენი საუკუნის დამდეგისათვის (1904 და 1917 წლები) გონიო–აფსაროსის ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოების წარმოებისათვის ე.წ. „ღია ფურცელი" გაუციათ ცნობილი მეცნიერებისათვის ნ. მარისა და თ. უსპენკისათვის, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ვეღარც ეს სამუშაოები განხორციელებულა. მხოლოდ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო–კვლევით ინსტიტუტის გახსნის შემდგომ XX ს. 60–იანი წლებისათვის გახდა შესაძლებელი აქ მცირე მასშტაბის საველე–სადაზვერვო ხასიათის სამუშაოების განხორციელება.

გონიო–აფსაროსის კვლევაში ახალი ეტაპი იწყება 1994 წლიდან, როდესაც შეიქმნა გონიო–აფსაროსის მუზეუმ–ნაკრძალი. ყოველწლიურად ძეგლზე ფართო მასშტაბიან გეგმაზომიერ კვლევა–ძიებას ახორციელებს გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია.

უახლესი მონაცემების მიხედვით დასტურდება, რომ პირველი სამოსახლოები აქ ძვ.წ. VIII-VII სს. გაჩენილა. როგორც ითქვა, ესენია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისათვის კარგად ცნობილი ე.წ. დიუნური დასახლებები, რომლებიც გაგრა–ბიჭვინთამდე ვრცელდებიან. მეტ–ნაკლები ინტენსიურობით ცხოვრება გრძელდება კლასიკურსა და ელინისტურ ხანაშიაც (ძვ.წ. V-I სს), მაგრამ მაინც, გონიო–აფსაროსის აღმავლობა რომაული ხანიდან იწყება. ზემოთ აღნიშნულ წერილობით ცნობებთან ერთად შემთხვევითი აღმოჩენებითა თუ გეგმაზომიერი არქეოლოგიური გათხრების გზით მოპოვებულია მრავალფეროვანი ნივთიერი კულტურის ძეგლები.

განსაკუთრებით მდიდრულია 1974 წელს გონიოს ციხის მახლობლად გზის გაყვანისას ფერდობზე არმოჩენილი განძი, რომელშიც წარმოდგენილია ოქრომჭედლობის უბრწყინვალესი ნიმუშები: შიშველი ჭაბუკის ქანდაკება, კანელურებიანი ფიალა, მასიური წახნაგოვანი სამაჯურები, მედალიონი ჰელიოსის გამოსახულებით, ცხოველთა ბრძოლის ამსახველი გარსაკრავი, მხედრის, ფრინველისა და ცხოველის სტილიზებულ გამოსახულებიანი მოთვალული და დაცვარული ბალთები, ცვარათი გამოყვანილი სამკუთხედებით შემკული მძივსაკიდები, წნული ძეწკვები, კილიტები, ღილაკები, ორნამენტირებული ფირფიტები და ა.შ. გონიოს განძი ახ.წ. პირველი საუკუნეებით თარიღდება.

გათხრების შედეგად გამოვლენილი რომაული ხანის შენობა–ნაგებობიდან პირველ რიგში

დამთვალიერებელთა ყურადღებას იქცევს აბანოების, ე.წ. თერმების ნაშთები. ჯერჯერობით მიკვლეულია ორი აბანოს საძირკველისა და კედლების გარკვეული ნაწილი, ერთი მათგანი პატარა ზომისაა. ჰქონია მხოლოდ საქვაბე და ცხელი განყოფილება. უფრო მონუმენტურია მეორე აბანო, რომელიც მეციხოვნეებისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. აბანოს სამხრეთ ნაწილში განლაგებულია საქვაბე განყოფილება, სადაც სპილენძის ქვაბის ნაკვალევი ახლაცაა შემორჩენილი. საქვაბე განყოფილება წყვილი გვირაბით დაკავშირებულია ცხელი აბანოს სარდაფთან. ჰაერის ცხელი ნაკადი ათბობდა აბანოს იატაკსა და კედლებს, რომლებშიც დატანებული იყო თიხის მილები. აბანოს პირველი განყოფილება, ე.წ. კალდარიუმი სიმხურვალეს მაქსიმალურად შეიწოვდა. ცხელი აბანო ორი განყოფილებისაგან შედგება და იგი დაკავშირებული ჩანს თბილ აბანოსთან, ე.წ. ტეპიდარიუმთან, რომელიც ასევე ორი განყოფილებისაგან შედგებოდა. აქვე აღმოჩნდა იატაკის საყრდენი ქვის გათლილი სვეტები, გამოვლენილია ცივი აბანოს, ე.წ. ფრიგიდარიუმის კედლის კონტური, აბაზანები. აქვე იყო მოსაცდელი განყოფილება ე.წ. აპოდიტერიუმი. რომაული თერმის ნანგრევებზე ოსმალებს აღმოსავლური სტილი აბანო დაუშენებიათ.

აბანოთ უბანთან ახლოს, გონიოს ციხის სამხრეთ კარიბჭესთან აღმოჩნდა რომაული ხანის (II-III სს) მონუმენტური ნაგებობის ნაშთები, რომელიც გარნიზონის საერთო საცხოვრებლადაა მიჩნეული. შენობა ამოყვანილია დიდი ზომის (ზოგიერთის სიგრძე 1,6 მ–ია) საგულდაგულოდ დამუშავებულია ქვებით თიხის ხსნარზე. აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ კედელს 3 მ სიფართის გალერეაც მიუყვება. აღმოჩნდა ოთხკუთხა მოყვანილობის ფოსოებიანი ქვის ბაზები, რომლებზეც ხის კოლონები უნდა ყოფილიყო აღმართული. გონიო–აფსაროსის ამ პერიოდის ხუროთმოძღვრებაში წამყვანი ჩანს ხის კონსტრუქციები. ქვის წყობა უპირატესად საძირკვლისა და ზოგჯერ პირველი სართულის მშენებლობისასაა გამოყენებული, ხოლო მეორე სართული, სახურავი და კოლონადები ხისაგან კეთდებოდა. ამავე შენობას ჰქონია იატაკქვეშა გათბობა.სამხრეთ–დასავლეთ კუთხეში მარნის ნაშთებსაც მივაკვლიეთ. მსგავსი დიდი ზომის საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები ტრადიციულად კრამიტით ყოფილა გადახურული. სამხრეთ კარიბჭესთანავე, მე–20 კოშკის წინ აღმოჩნდა კიდევ ერთი რომაული ხანის ნაგებობის ნანგრევი, რომლის იატაკი და კედლები ჰიდრავლიკური ხსნარით ყოფილა დაფარული.

ციხის სამხრეთი კედლის დასავლეთ მონაკვეთზე, კერძოდ, 22–ე კოშკის წინ აღმოჩნდა რომაული ხანის ოთხკუთხა მოყვანილობის წყლის ცისტერნა, რომელიც ქვის კვადრში გამართული გამანაწილებელით წყალსადენთან ყოფილა შეერთებული. აქვე აღმოჩნდა ჭა.

მრავალმხრივ საინტერესო მასალაა გამოვლენილი შიდაციხის სამხრეთ–დასავლეთ კუთხეში. დედაციხის ეს ნაწილი რომაულ ხანასი ერთგვარ სამეურნეო–სახელოსნო უბანს წარმოადგენდა. მიკვლეულია 30–მდე ქვის ხელწისქვილი, ამფორების გამოსაწვავი ქურისა და წარმოების ნაშთები, აგრეთვე, რომაული ვერცხლის მონეტების განძი. აქვე გაითხარა ბავშვის სამარხი, რომელშიც წარმოდგენილი იყო ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს ნაკეთობანი, მათ შორის რომის იმპერატორების მონეტები.

მნიშვნელოვანი საველე სამუშაოები განხორციელდა ციხის ცენტრალურ ნაწილში. შეისწავლება რომაული ხანის მონუმენტური ნაგებობის ნანგრევები. ჯერჯერობით გამოვლენილია კედლებისა და საძირკვლის ნაწილი: შენობის სიგრძე 24 მ ყოფილა, სიგანე – 20

მ, იგი გარნიზონის უფროსის რეზიდენციად, ე.წ. პრეტორიუმადაა მიჩნეული. გამოიყოფა 9 სათავსო; მათ შორის დარბაზი, სადაც ხდებოდა ელჩების მიღება და სადღესასწაული ცერემონიალების ჩატარება. ამავე კომპლექსს ეკუთვნის დიდი ზომის ქვის ბაზები (2X1,2 მ, 1,4X1,3 და 1,2X1 მ–ზე). კედლების სიგანე 1,2–1,5 მ–ია; მათგან, აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედლები პილონებითაა გამასრებული, ხოლო ზოგან რუსტირებული კვადრებიცაა გამოყენებული. ფიქრობენ, რომ პრეტორიუმის ნანგრევებზე ადრეშუასაუკუნეებში ახალი ნაგებობა აღუმართავთ. ამ დროის უნდა იყოს შედგენილი დიდი ბაზები. ამ ნაგებობის ზუსტი გეგმა ჯერ არაა დადგენილი. მას ჰქონია გალერეა და ჩაუვლიდა ქვის ფილებითა და ბრტყელი კრამიტით მოპირკეთებული ქუჩა.

ქალაქის სანიტარულ-ჰიგიენური ცხოვრების შესახებ განსაკუთრებით მდიდარ მასალას იძლევა აქ აღმოჩენილი კანალიზაციის და წყალმომარაგების სისტემები.

ძეგლზე ადრებიზანტიური ხანის საკმაოდ საინტერესო მასალებმა იჩინა თავი. მათგან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს სხვადასხვა ნაგებობათა ნაშთები თუ არქეოლოგიური მასალები. სიმრავლით გამოირჩევა როგორც იმპორტული, ისე ადგილობრივი წარმოების ამფორები, საოჯახო–შინსახმარი კერამიკა, მინის ნაწარმი თუ იუსტინიანეს (527–565 წწ) სახელით მოჭრილი მონეტები და ა.შ.

განვითარებული შუასაუკუნეების ნაგებობები ჯერ არაა მიკვლეული. ისინი, როგორც ჩანს, მთლიანად ხის კონსტრუქციის იყო.

გვიანშუასაუკუნეებით (ოსმალთა ბატონობის ხანით) თარიღდება კერამიკული ნაწარმის გამოსაწვავი ქურა, მრგვალკოშკიანი ნაგებობის ნანგრევები, მეჩეთი, ზემოაღნიშნული აბანო და ქვაფენილიანი ქუჩები.

არქეოლოგიური გათხრებისას მოპოვებულია მდიდარი და მრავალფეროვანი ნივთიერი მასალა, რომელიც წარმოადგენს ძვირფას ისტორიულ წყაროს წარსული ეპოქების კვლევისათვის. მათ შორის მრავალრიცხოვნობით გამოირჩევა კერამიკული ნაკეთობანი: ხარის კულტთან დაკავშირებული რქისებრი სადგრები, საკურთხეველ–სამსხვერპლო, აგური, კრამიტი, წყალგაყვანილობის მილები, ქვევრები, დერგები, ქოთნები, ჯამები, ლანგრები, ოინოხოიები, ლუთერიები, სასანთლეები, ჭრაქები, განვითარებული და გვიანშუასაუკუნეების მოჭიქული კერამიკისა და ფაიანსის შესანიშნავი ნიმუშები: ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს სამკაულები: საყურეები, ბეჭდები, რგოლები, გულსაკიდები, მძივები, სამაჯურები, ქინძისთავები, ძეწკვები, სხვადასხვა დანიშნულების ნივთები – კოვზები, მახათები, ნემსები, დანები, ჭრაქები, სამფეხები, ბულა, კანდელიაბრი, ოქრომჭედლის შაქუჩი, ყალიბები და ა.შ., ბევრია ქვის ჭურვები, შურდულის ქვები, სალესები, საპრიალებლები, მორგვი და სხვა. ასევე ითქმის რკინის საბრძოლო იარაღების შესახებაც (შუბისა და ისრისპირების, ალებარდის ტიპის იარაღი, რკინის ჭურვები, ზარბზნის ლულის ნატეხები). მდიდარი კოლექცია დაგროვდა მინის ნაწარმის სახითაც. მოპოვებულია ძვლისგან ნაკეთები წერტილოვანი ორნამენტით შემკული კოსმეტიკური იარაღიც, ასევე იმდროინდელი ადამიანის რწმენა–წარმოდგენებთან დაკავშირებული მასალები, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ბრინჯაოსაგან დამზადებული სერაპისის პატარა ზომის ქანდაკება და ა.შ. გონიო–აფსაროსის სავაჭრო–ეკონომიკური ურთიერთობების კვლევისათვის განსაკუთრებული ღირებულების მასალას წარმოადგენს ნუმიზმატილური მონაპოვარი. მაკედონიური მონეტის შესახებ უკვე ითქვა. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია რომაული ხანის ფულის ნიშნები (ნერონი, ვესპასიანე, დომიციანე, ადრიანე, ანტონიუს პიუსი, ფაუსტინა, სეპტიმიუს სევერუსი, კომოდუსი, გორდიანე III, აერელიანე და სხვა). ცალკე უნდა აღინიშნოს იუდეის მეფე აგრიპა I ირონდის (37–44 წწ) სახელით მოჭრილი სპილენძის მონეტაზე. ახ.წ. 42–44 წლებში მოჭრილი ფულის ასეთი ერთეული პირველად აღმოჩნდა საქართველოში და იგი საერთოდაც იშვიათობას წარმოადგენს. მონეტათა კოლექციაში გვხვდება აგრეთვე, როგორც ბიზანტიური (იუსტინიანე), ასევე ევროპული და ოსმალური მონეტები.

ბრინჯაოს განძი მდ. ჭოროხის აუზიდან

პერგამოსისა და სამოსის სავაჭრო–სახელოსნო ცენტრებთან კონტაქტის მანიშნებელია გონიო–აფსაროსში აღმოჩენილი წითელლაკიანი კერამიკული ნაწარმი. მრავალრიცხოვანია სხვადასხვა საწარმოო ცენტრის ამფორები (კოსი, იტალიკური, სამხრეთ ესპანეთი (პირველად აღმოჩნდა საქართველოში), როდოსი, სინოპე, ჰერაკლეა, ბიზანტიონი და ა.შ.)

როგორც ვხედავთ, გონიო–აფსაროსი ათასწლეულების მანძილზე წარმოადგენდა მნიშვნელოვან სტრატეგიულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცენტრს. აქ გადიოდა უმნიშვნელოვანესი საზღვაო და სახმელეთო მაგისტრალები. საველე სამუშაოები გრძელდება, კიდევ ბევრ საიდუმლოს ინახავს გონიო–აფსაროსის მადლიანი მიწა...

ზვიად ველიაძე
წაბლანის საჯარო სკოლის დირექტორი

„ჯვრის გამოსახვითა და მამო ჩვენოთი" დაწყებული ჩვენი გმირი წინაპრების შთამომავალთა ბრძოლა თავისუფლებისთვის

„ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ, და ერთ რასმეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება: ჩვენ ყველამ, ხელების ცისკენ აპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდეც რომ მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკარით, ვინძლო ვინმეს გულში ჩარჩენილი გაქცევის სურვილი ამით ამოიქოლოს და მტერს, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე გულით დაუნდობლად შევუტიოთ"

წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი

„თავისუფლება ლომთა ხვედრია!" მხოლოდ ძლიერ ადამიანებს შეუძლიათ იყვნენ თავისუფლები და მხოლოდ თავისუფალ ადამიანებს შეუძლიათ ღმერთამდე იარონ!

ერის გადარჩენა ყოველთვის იდგა ქართულ ჯარზე, სამხედრო მხედართმთავრობაზე, სამხედრო ინტელიგენციაზე. უმეტესწილად ისინი იღებდნენ ცოცხალ მსხვერპლს მოყვასის, ერის და ქვეყნის გადარჩენისათვის.

მსოფლიოში მოთარეშე სატანურმა ძალებმა ყველა დროში აწიოკა და აუბედურა მსოფლიოს მშვიდობიანი მოსახლეობა. ამ დიდ ბოროტებასთან ბრძოლა მსოფლიოს ბევრ რეგიონში უხდებოდა ქართველ მებრ-

ძოლს, რომლის სულში ნებსით და უნებლიეთ ინახებოდა სამართლიანობის სიყვარულით გამოწვეული სიამაყე, თავგანწირვის შინაგანი წყურვილი და მსოფლიო მშვიდობაზე პასუხისმგებლობა. ამ ყველაფრისთვის ის მოტივად იყენებდა ძმადნაფიცობის ფენომენს, მამაშვილობის სიყვარულს, სატრფოსთან ღირსეულობას, უპირატესობის წყურვილს თავგანწირვაში, დედის სიყვარულით ღვთისმშობელზე მსახურებას, მიწის სიყვარულს, საკუთარ მიწაზე დასაფლავებულ წინაპართა საძვალეს, მთის შეუბღალაობას და ღვთისადმი მორჩილებას!

ამ ნიადაგზე შექმნილმა ქართულმა ჯარმა შეუდარებლად, წარმოუდგენელი გამძლეობით მოიტანა დღემდე ქართული სახელმწიფო და ღვთისმშობლის კურთხეული ქვეყნის არსებობაზე პასუხისმგებლობა.

ღვთის განსაკუთრებულმა სიყვარულმა დაუმარცხებლობის ჯავშანით შემოსა ქართული ჯარი და მიუხედავად შესაძლებლობებისა არასდროს ყოფილა დამპყრობელი. **„სამშობლოს არვის წავართმევთ, ნურც ნურვინ შეგვეცილება“** მგოსანთა მიერ ნაანდერძევი თავგანწირვის ეს ორიენტირი, თითქმის გენურად, მემკვიდრეობით გადმოგვეცა პირველ ქრისტიანთაგან. ეს კი რჩეული ქვეყნების ხალხთა არამოძალადე სულის გამოძახილია. მსგავსი მიდგომა შინაგანი დემოკრატიის უმაღლესი გამოვლენაა. **„დემოკრატიის ჭეშმარიტი არსი მდგომარეობს იმაში, რომ შექმნას ისეთი საზოგადოება, სადაც ერთი ადამიანის თავისუფალი ქმედება მეორე ადამიანის ცხოვრებასა და საკუთრებას ზიანს არ მიაყენებს.“ /ინდოელი ხალხის ლიდერი მაჰათმა განდი/.**

ქართველ მეომარს, მის როლსა და მისიას იმოდენა დატვირთვა და შინაგანი შინაარსი ჰქონდა, ლამის ყველა ქართველი პოტენციურად მებრძოლად ყალიბდებოდა. ამის უამრავი მაგალითი არსებობს. შესაძლებელია ქართველი ვაჟკაცის გენეტიკურ კოდში თანდაყოლილმა ბრძოლისუნარიანობამ და სამშობლოსადმი სიყვარულმა, ბუნებისადმი ჰარმონიულმა დამოკიდებულებამ შვა ქალი მეფე წმინდა თამარი.

მიზანსწრაფულობა ისედაც პატარა ქვეყნის პაატარა კუთხეებს შორის გამოკვეთილად თავდადებაში, ვაჟკაცობასა და ქვეყნისთვის მსხვერპლის გაღებაში გამოიხატებოდა. ამ მხვრივ განსაკუთრებულია და დიდ მსხვერპლს მოიცავს აჭარის ისტორია მოძმეებთან ერთად თავდადების და სულიერ ფიზიკური ტკივილის ხარჯზე უამრავი მსხვერპლის გაღებაში. მუდმივი ბრძოლა და რწმენა ლოცვით სრულყოფას განიცდის და სრული გაერთიანება, დამოუკიდებლობა მაინც მოვა, ამაზე დავა უკვე ზედმეტია.

აჭარის მთის პატარა სოფლის, შუახეველ წაბლანელთა სამშობლოსათვის სამსახური და მსხვერპლიც განსაკუთრებულია და საბედნიეროდ, ღვთისწყალობით სამშობლოსადმი სამსახური მუდმივ პროგრესს განიცდის.

ამის დასტურია აჭარის განთავისუფლებისათვის კახაბერში გამართულ ბრძოლების მონაწილე „15-ი უსახელო“ რაინდის თავდადება; დიდი სამამულო ომის მონაწილეები ალო, ბექირ და ილიას მუთიძეები, შუქრი და ჯეფერ ბერიძეები, იუსუფ კეჟერაძე, რომელთაგან ილიას მუთიძე, შუქრი ბერიძე, ჯეფერ ბერიძე და იუსუფ კეჟერაძე ომიდან აღარ დაბრუნებულან; აფხაზეთის ომის ვეტერანები გურამ და ამირან ბერიძეები, ეს უკანასკნელი თავისი ნებით აღმოჩნდა აფხაზეთის ომში, იმ მოტივით, რომ **„ოჯახში სამი ვაჟკაცის არსებობის შემთხვევაში ომში ნებაყოფლობით არწასვლა სირცხვილად მიაჩნდათ“.**

ქვეყნის გადარჩენა მსგავსი ვაჟკაცური, მხოლოდ თავგანწირვის უნარით ამაყი ქართველი ჯარისკაცების ზურგზე იყოს ყოველთვის.

ვინც დღეს სამხედრო მუნდირს აღარ ატარებს, თითეულმა ბოლომდე ღირსეულად შეასრულა თავისი მოვალეობა სამშობლო წინაშე.

დღეს, კი როგორც არასდროს 60 კომლიან სოფლის მრავალ ჯარისკაცთაგან ერთმანეთზე უკეთესნი ღირსეულად ატარებენ ქართველი მეომრის მუნდირს. საოცარია და მადლობა ღმერთს თითეული განსაკუთრებულ მაგალითს იძლევა სწორად ცხოვრების, ვაჟკაცობის და წარმატებული სამხედრო საქმიანობისათვის.

რადიო თავისუფლების ვებ.გვერდი გვაუწყებს:

,,თავდაცვის ეროვნული აკადემიის კურსდამთავრებულ ომარ თურმანიძეს 17 ივნისი არასოდეს დაავიწყდება. ”ბ” კურსის წარჩინებულ მსმენელს დიპლომი და პირველადი სამხედრო წოდება ,,ლეიტენანტი” პირადად შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ ზაზა გოგავამ გადასცა. ოფიცრის სააღლუმო მუქ ლურჯ ფორმაში გამოწყობილმა სპორტული აღნაგობის ახალგაზრდა ოფიცერმა რადიო ,,თავისუფლებას” უთხრა: **,,მიზანი და გამძლეობა ოფიცრად გახდომის აუცილებელი წინაპირობაა.“**

ომარ თურმანიძე: ,,პირველადი, ეგრეთ წოდებული საკარანტინო, პროგრამა ითვალისწინებს გამოცდას გამძლეობაზე, რაც მეტნაკლებად მძიმე იყო, მაგრამ ვაჟკაცისათვის გადაულახავი, მიუღწეველი არაფერია. მთავარია მიზანი!”

ოდითგანვე ყველაზე უკეთ ქვეყანას მტრისგან მთა ინახავდა. საქართველოს მთა ყოველთვის იყო და არის ღვთისაგან მადლით შემოსილი გამძლეობის, სინდის-ნამუსის, მიწის რჯულის კანონის განმახორციელებელი. ისტორიულ ქარტეხილში აოხრებული ქალაქების გადარჩენის წყარო მთას შემოუნახავს. ზუსტად მთისათვის დამახასიათებელი სიწმინდის, ბრძოლისუნარიანობის, სამშობლოსათვის თავდადების, ოჯახისათვის მსახურების მოტივმა ჩვენდა გასახარად ბევრი ჯარისკაცი დაბადა მთის პატარ-პატარა სოფლებში. ასეთი პატარა სოფლების რიგებშია ულამაზესი, უამრავი სიკეთით სავსე სოფელი წაბლანა.

როცა ხუთ ოჯახზე ერთი სამხედრო პირი მოდის, დასაფიქრებელია როგორც ვაჟკაცთა აღზრდის ინსტიტუტის არსებობა, ასევე რაოდენობრივი აუცილებლობა.

საოცარია, გონიერ და ბრძოლისუნარიან ადამიანთა არჩევანი, ისეთებისა, როგორიცაა ომარ თურმანიძე. ის ბათუმის საავიაციო ინსტიტუტში საინჟინერო ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე ,,საფრენი აპარატებისა და საჰაერო ხომალდების ტექნიკურ ექსპლუატაციის“ სპეციალობის დამთავრების შემდეგ მეორე უმაღლეს სასწავლებელს ამთავრებს.

2005-2008 წლებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროენერგეტიკის ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში ნიჭისა და დიდი შრომის საფუძველზე პარალელურად 2007-2008 წლებში სწავლობს და ამთავრებს დ.აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიას, სადაც 2008 წელს ენიჭება ოფიცრის პირველადი წოდება ,,ლეიტენანტი“.

ასევე აღსანიშნავია **ზაურ ბერიძე**, რომელმაც 2005-2009 წლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის სპეციალობის დამთავრების შემდეგ, 2009 წლის ოქტომბერში ირიცხება დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის უმცროს ოფიცერთა მომზადების კურსზე. 2011 წლის 26 მაისს ენიჭება ლეიტენანტის წოდება, ამასთან ერთად სამსახურს აგრძელებს მე-2 ქვეითი ბრიგადის 21-ე ბატალიონში.

მთაში გაზრდილ ვაჟკაცებზე დაკვირვებით შევნიშნავთ, რომ მათ გარემოში მოხვედრისას მისაბაძია ვაჟკაცური სულისკვეთება შესაბამისი გამოვლინებებით: სიმართლის სი-

ყვარულით, მაღალი იდეალებისთვის თავგანწირვით, ერთგულებით, გულწრფელობით და საჭიროების დროს ზეადამიანური გაუტეხლობით. „ყველაზე სამართლიანი მცდელობაც კი გაუფასურდება, თუკი გასამარჯვებლად უსამართლო გზების ძიებას დაიწყებს“-ბრძანებს მაჰათმა განდი. სწორედ ვაჟკაცური ბუნებისადმი მისწრაფება ბადებს წარმატებულ ვაჟკაცებს და რაინდული სულის ქართველებს. ცხადია ჰუმანური საზოგადოების მშენებლობაც მხოლოდ მორალზე დაყრდნობითაა შესაძლებელი.

მიუხედავად უმაღლესი განათლებისა და წარმატებებისა (ამ ბიჭების ფრიადებზე სწავლას დღესაც სიამაყით იხსენებს მათი მშობლიური სკოლა) ბათუმის მემედ აბაშიძის სახელობის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე სამართალმცოდნეობის სპეციალობის მიღებისა და სამხედრო სავალდებულო სამსახურის დასრულების შემდეგ **ზვიად შარვაშიძე** მუშაობას იწყებს სამხედრო ძალებში ზევადიან სამსახურში და ძალიან მოკლე დროში 2004 წელს 25-ე მსუბუქ ქვეით ბატალიონში III მექანიზირებულ ასეულის ნაღმმტყორცნთა სექციის მეთაური ხდება.

საინტერესო და ასაკისათვის წამოუდგენელ კარიერულ გზას გადის **ომარ თურმანიძე**: გადის ეროვნული თავდაცვის აკადემიის ენობრივი მომზადების ცენტრის ინგლისური ენის ინტენსიური მომზადების კურსს(ქალაქ ბათუმში).

შემდეგ აშშ-ის თავდაცვის ენის ინსტიტუტის ინგლისური ენის ცენტრის მოსამზადებული კურსის (სან-ანტონიო-ტეხასი). 2016-2017 წლებში კი - აშშ-ის არმიის საჰაერო თავდაცვის კაპიტნის საკარიერო კურსსს(ბორტ-სილიოკლაჰორში).

მიუხედავად სპეციალობისა სამხედრო გზის არჩევის გაკეთების შემდეგ **ზაურ ბერიძე** გადის რეინჯერთა კურსს, რის დასრულების შემდეგ გაიარა საპარაშუტო მომზადების კურსი და განათლების სარდლობის საერთო საჯარისო ცენტრში ლოჯისტიკის კაპიტნის საკარიერო კურსი.

ვინც ცოტა მაინც იცნობს მაღალმთიან სოფლებს და მათ სპეციფიკას, სირთულეებთან ჭიდილის გამოცდილებას, ერთადდგომის ლამის თანდაყოლილ უნარს, აღმოაჩენს, რომ ერთი კარგი მაგალითიც და სახელმწიფოსგან ხელშეწყობა გეომეტრიული პროგრესიით

ზრდის ახალ თაობაში ბუნებრივად ვაჟკაცურ მისწრაფებას.

აშშ-ის არმიის საჰაერო თავდაცვის კაპიტნის საკარიერო კურსის დასრულებისას საქართველოში გამომგზავრებამდე **ომარ თურმანიძის** მოწერილ წერილში ვკითხულობთ: **„მიუხედავად სირთულეებისა თუ ერთად ვიქნებით ყველა მიზანს მივაღწევთ, ამ ქვეყნად შეუძლებელი არაფერია“**.

ეს ერთგვარი გზავნილია მთიელ კაცთა ერთად დგომის დაუოკებელი წყურვილისა. ბუნებრივია, მიზანში საკაცობრიო შედეგები იგულისხმება. უსაფრთხოებას კაცობრიობა მაშინ მიაღწევს, როდესაც ადამიანები ერთმანეთთან თანასწორ და ძმურ ურთიერთობას ისწავლიან.

საზენიტო-სარაკეტო დივიზიონის I-საცეცხლე ბატარეის საბრძოლო მანქნის მეთაური, რადიოლოგიური დაზვერვის ბატარეის ოპერატიული მართვის ოფიცერი **ომარ თურმანიძე** 2012 წელს გადის ეროვნული თავდაცვის აკადემიის კაპიტნის საკარიერო სკოლის მანევრის კაპიტნის საკარიერო კურსს და კიდევ ერთხელ უფო მეტი და მეტი შრომის მოტივით ამტკიცებს საკარიერო კურსის უფროს ინსტრუქტორად ყოფნას!

საქართველოს უკვდავება და გამძლეობა ყოველთვის იდგა ღვთის რწმენასა და მრავალშვილიანობაზე. სახმელეთო საზღვრის დაცვის პოლიციის თანამშრომელი **ლომინ ბერიძე** მეუღლესთან ერთად დღეს ქვეყანას ხუთ შვილს უზრდის. სასაზღვრო პოლიციის



ჯარისკაცი **ჯემალ ბაკურიძე** მეუღლესთან და ოთხ შვილთან ერთად ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას ემსახურება. საქართველოს სასაზ-

ღვრო პოლიციის ზემსახური **მალხაზ მუთიძე** სამშობლოს სამ ვაჟკაცს უზრდის. ვფიქრობთ, სამოქალაქო და სამხედრო პირების შვილთა სიმრავლიდან გამომდინარე, შევნიშნავთ, რომ ყველა სამხედრო პირი დაოჯახებულია.

კაპიტანი **ომარი თურმანიძე** მის მეუღლესთან – დოქტორანტ დიანა ზურაბის ასულ ზოიძესთან ერთად – ორ შვილს ზრდის.

„არაბუნებრივი და არაჩვეულებრივი უნდა მოიმოქმედო, შვილის სიყვარული ადვილია, ეს ყველას მოსდგამს. იქნებ არც შვილის შეძულებაა ძნელი, ასეთებიც არიან. აი, გულის არსებით გიყვარდეს და გასწირო, გაიმეტო, გულიდან ამოიგლიჯო, აი ეს არის ძნელი მრავალზე მრავლისათვის, შეუძლებელიც, მაგრამ ჩვენ ხომ შეუძლებელიც უნდა შევძლოთ, რომ მამულის მთლიანობა დავიბრუნოთ. დანაწევრებული საქართველოს შვილებს ნუთუ გულიც დაგვიკნინდა და დაგვინაწევრდა, თავგანწირვა დაგვავიწყდა. მაშინ როგორღა იარსებოს ერმა, თავგანწირვა ადვილია, შვილის გაწირვაა ძნელი"

/ლევან გოთუა/

შვილის გაჩენა და სამხედრო სამსახურში მისთვის გზების დალოცვა ზუსტად იმ ვაჟკაცურ სულს ეყრდნობა, რაზეც ლევან გოთუა საუბრობს.

ლოცვა წმინდა მეფეთა გამარჯვების ყველაზე ჩუმი იარაღია. ღვთისმშობლის კურთხეული ქვეყნის დედის ლოცვა ყველაზე კარგი საზრდოა ჯარისკაცის გადარჩენისთვის.!

როცა ჯარისკაცების ქვეყნისათვის სამსახურს წარმოვაჩენთ, ბუნებრივია მოიაზრება სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება, რომლის უწყვეტი პრაქტიკა გააჩნია საქართველოს. ომის მრავალ უბედურებათაგან ერთ-ერთი და ძირითადია თავდადებულ, ბრძოლისუნარიან, ოჯახისა და ქვეყნის მოყვარულ ახალგაზრდათა გმირული თავდადება. უფრო მეტი ტკივილის საფუძველს კი იწვევს დაობლებული შვილები, დაქვრივებული მეუღლეები, შვილმკვდარი მშობლები.

ღმერთო დაულოცე შვილები ოფიცერ **ზაურ ბერიძეს**, სპეციალორი ოპერაციების ძალების საზღვაო სპეცდანიშნულების რაზმის ინსტრუქტორთა ჯგუფის ინსტრუქტორს **ზვიად შარვაშიძეს**, სახმელეთო ჯარების დასავლეთ სარდლობის მე-3 ქვეითი ბრიგადის 31-ე ქვეითი ბატალიონის შტაბის სერჟანტს – **რუსლან თურმანიძეს**, ბათუმის

შოთა რუსთველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მაგისტრატურა დამთავრებულს, სასაზღვრო პოლიციის ზემსახურს – **ელგუჯა ზოიძეს**.

მიმზიდველი და სიკეთითაა ნასაზრდოები ჯარისკაცთა უბრალოება. გულს ახარებს მათი წარმატების დამადასტურებელი უამრავი ოფიციალური აღიარება. ეს იმ შინაგანი რესურსის დამადასტურებელია, რომელიც ადამიანებს ამპარტავნობისაგან იცავს და მიზეზია კეთილშბილური ბუნების ფორმირებისათვის.

მედალს **„უმწიკლო სამსახურისთვის“** იღებს ოფიცერი **ზაურ ბერიძე,** სერჟანტი **ზვიად შარვაშიძე** და **მერაბ ბერიძე.**

თუ დავუკვირდებით პატარა სოფლიდან წარგზავნილ, ოჯახისა და გარემოსგან ვაჯკაცობა-კეთილშობილება შთაგონებულ ჯარისკაცების მიერ მიღებულ ჯილდოებს, მედლებს, სიგელებს და სერტიფიკატებს, ამაყად ვიტყვით, რომ ეს საამაყო იქნებოდა ჩვენნაირი პატარა სოფლისთვის!

კაპიტან **ომარ თურმანიძის** სტუდენტობის პირველი წლეებიდან იწყება მრავალმხვრივი უნარის გამოჩენა: მძლეოსნობაში 400 მეტრიან დისტანციაზე სირბილში I ადგილის დაკავებისთვის ჯილდოვდება სიგელით. იღებს დიპლომს მაგიდის ჩოგბურთში I ადგილის დაკავებისთვის. საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტს, სტუდენტთა პირველ სამეცნიერო კონფერენციაში წარდგენილი თემისთვის ეძლევა I ხარისხის დიპლომი. იღებს სერტიფიკატს შეიარაღებული ძალების მომსახურებისათვის „ადამიანთა ვაჭრობასთან ბრძოლა“, იღებს საპატიო სიგელს საბრძოლო მომზადებაში გამოჩენილი მაღალი პროფესიონალიზმის და ფუნქციონალური მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისათვის. კაპიტანი ომარ თურმანიძე წარმატებით გადის ამერიკულ ინგლისური ენის კურსს თავდაცვის დეპარტამენტში და ეძლევა დიპლომი. ამ ყველაფრმა გვიჩვენა, რომ ქართველ ჯარისკაცს მეტი სითბო, დაფასება, აღიარება, უზრუნველყოფა და ხელშეწყობა სჭირდება, რომ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა სასურველ გამარჯვებამდე ავიდეს.

მოტივირებული და პერსპექტიული ოფიცერი **ზაურ ბერიძე** ამჟამად მსახურობს მე-2 ქვეითი ბრიგადის 21-ე შერეულ ჯავშანსატანკო ბატალიონში, უფროსი ლეიტენანტის სამხედრო წოდებით. ზაური ბერიძე დაჯილდოებულია მედლით **„ქაქუცა ჩოლოყაშვილი“; ზვიად შარვაშიძე** კი მედალს – **მედალი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გამტკიცების საქმეში გამოჩენილი დამსახურებისთვის „სამშობლოსათვის თავდადებული”; რუსლან თურმანიძე,** ომის ვეტერანია. სხვადასხვა დროს უმუშავია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების სამხედრო პოლიციის სწრაფი რეაგირების ბატალიონში. მიღებული აქვს მონაწილეობა 2008 წლის აგვისტოს ომში – კერძოდ ცხინვალის რეგიონში რუსეთ-საქართველოს შორის შეიარაღებულ საომარ კონფლიქტში. წვრთნისა და სამხედრო სარდლობის ეროვნული ცენტრის „კრწანისი“-ს მიერ მიღებული აქვს სერტიფიკატი, საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან მიღებული აქვს სერტიფიკატი საწყისი საბრძოლო მომზადების კურსის დასრულებისათვის, ერთ-ერთ სერტიფიკატზე იკითხება: **„საბრძოლო და მაშველის წარმატებული მონაწილეობისათვის. თქვენმა მოტივაციამ და თავდადებამ თქვენგან ჩამოაყალიბა საიმედო საყრდენი თქვენი ქვედანაყოფისა და ქვეყნისათვის!“** ასევე საქართველოს შენარჩუნებისა და სტაბილურობის ოპერაციათა პროგრამა II-ში მიღებული აქვს წარჩინებით დამთავრების სერტიფიკატი.

ვფიქრობ, ქართველებს ყოველ დროში გარკვეულწილად გვიჭირდა და დღეს მეტად გვიჭირს სამხედრო მოსამსახურეთა წარმოჩენა, აღიარება და მათი საქმიანობის დაფასება. ბუნებრივია საზოგადოება უკვე გრძნობს, რომ ეს საჭიროა, როგორც ქვეყნის განვითარებისათვის აუცილებელი ინსტრუმენტი. ირგვლივ რამდენი ადამიანი დადის, ვისზეც მცირედი თუ ვიცით მათი წარმატებული სამხედრო სამსახურის შესახებ.

კაპრალ **რამინ თურმანიძეს** მიღებული აქვს სერთიფიკატი საქართველოს შეიარაღებული ძალების სატანკო ბატალიონის სწავლებისას 2005 წელს „ჯავშანი 2005“. 2016 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ იღებს საპატიო სიგელს **თანამებრძოლებზე სამხედრო საკითხებში დახმარების გაწევისათვის**. იმავე წელს კაპრალ რამინ თურ-

მანიძემ გაიარა ეკიპაჟის მოსამზადებელი შეკრება ეკიპაჟის მეთურის სპეციალობით და მიიღო შესაბამისი სერტიფიკატი. სახმელეთო ჯარების დასავლეთის სარდლობისგან საშტაბო სამეთაურო სწავლებაში მიღებული აქვს სერტიფიკატი „ფარი-2016“. გამორჩეული ადამიანური და გონებრივი მახასიათებლების ჯარისკაცი დღემდე აგრძელებს სამხედრო საქმეს უფროს ძმასთან ერთად.

ქართული ჯარში მთის ამ პატარა სოფლის წარგზავნილი ჯარისკაცების სამშობლოსადმი ერთგული სამსახური გვიჩვენებს, ჯარის სიცოცხლისუნარიანობასა და მიზანსწრაფულობას. მთავარია ჯარისკაცთა ცხოვრების წარმოჩენა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის სამოქალაქო საზოგადოებისგან მეტი ხელშეწყობა.

მადლობა ღმერთს, რომ არსებობენ ადამიანები, რომელთაც აქვთ მოტივაცია რაინდობის, რასაც სამშობლოსადმი და მაღალი იდეალებისადმი სიყვარული ასაზრდოებს. ზუსტად თავდადებისადმი მოტივაცია მიზეზი სერჟანტ **ჯუმბერ ზოიძის, „რკინის კაცად წოდებული ჯარისკაცის“,** აგვისტოს ომში მიღებული გიორგი მაზნიაშვილის სახელობის მედალი **„სამშობლოსათვის თავდადებული“.**

ძმასთან ერთად, უმაღლესი განათლებით, სკოლიდან და სტუდენტობიდან გამორჩეული, ამ დროისთვის სასაზღვრო პოლიციის სერჟანტი **ელგუჯა ზოიძე** ასევე მოკრძალებით ამხელს შრომის შედეგს: მიღებული აქვს ორი სიგელი სამსახურის კეთილსინდისიერად შესრულებისთვის და ოთხი მადლობა ტესტირების წამატებით ჩაბარებასთვის და სამსახურის კეთილსინდისიერად შესრულებაში. ხუთი ფულადი პრემია საზღვრის დამრღვევთა დაკავებაში. მიღებული აქვს ორი სერტიფიკატი პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

წოდებით „მასტერ სერჟანტმა“ **მალხაზ მუთიძემ,** სპეციალობით იურისტ-ეკონომისტმა 2008 წელს წარჩინებით გაიარა სასაზღვრო პოლიციის წვრთნისა და გადამზადების ცენტრის კურსი, იღებს სიგელსა და შესაბამის სერტიფიკატს. სამსახურის სანიმუშოდ და კეთილსინდისიერად შესრულებისათვის იღებს ათეულობით მადლობას. ხუთი შვილის მამა ლომინ ბერიძე კი სამჯერ იღებს მადლობას სამსახურის კეთილსინდისიერად შესრულებისათვის.

როცა სამხედრო ფორმაში გამოწყობილ ჯარისკაცების ცხოვრებას დავუკვირდებით,

ნათლად იკვეთება, თუ რამოდენა ღირსებას ატარებს თითოეული ჯარისკაცი. უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის მიერ დალოცვილი ქართული ჯარი საგმირო საქმეებზე სახელდებული ქვეყნის სიძლერის უტყუარ დასტურს წარმოადგენს.

ქვეყნის გადარჩენისთვის აუცილებელ მრავალ კომპონენტთან ერთად დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესება და მრავალშვილიანობა განსაკუთრებულია. ამის დასტურია მრავალშვილიანი ოჯახის წევრის, სასაზღვრო პოლიციის ჯარისკაცის **ჯემალ ბაკურიძის** მიღებული სიგელები და მადლობები.

ქვეყნის სიძლიერე ისტორიული გამოცდილებით გროვდება. საერთაშორისო მისიებში ნებაყოფილობითი მონაწილეობა ადასტურებს სამხედრო ინტელიგენციის (სამხედრო უწყების) მოტივაციას მშვიდობის შენარჩუნებისათვის

წოდებით სერჟანტი **ზვიად შარვაშიძე**, რომელსაც სხვადასხვა თანამდებობაზე უმუშავია, 2005–2006 წლებში იყო სამშვიდობო მისიით ერაყში; მონაწილეობა აქვს მიღებული 2004–2008 წლების ცხინვალის კონფლიქტურ სიტუაციებში. **რუსლან თურმანიძეს** 2013–2014 წწ მონაწილეობა აქვს მიღებული ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში სამშვიდობო მისიაში (ISAF). არის დაჯილდოვებული მედლით სამშვიდობო მისიაში მონაწილეობისთვის ჩრდილო ატლანტიკური (NATO) ალიანსის მიერ. 2013 წელს გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა მომზადების ცენტრში ოცეულის შუალედური კურსის გავლის შემდეგ სერჟანტი **ჯუმბერ ზოიძე** მონაწილეობას იღებს „საერთშორისო უსაფრხოების მხარდამჭერთა მისიაში“ ავღანეთში და იღებს მედალს სამშვიდობო მისიაში მონაწილეობისთვის. საქართველოს შეიარარებული ძალების მეორე ქვეით ბრიგადის მებრძოლმა **მერაბ ბერიძემ** 2014 წელს მიიღო მონაწილეობა აისაფის სამხედრო მისიაში ავღანეთის რესპუბლიკაში, ჰერმანდის პროვინციაში, სადაც მიიღო მედალი სამშვიდობო მისიაში მონაწილეობისათვის ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაციისგან და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსგან.

. . .

სამშობლოს ერთგული ჯარისკაცები ქვეყანას ეკუთვნიან!

ნათლად იმზირება მიზანი: **ესაა ვაჟკაცური და ეროვნული პასუხისმგებლობა! მათში ძალიან დიდი ენერგიაა ვაჟკაცობამამულიშვილობისათვის, ღრმად ეროვნული მისწრაფებების გარეშე ამ მისიის აღსრულება და სამაგალითო წარმატებების მიღწევა, სამშობლოსათვის თავდადებული ბრძოლა წარმოუდგენელია.**

ღმერთმა ინებოს სამშობლოს დაცვის ნიჭი მიჰმადლოს ყოველ თანამემამულეს, ქართველ ჯარისკაცს.

ღმერთმა ინებოს სამშობლოს სიყვარულით ქვეყნის გაძლიერება, ამინ!

ი ნ ტ ე რ ვ ი უ*

მამუკა თურმანიძესთან

აჭარის ა. რ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სოფლის მეურნეობის დარგობრივი განვითარების
განყოფილების უფროსი, სოფლის მეურნეობის მაგისტრი

აჭარის ა. რ. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უმნიშვნელოვანესი პროგრამა და ამოცანები განახორციელა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (სამამულო პროდუქციის) წარმოების მხრივ, სოფლად ფერმერული მეურნეობის განვითარების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის = გამართული მუშაობის, სასოფლო–სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების წესით ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე მიყიდვის, მრავალწლიანი კულტურების (ნიგოზი, თხილი, მოცვი, ხურმა და სხვა) ფერმერებზე მიყიდვის თანადაფინანსების შუამდგომლობითა და სხვა მრავალი საჭირო ღონისძიება დაგეგმა და შეასრულა. ამ მიმართებით, როგორია თქვენი აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა და ამოცანები.

აჭარის ა. რ. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2013–2016 წლებში განახორციელა 6 პროგრამა, რომელიც მოიცავდა 25 ქვეპროგრამას. პროგრამები განხორციელდა, როგორც მცირე მექანიზაციის, ტექნიკური საშუალებების, ფერმერთა და მცირე მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით, ასევე მემცენარეობის დარგის განვითარების მიმართულებით და მეცხოველეობის დარგის განვითარების მიმართულები. აგრეთვე პროგრამების მიმართულება 2013 წელში იყო კვლევები მემცენარეობის მავნებელ დავადებებისა და პესტიციდების საჭიროების მიმართულებით. მინდა ავღნიშნო, რომ არნიშნული ქვეპროგრამების განხორციელების ძირითადი მიმართულება არის ის, რომ მოხდეს სოფლად არსებული ტექნიკის გადაიარაღება და ახლის შემოტანა. ფერმერებისა და მცირე მეწარმეებისთვის მიწოდება. მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგის განვითარება. მაგ. სრული ტექნიკის მიწოდების ფარგლებში – ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე მიწოდებულია ამ დროის განმავლობაში მცირე მექანიზაციის საშუალება. მოგახსენებთ, რომ სამექანიზაციო საშუალებების გამოყენებით მოხერხდა და ჩანაცვლებული იქნა ხარით გამწევი გუთნის შრომა. შესაბამისად ამისა, სამინისტრო ცდილობს, გარდა ტექნიკის მიწოდებისა მიაყოლოს მას ისეთი დანადგარები, რომელიც მისაბმელი იქნება მოტობლოკზე და მთლიანად გახდეს მექანიზირებული სასოფლო–სამეურნეო წარმოება – სოფლად. მაგალითად ავიღოთ, კარტოფილის რგვის პროცესი, ყველამ ვიცით, რა რთული და რაოდენ მძიმე სამუშაოებს მოითხოვს; აქედან გამომდინარე სამინისტრო გარდა იმისა, რომ მოსახლეობას აწვდის მრავალფუნქციურ მოტობლოკებს, ასევე აწვდის კარტოფილის სარგავ საშუალებებს. აღნიშნული დანადგარების გამოყენებით ფერმერს საშუალება ეძლევა ნიადაგის დამუშავებიდან, ძირითადი სასოფლო–სამეურნეო წარმოების პროცესიდან ნიადაგის დამუშავება, შემდგომ მისი თესვა, სასუქების შეტანა და მოსავლის აღებაც კი განახორციელოს მექანიზირებულად. ჩვენი სამომავლო ხედვაც არის იმ მიმართულებით, რომ მთლიანობაში დავხვეწოთ და სამომავლო პროგრამებში მაქსიმალურად გავითვალისწინოთ მექანიზაციის საშუალებები, რომელიც ხელს შეუწყობენ ჩვენს სოფელში ტექნიკა გახდეს ხელმისაწვდომი. ფერმერებისთვის შრომა იყოს შემსუბუქებული და რეზულტატი იყოს უფრო კარგი, ანუ შრომის მცირე დანახარჯებით დროის შემჭიდროებულ ვადებში მივიღოთ ბევრად უკეთესი შედეგები. შესაბამისად მივიღოთ ხარისხიანი და უხვი მოსავალი.

---

* ჩაიწერა შალვა ველიაძემ, (2016 წელი).

რაც შეეხება მემცენარეობის დარგის განვითარების ხელშეწყობას, ამ მიმართულებით სამინისტრომ გააკეთა აქცენტები რამდენიმე მიმართულებით: ეს არის მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ბაღების გაშენების ხელშეწყობის მიმართულება. ასევე 2013 წელს სამინისტროს მიერ შემოტანილი იქნა 3 მლ–ზე მეტი სხვადასხვა ბოსტნეული კულტურები, მიწოდებული იქნა რეგიონის ფერმერებზე. მინდა ავღნიშნი ის, რომ ადრე აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო მხოლოდ ნერგების მიწოდებით შემოიფარგლებოდა ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე, ხოლო 2015 წლიდან მოყოლებით უფრო დაიხვეწა მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების პროგრამები. გარდა ნერგებისა ასევე ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე მიწოდებული იქნება ბაღის გაშენებისთვის საჭირო მთელი რიგი კომპონენტები. გარდა მაღალხარისხიანი სერთიფიცირებული ნერგებისა ფერმერებს და აგრომეწარმეებს მიეწოდება აგრეთვე მინერალური სასუქები, ორგანული სასუქები და წვეთოვანი მორწყვის საშუალებები.

მრავალწლიანი კულტურების მიწოდება თუ იგეგმება აგრომეწარმეებზე.

2016 წელს სამინისტრომ გააშენა 171,8 ჰექტარზე ბაღები: მოცვი 6 ჰექტარზე,რომელიც უკვე გაშენდა; ამერიკული ჯიშის კაკალი 76, 8 ჰექტარზე გაშენდება მთლიანად აჭარის მასშტაბით; თხილი 82 ჰექტარზე იქნა გაშენებული; საადრეო მანდარინი დაბლობის ზონის სოფლისთვის. ეს არის ბათუმზე შემოერთებული სოფლები. ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში 7 ჰექტარზე გაშენდა, რაც შეეხება გაშენების დაგეგმარებას, სამინისტრომ შეცვალა უკვე ფერმერების შერჩევის პროცედურები. ამისთვის მუშაობს ჩვენი საინფორმაციო–საკონსულტაციო განყოფილებების

სპეციალისტები მუნიციპალიტეტის მიხედვით.

რა დატვირთვით მუშაობენ თითოეული რაიონის აგროსერვის ცენტრები.

ისინი საინფორმაციო–საკონსულტაციო დეპარტამენტის სახით შემოდის ჩვენთან უშუალოდ სამინისტროში ბათუმზე შემოერთებული სოფლებიც. აგროსპეციალისტების უშუალო გასვლის შემდეგ მოხდა თითეული განმცხადებლის, ბენეფიციარის შესახებ დეტალური ინფორმაციის შეგროვება. როგორი ნაკვეთი გააჩნდა, შემოღობილი, გაწმენდილი იყო თუ არა ფერმერის მიერ მიწის ნაკვეთი ნარჩენებისაგან. ამის შემდეგ მოხდა ამ ინფორმაციის შეგროვება–დამუშავება ზუსტად ის ფერმერები და აგრომეწარმეები ისარგებლებენ ქვეპროგრამით, რომლისთვისაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ბაღის გაშენება. გარდა იმისა, რომ მორწყვის საშუალებების 80% ვუფინანსებთ. ასევე ჩვენ აბსოლიტურად უსასყიდლოთ ვაწვდით მოვლა–მოყვანის ტექნოლოგიის, დარგვის, აგროწესების შესახებ ინფორმაციას. გარდა ამის ბაღის გაშენების შემდგომ არცერთ ბენეფიციართან არ ვწყვეტთ ურთიერთობას. პირიქით სამომავლოდ მონიტორინგით გავაგრძელებთ მუდმივად ფერმერებთან ურთიერთობას და რეკომენდაციების გაწევას. ჩვენი ერთ–ერთი მოთხოვნა იყო ის, რომ ფერმერს წარმოედგინა ბაღის გაშენების შემდგომ აპლიკაციის ფორმა, კვლევის შედეგები, რომელიც იწერებოდა იმისთვის, რომ შეეძლო ფერმერს მიეთითებინა ნიადაგის კვლევის შედეგები, თუ არ ჰქონდა მითითებული ცალკეულ შემთხვევებში გარკვეული ფერმერების მფლობელობაში გამოყენებული ნიადაგი შესწავლას საჭიროებდა. მითითებული იქნა აგროსერვის-ცენტრში თანადაფინანსების წესით გააკეთონ მიწის გამოკვლევა. რაც ძალიან იაფია, საღღაც 20 ლარამდე დაუჯდებათ ერთი ნიმუშის გამოკვლევა. დანარჩენს 80% მეტს აფინანსებს სახელმწიფო. რაც შეეხება იგივე ნიადაგის კვლევის კომპონენტში ჩვენ 2013 წელს აჭარის ა. რ. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განახორციელა ნიადაგების კვლევა. 5 500 ნიმუში ავიღეთ მთლიანი აჭარის მაშტაბით და გამოვიკვლიეთ, მაშინ როდესაც სულ 66 000 ფერმერი გვყავს. ყოველი მე-12 ფერმერის ანუ მე-12 ბენეფიციარის საკარმიდამო ნაკვეთიდან იქნა აღებული ნიადაგის ნიმუში და გამოკვ-

ლეული და მათ გადავეცით როგორც რეკომენდაციები, ასევე გამოკვლევის ოქმი. აქედან გამომდინარე ეს საკითხებიც გარკვეულწილად მოწესრიგებული იყო. ამიტომ დეტალური კვლევის და ანალიზის საფუძველზე მოხდა და შეირჩა ფერმერები. შესაბამისად მათ მიეწოდათ აღნიშნული საშუალებები, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ.

ფერმერთა გაერთიანების, კოოპერაციებისა და სერვისცენტრების შექმნის მიმართულებით რა გადაწყვეტილებას იღებს აჭარის ა. რ. სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

კი ბატონო,– გეთანხმებით. ჩვენ 2013-2015 წლებში განვახორციელეთ რამდენიმე ქვეპროგრამა, რომელიც კოოპერაციული მეურნეობების განვითარებას ისახავდა მიზნად. კოოპერაციული მეურნეობების განვითარება რას გულისხმობს? გულისხმობს იმას, რომ მაქსიმალურად ვცდილობთ გათითოკაცებული ფერმერები ერთიან ძლიერ საწარმოო სუბიექტად ჩამოვაყალიბოთ, რომლებიც შემდომ შეძლებენ ერთიანი მართვით, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ერთიანი ძალით, უფრო მეტი და ხარისხიანი მოსავლის წარმოებას. რეალურად ისინი ბაზარზე მიმწოდებელი გახდებიან. ამისთვის სამინისტრომ განახორციელა რამდენიმე ხელშემწყობი პროგრამა, მაგალითად 2014 წელს ჩვენ 11 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს გავუშენეთ კაკლის, ვაზისა და მოცვისა ბაღები, ასევე 7 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს მივაწოდეთ თხილის გამრჩევი დანადგარი–მობილური და 3 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს მივაწოდეთ მანდარინის მობილური დამკალიბრებელი დანადგარი. ეს იყო ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტში. ასევე 2015 წელს 4 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში მოვაწყვეთ მარწყვის სასათბურე მეურნეობა, რომელიც აღჭურვილი იყო სამაცივრე დანადგარებით. მთლიანად დეტალურად სასათბურე კომპლექტი: ნერგები, სასუქები, წვეთოვანი მორწყვის სისტემები და აბსოლიტურად ყველაფერი გადაცემული იქნა აღნიშნულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში. მომავალში ჩვენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერას ვაგრძელებთ იმ მიმართულებითაც, რომ ყველა განხორციელებულ ქვეპროგრამაში და პროგრამაში რომელიც სამინისტრო ამ დროის განმავლობაში ანხორციელებს განაწილების კომისიების უპირველესი კრიტერიუმი არის ის, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს ენიჭებათ უპირველესი ყურადღება. აქედან გამომდინარე, როგორც უშუალოდ პროგრამების დაგეგმვის

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობის თვალსაზრისით, ჩვენი სხვადასხვა ქვეპროგრამებში კოოპერატივებზე უპირატესობის მინიჭების თვალსაზრისით, ჩვენ ვანხორციელებთ კოოპერატივების ხელშეწყობის პროექტს.

...მეცხოველეობის, თევზის წარმოებისა და მეფუტკრეობის მიმართულებით რა პროგრამებია განსახორციელებელი თქვენი სამინისტროს მიერ.

რაც შეეხება მეცხოველეობის დარგის განვითარების ხელშეწყობას – მეცხოველეობის დარგის განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში, ჩვენ გავაკეთეთ მეფუტკრეობის დარგის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა, რომლის ფარგლებში შემოტანილი იქნა 2013-2015 წლებში 2 000 ცალამდე თანამედროვე გადაბლანდის ტიპის პოლისტირონის მასალისაგან დამზადებული სკები, გადაცემული იქნა რეგიონის მეფუტკრე ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე. ეს არის ევროკავშირის სტანდარტებით დამზადებული სკები, რომელიც ეკოლოგიურად

სუფთა მასალისაგან მზადდება და მასში ფუტკრის მოვლა და ოჯახის შეყვანა ბევრად ეფექტურია. გარდა ამისა, ასევე თაფლის გამოწურვისა და ტექნოლოგიების განვითარების მიზნით 2013-2015 წლებში შემოტანილი იქნა 130 ერთეული თაფლის თანამედროვე ტიპის საწური დანადგარი და მიწოდებული იქნა ფერმერებზე, ამ ფარგლებში 2017 წელსაც ვაგრძელებთ და 120 ერთეული იქნება შემოტანილი და გადაცემული რეგიონის ფერმერებზე.

...თაფლის კომპონენტების შესწავლისა და დადგენის მხრივ რა კეთდება რეგიონის მეფუტკრე ფერმერებისთვის.

რაც შეეხება თაფლის კომპონენტების შესწავლის მიმართულებას, მოგახსენებთ იმას რომ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ გაამკაცრა თაფლის პროდუქციის წარმოების მიმართულებები, თაფლის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ზოგადად მეფუტკრეობაში გამოყენებული პრეპარატების წინააღმდეგ გამკაცრდა მოთხოვნები. შემუშავებული იქნა 2015 წლის 1 ივნისისთვის თაფლის ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც სრულიად ახალ წესებს უწესებს ბიზნეს სუბიექტებს ვინც თაფლის წარმოებით არიან დაკავებული ქვეყანაში. შესაბამისად ამისა, 2015 წლის შემოდგომაზე გაგზავნილი იქნა 104 ნიმუში რიგაში – გამოკვლევისთვის, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განახორციელა. მხოლოდ 19 პროცენტში აღმოჩნდა ანტიბიოტიკები, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი 2013 წლისთვის 37 პროცენტით მეტი იყო. ამან მოგვცა საშუალება იმისა, რომ ევროკავშირზე ქართულ თაფლს უკვე შესვლის უფლება აქვს. რაც შეეხება უშუალოდ რეგიონში რა კეთდება ამ მიმართულებით ქ. ბათუმში შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამოქმედდა ლაბორატორია, რომელიც თაფლის კვლევას გააკეთებს – არანაკლებ 12 კომპონენტზე. გარდა ამისა, სამომავლოდ, ვაგრძელებთ კიდევ მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერას. შემოტანილი იქნება როგორც თაფლის საწური ციბრუტები, რომელიც გადაეცემა რეგიონის ფერმერებს, ასევე ცვილსადნობი აპარატები იმისათვის, რომ გვყავდეს ფუტკრის ჯანსაღი ოჯახები. გვქონდეს კარგი ფიჭა, თაფლის ცვილი მეორე პროდუქტია თავისი მნიშვნელობით – მეფუტკრეობაში. აქედან გამომდინარე თანამედროვე დანადგარების მიწოდება ცვილსადნობისა = ფიჭისა და ცვილის წარმოების ტექნოლოგიას ბევრად უფრო გაუმჯობესებს და მოეხმარება ჩვენს ფერმერებს. მიგვაჩნია, თაფლის გამოწურვა, ფუტკრის ოჯახის შენახვა და ცვილის წარმოება მნიშვნელოვანია, ასევე მნიშვნელოვანია მოწეული პროდუქციის დაბინავება. თანამედროვე ტექნოლოგიებით დამზადებული ჭურჭელი ანუ სპეციალური აუზები გადავცეთ ფერმერებს თაფლის შენახვისთვის.

ის პრეპარატები რომელიც შემოდის ბაღჩეული კულტურების, ხილის ბაღების, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების შესაწამლად მავნებელი მწერებისა და დავადებების საწინააღმდეგოდ, როგორია მათი გავლენა ადამინის ჯამთელობაზე. უშუალოდ ხდება თუ არა პესტიციდების შესწავლა და ლიციენზირება.

სამინისტროს არ შემოაქვს პრეპარატები.

კერძო კომპანიები აღრიცხავენ სხვადასხვა პრეპარატებს სურსათის ეროვნულ სააგენტოში. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეგისტრაციის შემდგომ ხდება სარეალიზაციო ქსელში გაშვება.

იწარმოება თუ არა ამ პრეპარატების ლაბორატორიული კვლევა.

რაც შეეხება ლაბორატორიულ კვლევას, 2013 წელს აჭარის ა. რ. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განახორციელა ლაბორატორიული კვლევა. რეგიონში მოქმედ სარეალიზაციო ქსელიდან აღებული იქნა ასი ნიმუში. მათ შორის 40 აგროქიმიკატის ანუ მინერალური სასუქის და 60 პესტიციდის. ლაბორატორიულად შემოწმებული იქნა თუ რამდენად იყო თავსებადი ეტიკეტზე მითითებული მოქმედი ნივთიერება რეალურად მასში არსებულ მოქმედ ნივთიერებასთან, რამდენიმე ფაქტი იქნა დაფიქსირებული, რომელიც გადახრა ჰქონდა პესტიციდებში. არ შეიცავდა იმ რაოდენობით მოქმედ ნივთიერებას, აქედან გამომდინარე ამაზე გატარდა გარკვეული ღონისძიებები სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად და ეს პრეპარატები აღებული იქნა სარეალიზაციო ქსელიდან. რაც შეეხება ყოველწლიურად პესტიციდების კვლევას, ეს არის სურსათის ეროვნული სააგენტოს პრეროგატივა და ჩვენი ინფორმაციით ისინი ყოველწლიურად რამდენიმე ნიმუშს შერჩევით, სხვადასხვა სარეალიზაციო ქსელიდან აკეთებენ. მინდა ავღნიშნო, რომ თანდათანობით პესტიციდების და აგროქიმიკატების მიმართულებით გასულ წლებთან შედარებით ყოველწლიურად შედეგები უმჯობესდება. რამდენიმე წელიწადში უკვე შესაძლებელი იქნება, რომ პრობლემა მოხსნილი იყოს.

ფერმერებზე და აგრომეურნეებზე პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მიწოდება ერთიანი ქსელიდა ხდება თუ სხვადასხვა კერძო ფირმებიდან.

სხვადასხვა ფირმები არიან რომლებსაც აქვთ პესტიციდები და აგროქიმიკატები. როგორც ბიზნეს ოპერატორები თავისუფლად უზრუნველყოფენ რეალიზაციას, ოღონდ გარკველ რეგულაციებს უწესებს სურსათის ეროვნული სააგენტო. რეალიზატორი უნდა აკმაყოფილებდეს სურსთის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნებს. თავის სარეალიზაციო ქსელიდან სხვადასხვა პრეპარატების რეალიზაცია უზუნველყოს კანონთან შესაბამისობაში. ეტიკეტზე მითითება ქართულ ენაზე უნდა იყოს, ამასთანავე მიენიშნოს შენახვის ვადების პერიოდი, მოქმედი ნივთიერების ნორმა. 2013 წელს მოსახლეობიდან მომართვიანობა დიდი იყო, ამიტომ გადაწვიტა სამინისტრომ გაეკეთებინა კვლევა.

...რძისა და ხორცის მოსახლეობიდან შესყიდვის მიმართულებით რა გეგმები აქვს აჭარის არ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

რაც შეეხება ხორცისა და რძის პროდუქტების შესყიდვას – სამინისტრო ბიზნესისი განვითარებას ხელს უწყობს თავისი პროგრამებით, თავისი მიმართულებებით. შესაბამისად თვითონ სამინისტრო ვერ განახორციელებს. რაც შეეხება მეცხოველეობის დარგის განვითარებას 2013–2015 წლებში გარდა მეფუტკრეობის დარგის განვითარებისა ჩვენს მიერ განხორციელებული იქნა ქვეპროგრამა. ეს არის მაღალპროდუქტიული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი იქნა შემოყვანილი დანიის სამეფოდან. ჯერსის ჯიშის და თანადაფინანსებით მიწოდებული იქნა რეგიონის ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე. 75 სული ერთეული. 25 წლის განმავლობაში როგორც ჩვენს რეგიონში მთლიანად ქვეყანაში მეცხოველეობის განახლების კუთხით არავის არაფერი არ გაუკეთებია. ეს არის პირველი ნაბიჯები, რომ მოხდეს ჯიშთგანახლება. მოხდეს მაქსიმალურად იმ პირუტყვის შემოყვანა, რომელიც ადგილობრივ კლიმატურ–ნიადაგურ და გეოგრაფიულ პირობებთან ადვილად გაივლის ადაპტაციას და აკლიმატიზაციას. შესაბამისად შერჩეული იქნა ჯერსის ტიპის პირუტყვი. მიმდინარეობს მუდმივი მონიტორინგი: როგორია სიტუაცია, რა გვაქვს. ძალიან კარგი შედეგებია ამ მიმართულებით.

ასევე აგროსერვისცენტრის ბაზაზე ამოქმედებული არის ხელოვნური დათესვის მიმართულება, რომელიც შეუძლიათ გამოიყენონ ფერმერებმა თანადაფინანსებით. ღირებულება არის ძალიან იაფი 10 დან 20 ლარამდე ჯდება. რეალურად ის უფრო ძვირი ღირს, ხარჯებიდან გამომდინარე, მაგრამ აგროსერვისცენტრის საშუალებით რეგიონის მეცხოველეობის სფეროში დასაქმებულ ფერმერებს ვაწვდით ხელმისაწვდომ ფასებში. ყველა მუნიციპალიტეტში არის თითო სადგური, თავისი ავტომობილით გადაადგილდება და ადგილზე მისვლით ხდება. ესეც ძალიან დიდი და წინ გადადგმული ნაბიჯია მეცხოველეობის ჯიშგანახლების კუთხით. შესაბამისად ამისა სპეციალისტი ადგილზე შეაფასებს როგორია ფური წონა, შეიძლება იყოს შესაბამისობაში და ამის შემდგომ გადაწყდება ფერმერის სურვილითაც და ესეც ძალიან დიდი ნაბიჯია ჯიშთგანახლების მიმართულებით. რათა გაიზარდოს რეგიონში რძის პროდუქტების, ხორცისა და ხორცის პროდუქტების წარმოება. რაც შეეხება რძის ტექნოლოგიების გაუმჯობესების მიმართულებით ჩვენ გასული წლიდან მოყოლებული დავიწყეთ თანამედროვე ტიპის სეპარატორებისა და კარაქის ამომყვანი დანადგარის შემოტანა. სულ 500 ერთეული სეპარატორი და 50 ერთეული კარაქის ამომყვანი მოწყობილობა მივაწოდეთ აჭარის ფერმერებს და აგრომეწარმეებს. ამ ქვეპროგრამით შემოტანილი იქნება 1975 ერთეული და მიწოდებული იქნება რეგიონის ფერმერებზე. ფერმერს მისი შეძენა ძალიან იაფი უჯდება. ეს არის საერთო ღირებულების 30%. 70 დან 80 ლარამდე, (სეპარატორისა და კარაქის ამომყვანი დანადგარი). რაც შეეხება თქვენს კითხვას, რომ რას აკეთებს სამინისტრო, მოგახსენებთ, რომ სამომავლოდ აქტიურად განიხილება მობილური სასაკლაოს შეძენა და ამ გზით მოსახლეობაზე ხელშეწყობა თუნდაც ხორცის ჰიგიენური თვალსაზრისით წარმოება. მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ამ მიმართულებით, მთავარია გაიზარდოს წარმოებულ პროდუქციასთან ერთად მისი ხარისხი და ჰიგიენური მდგომარეობა.

...როგორ და რა გზებით მოხდება სასურსათო პროგრამების ათვისება აჭარაში. უპირველეს ყოვლისა ჩვენ უნდა შევსძლოთ ადგილობრივი მოსახლეობა დავაკმაყოფილოთ მაღალხარისხიანი და კარგი სტანდარტების პროდუქციით და შემდგომ ვიფიქროთ რა რესურსი გვექნება, რომ გავიდეთ ექსპორტზე. ეს არის ჩვენი ძირითადი მიმართულებები. მიუხედავად იმისა, რომ იმპორტი მძლავრობს ჩვენ ეტაპობრივად ნაბიჯ-ნაბიჯ სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით ჩვენი ფერმერებისა და აგრომეწარმეების ცნობიერების გაზრდით სოფლის მეურნეობის უკეთესი დაგეგმვით და სხვადასხვა მიმართულებების უკეთესად განხორციელებით კუთხით შევძლოთ ის, რომ მოვერიოთ იმპორტსაც, ვაწარმოოთ ჯერ ადგილობრივი ბაზრისთვის პროდუქცია და ვიფიქროთ ექსპორტზეც. თუ ყველა ერთად: სოფლის მეურნეობაში დასაქმებული სპეციალისტები, სამინისტრო საგანმანათლებლო სექტორი, ფერმერები ვიმუშავებთ ამ მიმართულებით, დავისახავთ სწორ გეგმას, მიგვაჩნია, რომ ამ საკითხებს წარმატებით გავართმევთ თავს. რეგიონის ნიადაგურ–კლიმატური პირობები, რეგიონის პოტენციალი ამის საშუალებას იძლევა.

...ჩაის წარმოების განვითარების მიმართულებით რა გეგმა გააჩნია აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

რაც შეეხება ჩაის წარმოებას; მოგეხსენებათ, რომ 90-იანი წლებიდან მოყოლებული სწრაფად მოხდა ჩაის პლანტაციებისა და ჩაის წარმოების განადგურება. მიუხედავად ამისა ბოლო პერიოდში მიმდინარეობს ჩაის აღდგენითი სამუშაოები. ამჟამად, აჭარის რეგიონში 450–500 ჰექტარზე მეტი ჩაის პლანტაციაა რეაბილიტირებული. სადაც მიმდინარეობს ჩაის წარმოების პროცესი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაგეგმა ახალი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში ჩაის კულტურის წარმოების განვითარების ხელშეწყობას ანუ ეს არის პროექტი ჩაის რეაბილიტაციის მიმარ-

თულებით. ძალიან დიდი ხელშეწყობა ექნებათ იმ პიროვნებებს ვინც შექმნიან სასოფლო–სამეურნეო კოოპერატივებს და ერთიანად განახორციელებენ ჩაის მოვლა-მოყვანის და შემდგომ მისი რეალიზაციის პროცესებს. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მოგვმართოს, სჯობია მიმართოს პროექტების მართვის სააგენტოს. დეტალურ ინფორმაციას მივაწვდით, თუ რა არის საჭირო იმისათვის რომ ჩაის პროდუქცია აწამოონ.

...ამჟამად აჭარაში თუ მოქმედებს ჩაის საწამოები.

რათქმაუნდა არის რამდენიმე: მათშორის ქობულეთის მუნიციპალიტეტში, არის ასევე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ მარადიდში (მარადიდის ჩაი). ქობულეთში 350–400 ჰექტრამდეა გაშენებული ჩაის პლანტაცია, რომელის აწარმოებს ჩაის. გარდა ამის ცდილობს ადგილობრივ ბაზარზე დაიმკვიდროს თავი. ჩვენი ჩაის მწარმოებელმა რამდენიმე უცხოურ ქვეყანაში (ექსპორტზე) გაიტანეს ქართული ჩაი. ყველაზე მთავარია თითოეული მათგანი ცდილობს, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცოტანი არიან დღეის მდგომარეობით, ფიქრობენ გაზარდონ ჩაის კულტურის წარმოება აჭარაში.

სასოფლო–სამეურნეო მიწების ფერმერებზე აგრომეწარმეებზე დაკანონების (მფლობელობაში გადაცემის) მხრივ რა კომპეტენცია გააჩნია აჭარის ა. რ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

სამინისტრო მიწის საკუთრების შესახებ პროცესებს ვერ განკარგავს, მისი ფუნქცია არ არის. ეს პროცესები ისე მიმდინარეობს. სამინისტროს – ჩვენ გვინდა მაქსიმალურად (შესაბამისად) ყველა მიწა იყოს რეგისტრირებული. მიწას ჰყავდეს მეპატრონე. სამომავლოდ პროგრამების განხორციელებაში (ძალიან) ხელს შეგვიწყობს. რეალურად გახდის შესაძლებელს, რომ თითეული მიწა–გოჯი, ერთი მტკაველიც არ დარჩეს დაუმუშავებელი. ეს იქნება პირველი ხელშემწყობი ფაქტორი. ეს მთლიანად (ძალიან) საქვეყნოდ გლობალური თემაა. შესაბამისად, მარტო აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენციაში ვერ შემოვა და ვერც შემოდის. ისე, ტერიტორიული თვალსაზრისით მიუხედავად იმისა, რომ მცირე მიწიანი ვართ, ჩვენ შეგვიძლია გავითვალისწინოთ რამდენიმე

წამყვანი ქვეყნის მაგალითი. იგივე ისრაელის, რომელიც ჩვენზე სამჯერ ნაკლებ მიწას ფლობს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების თვალსაზრისით, მაგრამ სოფლის მეურნეობაში მაღალი ტექნოლოგიების დანერგვით, იმ ქვეყანამ მიაღწია იმას, რომ ერთ–ერთი მსხვილი ექსპორტიორია სხვადასხვა კულტურებისა მსოფლიო ბაზარზე. (სასოფლო–სამეურნეო მიმართულებით). ამიტომ ჩვენც შეგვიძლია თუ მაქსიმალურად სწორად, რაციონალურად დავგეგმავთ და განვახორციელებთ, ამის რესურსი გვაქვს ჩვენც. რამდენიმე წელიწადში ამ მიმართულებაზე დავდგებით.

ტრადიციულად მთიანი აჭარა ხილის წარმოებაში გამორჩეული მხარე იყო. ხილის მიღება-წარმოების, ხილის საწარმოოს აშენების ხელშესაწყობად რას გეგმავს აჭარის ა. რ. სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

მოგეხსენებათ ბოლო პერიოდში ქედაში გაიხსნა ანალოგიური ტიპის ხილის ქარხანა, რომელსაც გააჩნია ტევადობა, რომ მთლიანად მთიან აჭარის მოსახლეობას მოემსახუროს. აქედან გამომდინარე მთავარია ვაწარმოოთ კარგი და უხვი მოსავალი. შეგვიძლია დავაბინაოთ სათანადოდ. გარდა ამისა, სამინისტრო ცდილობს, რომ ალტერნატიული კულტურები: მაგალითად, თხილის და კაკალის განვითარებას მაღალმთიან აჭარაში მაქსიმალურად ხელი შეუწყოთ, რომ აღნიშნულ კულტურებს ბაზარზე საკმაოდ კარგი სარეალიზაციო ფასი აქვს. შესაბამისად ეს გაზრდის ფერმერებისა და აგრომეწარმეების შემოსავლებს.

დიდი მადლობა.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

ინეზა მაისაია
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

რით იკვებებოდნენ კოლხები ამერიკის აღმოჩენამდე

კოლხ მიწათმოქმედთა უძველეს მონაპოვრად მარცვლეული კულტურათაგან ფეტვნაირი კულტურები ითვლება.

სიმინდის კულტურის შემოსვლამდე (XVII ს.) კოლხეთის ძირითადი სასურსათო კულტურა იყო ღომი: ლაზურად – „ნჩხვა რ ი“, ჭანურად – „ღომ–უ“ // „ღომი“, „მეგრულად – „ღუმუ“ // „ჩხვერი“, „ღუმუშ(ი) // „ღუმუ“, აფხაზურად – „ახ..ძ“

ღომის კულტურას წარსულში, ქართველების განსახლების ტერიტორიაზე, ფართო არეალი ეკავა. მისი გავრცელების შესახებ საგულისხმო ცნობებია მოცემული ძველ ქართულ წყაროებში, საქართველოში მყოფი უცხოელი მოგზაურებისა და მეცნიერების ჩანაწერებში.

XV ს. იტალიელი მოგზაურების იოსაფა ბარბაროსა და ამბროზიო კონტარინის აღწერილობებიდან ჩანს, რომ ღომი კოლხების ერთ-ერთი ძირითადი საკვები იყო; საურადღებოა ცნობები მოცემული XVI ს. იტალიელ მოგზაურთა ნაშრომებში მაგ.: პიეტრო ავიტაბილე (1623–1634 წწ) და ქრისტეფორე კასტელი (1632–1645 წწ) აღნიშნავენ, რომ ღომი ძველ კოლხეთში გავრცელებულ მარცვლეულ კულტურებს შორის მთავარია.

XVII ს. იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის განმარტებით, „...მეგრელები, ჩვეულებრივი პურით კი არა ღომით იკვებებიან და უცხოელები დარწმუნებულნი არიან, რომ პური კიდეც რომ მოიტანონ, აქ ვერ გაყიდიან“

XVII ს. ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი (1672–1673 წწ.) აღნიშნავს, რომ „...ჩერქეზები, მეგრელები, თურქეთის მოხარკე ქართველები, აფხაზები, კავკასიის მცხოვრებლები, ყველა ისინი, ვინც ზღვის სანაპიროზე მეოტიდის ჭაობის სრუტიდან ტრაპიზონამდე ცხოვრობენ, მხოლოდ და მხოლოდ ამ ფაფით (ღომით) იკვებებიან, ეს არის მათი პური, სხვა მათ არ გააჩნიათ რა ისე არიან შეჩვეულნი ღომს, რომ ხორბლის პურსაც კი ამჯობინებენ.

XVII ს. იტალიელი მისიონერი დონ კრისტოფორო დე კასტელი; დონ ჯუზეპე ჯუდი ჩე მილანელი (XVII ს.); უფრო გვიანდელი მოგზაურები; XVIII ს. გერმანელი მეცნიერი ანტონ გიულდენშტედტი, კ. კოხი, ო. სპენსერი (XIX ს. პირველი ნახევარი) აღნიშნავენ, რომ კოლხეთის მიწათმოქმედებაში ღომი, ერთ-ერთი წამყვანი კულტურა იყო.

XVI ს. დამლევსა და XVII–XVIII სს-ში დასავლეთ საქართველოს საეკლესიო და სამონასტრო ბეგარებში მარცვლეულთაგან მხოლოდ ღომია მოხსენიებული.

სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის დროს შედგენილ უსტარში (1852 წ.) სამეგრელოში ამ დროს გავრცელებულ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჩამოთვლა ღომით იწყება.

„ქართველი კაცი ოდითგანვე ცნობილი იყო მიწის დიდი სიყვარულით. შემთხვევითი როდია, რომ ქართველებს გეორგიანებს, ე. ი. მიწათმოქმედებს უწოდებენ. ჯერ კიდევ უძველეს დროში გვქონდა მსოფლიო მეცნიერების მიერ აღიარებული პირველადი სამიწათმოქმედო კულტურა. დღეს, სამწუხაროდ ამაზე მხოლოდ ისტორიული მასალები მეტყველებს.

...„გადაგვარდა უნიკალური აბორიგენული კულტურული ჯიშები...“ არატრადიციულმა მონოკულტურამ, მომწამვლელმა ტექნოლოგიებმა დაისადგურეს ჩვენს მიწა-წყალზე.

...„ყველას ეკისრება უდიდესი მისია უნიკალური მიწათმოქმედების კულტურის აღდგენა“. (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 1991წ. 31 ოქტომბერი, 212 (232.) საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.“)

ძველი კოლხეთი გამოირჩეოდა ღომის ჯიშობრივი მრავალფეროვნებით. არსებობდა ღომის საადრეო ჯიშები: „შვიდკვირია“, „მოცოროზი“, რომლის მომწიფებას თითქმის ორი თვე სჭირდებოდა, რაც მეურნეს საშუალებას

აძლევდა ერთსა და იმავე მიწის ნაკვეთზე პურის მომკის შემდეგ ზაფხულში ღომი მოეყვანა და ამგვარად, მამულიდან ორი მოსავალი მიეღო; საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებულია აგრეთვე, ღომის სხვა ჯიშებიც: „ჩქინებურა“; „ჭითა ღუმუ“; „ცეც (ციც) ღუმუ“; „ჩე ღუმუ“; „კუხურუ ღუმუ“; „ბარამულა“; „ძირდაბალა“; „ხუჭილა“; „ჯორიელა“; „ბოჯგა“; ანუ „ბეღელა ღომი“; „კუდა ღომი“; „კოძუა“; „ჩაქურა“; „ნაჟღვლი თეთრი“; „მათრახა“; „ყვითელი უსახელო“; „ხითირა თეთრი“; „ორთითა“; „გველიკუდა“; „გველიკუდა“; „კვირიხინა“; „კუნწურაულა“; „მგლისკუდა“; „ბობოყვაური“; „ხოტორა“; „კირჩხეულა“; „აჭარულა“; „გუდურე“; „ხაზარალა“; „ბურჩხა ღომი“; „ბაწარაია“; და სხვა.

ღომი ითესებოდა აპრილის ბოლოს; მოსავალს იღებდნენ აგვისტოს ბოლოდან, მთელი სექტემბრის ჩათვლით, ხოლო ზოგჯერ ოქტომბრის პირველ ნახევარშიც.

ღომს ხშირად ნაპურალზე თესავდნენ. არქანჯელო ლამბერტის მიხედვთ; „..ჩვეულებრივ, კარგი მიწა სადაც არის, ასეთ წესს ადგიან: პირველ წელიწადს თესენ ღომს, მეორეს – ფეტვს (მიგლიო-ს) და მესამეს – პურსა, შემდეგ ამისა, მიწასა სამის თუ ოთხის წლით ასვენებენ“. პრაქტიკაში ცნობილი იყო სახნავი მიწის მოწვის სისტემა, ამ გზით მიწა სუფთავდებოდა სარეველებისაგან. ღომი განსაკუთრებით კარგ მოსავალს იძლეოდა ახოსა და საერთოდ ახალპირ მიწებში, რომელთაც 2–3 წელს მხოლოდ თოხით, ისიც ზედაპირულად ამუშავებდნენ.

ძველ კოლხეთში, კერძოდ სამეგრელოში, გვხვდებოდა ნიადაგის მომზადების „შედარებით მარტივი“ წესი – „ხონუა“ (ხვნა), ხისკავით „ოგაფათი“. ხვნის შემდეგ დარჩენილი „ხულა“ (პატარა ბელტი) „იბარგებოდა“ (ფხვიერდებოდა), ღომის თოხით, რომელსაც სამეგრელოში „ჩენგი“ ეწოდებოდა: მერე – „მერულით“ (ხის სამკაპიანი სამუშაო იარაღით); უნდა „გაემერულებინათ“ – გაეფხვიერებინათ, ან ფარცხით გაეფარცხათ. ასეთი „ცარცილი დიხა“ (გაფხვიერებული მიწა), გამზადებული იყო ღომის დასათესად.

გურიაში ღომისათვის გამოყოფილი ნაკვეთი უეჭველად მშრალი უნდა ყოფილიყო. თუ ნიადაგი ქვიანი არ იყო, ჯერ თოხით უნდა მოეჩიჩქნათ მიწა, მერე მერულით უნდა გაეფხვიერებინათ, გაეფოცხათ და ამის შემდეგ ჩაეყარათ თესლი მიწაში.

სამეგრელოში მცხოვრებ უხუცესთა გადმოცემით, საღომედ არჩევდნენ სარეველა ბალახებისაგან გასუფთავებულ ადგილებს, შედარებით („მჩლატე“) მიწას, ვინაიდან ღომს მძიმე მიწა არ უვარს. უფრო ხელსაყრელი იყო ნასიმინდარი ნაკვეთის გამოყენება, რადგან ის მიწა, სადაც ადრე სიმინდი იყო, ითოხნებოდა სამჯერ: მას შორდებოდა სარეველები და მზადდებოდა ღომის თესლის მისაღებად; ამასთანავე, არჩევდნენ ისეთ ადგილებს, სადაც მუხა, რცხილა ან სხვა დიდფესვიანი ხეები იდგა, რომლებიც ნიადაგსაც ამაგრებდნენ და წყალსაც იკრებდნენ. ღომის თესვა იწყებოდა სრულ დღეებში. თესავდნენ ორშაბათს – „თუთაშხა“ (ბედნიერ) დღეს ან ხუთშაბათს, რომელიც „კვათიერ“ („გამჭრიახ“) დღედ იყო მიჩნეული. ყურადღებას აქცევდნენ მთვარის ფაზებსაც. თესვა სავსე მთვარეზე უნდა დაწყებულიყო, რადგან ახალ მთვარეზე დათესილს შეიძლება ჭია გასჩენოდა. სათესლე მარცვალი მთესველს ეყარა სქელკანიან გოგრაში (გურულად და აჭარულად – „ხაპი“, მეგრულად – („ჭურა“) ან თხის გუდაში (მეგრულად – „ლაგუჯი“ // „ხართა“; გურულად – „ქეჩხო“; ზოგჯერ თესლს ხის (მეგრულად – „კოთხო“) ან თიხის (მეგრულად – „დერგი“) ჭურჭელში ყრიდნენ. თესლი გარიგებულად – თხლად, ან როგორც მეგრელი მეურნე ამბობს, „წყორილით“ ითესებოდა. არათანაბრად დათესილი ღომი მჭიდროდ ამოდიოდა, ძნელი ძნელი გასამარგლი იყო და ბევრ უნაყოფო თაველს იკეთებდა. მთესველი თითო ჯერზე იმდენს თესავდა, რამდენიც მუჭაში დაეტეოდა. ზოგიერთი მთხრობელის გადმოცემით, ზოგჯერ სათესლე მასალაში, იმავე რაოდენობის ქვიშას ურევდნენ, რათა ზომიერი სიხშირის ყანა ამოსულიყო. ზოგ შემთხვევაში მთესავი აჩქარებულად „გარბენით” თესავდა. ღომის თესვას ხელის გავარჯიშებაგაწაფვა სჭირდებოდა.

გამარგვლა მეტად შრომატევად სამუშაოდ ითვლებოდა. არქანჯელო ლამბერტი მოგვითხრობს, რომ „სინოტივის გამო აქ სარეველა ბალახი სწრაფად იზრდებოდა და დიდი შრომაა საჭირო მის მოსასპობად, თუ რამდენიმე დღე დასცალდა ბალახს ზრდა, ისე იმატებს,

რომ სულ გააქრობს ნათესს, ამიტომ მიწიდან თავს იჩენს თუ არა ღომი, მაშინათვე გამოთოხნა სჭირდება; რადგან საქმე საჩქაროა და პატრონი თავისი კაცებით ველარ ერევა, მეზობლები უნდა მოიხმაროს. ეს დიდი შრომა კაცმა საშინელ სიცხეში უნდა აიტანოს, ამიტომ მის გასაადვილებლად ისეთი ხერხი მოუგონებიათ, რომ გეგონებათ მთელი სოფელი ქეიფობსო. ამ ხერხს შეადგენს სამი რამე: ნადი, სიმღერა და უხვი საჭმელი, რომელსაც მამულის პატრონი იძლევა.

ამასთანავე, საგანგებო სიმღერა აქვთ, რომლის ხმაზე თოხნასაც ისე აწყობენ, როგორც საკრავზე ცეკვას. სიმღერის აჩქარებასთან ერთად ჩქარდებოდა თოხნის პროცესიც. ღომი დათესვიდან დაახლოებით ორი კვირის შემდეგ ამოდიოდა. ეს ძირითადად დამოკიდებული იყო ამინდზე, თუ ნათესი ალაგ–ალაგ შემეჩხერდებოდა, ე. ი. „გაწბილდებოდა", ანუ როგორც სამეგრელოში იტყვიან „დორგუაფას" საჭიროება შეიქმნებოდა, მიმართავდნენ ღომის გადარგვას. ამისათვის არჩევდნენ წვიმიან დღეს და დასაჩქარებლად ამ რთულ საქმეში ოჯახის ყველა წევრი მონაწილეობდა; ხოლო ხშირი ნათესის გამარგვლა, გამოხშირვა – „გახილვა", ე. ი. ზედმეტი აღმონაცენის მოშორება იწყებოდა მაშინ, როდესაც აღმოცენებული ღომი გამოიტანდა პირველ ორ-სამ ფოთოლს. ამ დროს ატარებდნენ თოხნას პატარა თოხით – „ბერგით", რომელსაც სამეგრელოში „ჩენგი", „ბეკაკუტი"; იმერეთში – „კეკო"; გურიაში – „პაპუანი თოხი", „წკეპარი" // „წკებარი", „ღომის თოხი" ეწოდებოდა; პირველი გათოხნა მეტად პასუხსაგები და ძნელი ჩასატარებელი იყო, მოითხოვდა დახელოვნებას, რადგან ღომის ნორჩი აღმონაცენი ძნელი გასარჩევი იყო სარეველებისაგან (ძურწა, შალაფა და სხვ.); თვითონ პროცესი იწოდებოდა „მარგვლად", „პირველ ბარგვად" ან „დოკერშვად" (მეგრულად). მეორე თოხნა ტარდებოდა პირველიდან 10–15, ზოგან 15–20 დღის შემდეგ. ეს სამუშაო სამეგრელოში ცნობილი იყო „მაჟირუას" ან „დოცქვარის" სახელწოდებით, იმერეთში კი „გამორიდებას", „მოროდვას" უწოდებდნენ. „გამორიდება" აუცილებლად მზიან ამინდში უნდა დაწყებულიყო.

მეორე თოხნა, პირველისაგან განსხვავებით, იოლი შესასრულებელი იყო. უკვე შემეჩხერებულ ნათესში, საკმაოდ წამოზრდილი ღომი ადვილი გამოსარჩევი იყო სარეველებისაგან. იშვიათად, საჭიროების შემთხვევაში, ატარებდნენ მესამე თოხნასაც; ეს იმ შემთხვევაში თუ ყანას სარეველები ძლიერ მოედებოდა. მესამე თოხნაზე მცენარეს მიწას ბლომად შემოაყრიდნენ და ნიადაგს შლამით ანოყიერებდნენ. ზრდის დამთავრების შემდეგ ღომი თაველს გამოიტანდა. თაველის დამწიფების შემდეგ მას ნამგლით მომკიდნენ. მკა– მეგრულად „გიმუა", ძირითადად ოქტომბრის თვეში ხდებოდა. სწორედ ამიტომ დაერქვა სამეგრელოში ოქტომბრის თვეს „გიმათუთა", ჭანურად – „გუმა-თუთა".

ძველ კოლხეთში ღომის მოსავალს ხელთ იღებდნენ – თაველებს გლეჯდნენ ხის დანით (მეგრულად – „ჯაში ხამუთი") ან რკინის დანით. შემოსული ღომის ყანა სხვადასხვა ფერის იყო: ოქროსფერი, ყვითელი ან მიხაკისფერი. შეფერვა ძირითადად ღომის ჯიშზე იყო დამოკიდებული. ღომის მოსავალს იღებდნენ კარგ ამინდში; დასველებული თაველების აღება არ შეიძლებოდა, რადგან მისი გაშრობა სპეციალურ საშრობებში მეტად გაძნელებული იყო. მეურნე მოსავლის აღების დაწყებამდე, დიდი დაკვირვებით შეარჩევდა საღ თაველებს სათესლედ. სათესლე თაველი ღეროიანად იჭრებოდა და კონებად იკვრებოდა. კონები ბეღელში – ხულაში ღომის თავზე ლაგდებოდა ან ცალკე ინახებოდა. ზოგ შემთხვევაში სათესლე თაველს წნავდნენ და შეკრულს ჯარგვალში ისეთ ადგილზე კიდებდნენ, რომ ცეცხლის კვამლი მოხვედროდა. თესვის დროს თაველებს ხელით ფშვნიდნენ.

უხუცესთა გადმოცემით, მოსავლის აღება ორჯერ ხდებოდა. პირველად სჭრიდნენ მხოლოდ თაველებს, რადგან იმ დროისთვის ჩალა ჯერ კიდევ ნედლი იყო; ჩალის გახმობამდე კი მოცდა არ შეიძლებოდა, რადგან ზედმეტად გამხმარი თაველებიდან მარცვალი ადვილად იბნეოდა.

ღომის მოსავლის აღების შემდეგ, ვახშმობისას, იმართებოდა დასალოცავი პურობა („ოწესური" – მეგრულად). ლოცვას, ჩვეულებრივ, უფროსი კაცი ან ქალი ასრულებდა. სალოცავად განკუთვნილი გოჭის ან ქათმის გულღვიძლს, სანთელ – საკმეველს და, რაც მთავარია, ღომის „მუნჭას" (პირველ კონას) სალოცავ ჭურთან მიიტანდნენ და მოწიწებით

ევედრებოდნენ ღმერთს. ღომის გამჩენსა და მაცოცხლებელ ანგელოზს. ახალი მოსავლის გამოყენება მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა.

მოჭრილ თაველებს კალათაში („ცეკა“ – მეგრულად) ან გოდორში აწყობდნენ; მერე ზურგით ან ღომის სპეციალური ურმით ეზიდებოდნენ სახლში. ჯერ კიდევ მზეზე აშრობდნენ, ამის შემდეგ შეჰქონდათ „ნალიაში“ ანუ „ნანიაში“. „ნანიას“ სამეგრელოში ზოგან „ოკვალე“ ეწოდებოდა. ნალიას ქვეშიდან შეუნთებდნენ ცეცხლს, რომ ზევით ასულ ალს ღომი გაეშრო. ზევიდან კი მურყნის (თხმელის) ნედლ ფოთლებს მიაყრიდნენ. ცეცხლი ქვევიდან მანამდე ენთო, სანამ მურყნის ფოთლები არ დაჭკნებოდა. ღომის თაველების გადასაბრუნებლად და ცეცხლის სამეთვალყუროდ ერთი კაცი იყო გამოყოფილი, რომელსაც ნალიაში წყლით სავსე დოქი ედგა, ძლიერი ცეცხლის დროს წყლის მოსასხურებლად და ცეცხლის გასანელებლად; ამის შემდეგ ღომი კალათებით ხულაში (მეგრულად – „ბაღუ“, გურულად – „ბეღელი“) შეიტანდნენ. ამ ნაგებობაში თაგვი ვერ შევიდოდა ღომი სუფთად ინახებოდა.

მოხმარების წინ, გასაცეცხვად ღომი ხულადან კალათებით გამოჰქონდათ და ლასტზე (მეგრულად „ოლეში“) დაჰყრიდნენ, რომელსაც კერის ცეცხლზე ჩამოჰკიდებდნენ და ქვეშ ნელ ცეცხლს შეუნთებდნენ, რათა ღომი ნებისად გამომშრალიყო; როდესაც ღომის ღერო ადვილად გადაიმტვრეოდა, იგი გასაცეცხვად მზად იყო. გაცეცხვამდე ღომს ჩალის ნარჩენებს და ყვავილედის ღეროს აცლიდნენ. გამომშრალ ღომის თაველებს ლასტიდან ამოიღებდნენ და ნაწილ–ნაწილ კალათებში ან ჩელტზე ჰყრიდნენ და ქალები კეტით ან ფეხით ფშვნიდნენ. მეგრულად ამ პროცესს ეწოდებოდა „ჩაჩუა // “ონაკასუა“ // „ჩიჩოლუა“ // „კასუა“. გურულად –„მოგუნდავება“,// „მოტეხვა“. ამის შემდეგ შეუდგებოდნენ ღომის ცეცხვას. ღომი ჩვეულებრივ ხელით იცეცხვებოდა. გარჩეული ღომის თაველებს ჩაყრიდნენ ხის ან ქვისგან გამოთლილ ჩამურში. ღომის ცეცხვა – „ჩხავარუა“ (მეგრულად) მძიმე სამუშაოდ ითვლებოდა. მებატონეებს ამისათვის ჰყავდათ ღომის მცეხვავი ყმები, რომელთაც „მოჯალაბეს“ უწოდებდნენ. ესენი სამეგრელოში ეკუთვნოდნენ ყმების ყველაზე დაბალ კატეგორიას. ღომის დასაცეცხვად იქმნებოდა „ნოდი“ (ნადი) 3–6 ქალის შემადგენლობით. ისინი ჩამურის ირგვლივ დგებოდნენ და ხელკავს, ანუ ხის „კაკუტს“ რიგრიგობით ურტყამდნენ ჩამურში. სამეგრელოში ამ მძიმე სამუშაოს თან ახლდა დათვლა: „ართი“, „ჟირი“, „სუმი“, და ა.შ.; გურიაში კი, ამისმსგავსად, დარტყმას უმატებდნენ „სა“-ს ან „სავ“-ს.

პირველი გაცეცხვის შემდეგ, მარცვალს ნაწილობრივ სცილდებოდა კანი – ნახორი (მარცვლის კილო). ამ პირველ ცეცხვას მეგრულად „გვარდუას“ უწოდებდნენ. პირველი ცეცხვა მტვრიანი სამუშაო იყო, თაველი ჩამურის ძირში რომ არ ჩაკრულიყო, მას ხშირი ამორევა უნდოდა. სანახევროდ გაცეცხვილი ღომის მარცვალი გადაჰქონდათ ხის გობზე – „ნისორზე“ // „სარღაზე“ (მეგრულად), რომელსაც ქალი ატრიალებდა და ნახორს (მარცვლის კილს) ხელით აცლიდა; ამის შემდეგ ღომის ნაცეცხვი უნდა გაენიავებინათ, რაც ძირითადად ქარიან ამინდში ხდებოდა; განიავებული ღომის ნაცეცხვს ჩაყრიდნენ ჩამურში მეორედ გასაცეცხვად. მეორე ცეხვას უწოდებდნენ „მოპიჯორუას“. ეს მეტად ფრთხილ და ზომიერ მუშაობას ითხოვდა, რომ მარცვალი ცეცხვის დროს არ ამოცვენილიყო ჩამურიდან. მეორედ გაცეცხვილი ისევ ხის გობით გადჰქონდათ და ანიავებდნენ; მეორედ ცეცხვის დროს განიავებას მეგრულად „ბაყვა“ ერქვა. თუ თაველი კარგად არ იყო გამხმარი, ღომი მესამედაც იცეცხვებოდა. ეს სამუშაო ცნობილი იყო „ჩხვარვას“ სახელწოდებით. ამ შემთხვევაში ღომის განიავება მესამედაც იყო საჭირო. გაცეცხვილ გასუფთავებულ ღომის სუფთა მარცვალს მეგრულად „ჩხვერს“, უწოდებდნენ.

ღომს ცეხვავდნენ ფეხის ან წყლის საცეხველით. ღომის დასაფქვავად იყენებდნენ ხელის წისქვილს მეგრულად – „სკიბუ“.

კოლხეთის მოსახლეობა ღომის კილგაცლილი მარცვლიდან ამზადებდა სქლად მოხარშულ „ფაფას“, საუცხოო დიეტურ საკვებს, „ღომის-ღომის“ სახელწოდებით; ხოლო დაფქვილ ღომს იყენებდნენ აგრეთვე დღესასწაულების დროს, რიტუალური ტაბლისათვის.

კოლხები „ღომის-ღომს“, როგორც დიეტურ საკვებს, იყენებდნენ კუჭ – ნაწლავის დაავადების სამკურნალოდ.

ძველი კოლხეთის მოსახლეობაში ფართოდ იყო გავრცელებული რწმენა, რომ ღომისგან დამზადებულ პროდუქტებს არა მარტო

მაღალი ყუათიანობა ახასიათებდა, არამედ ადამიანის ორგანიზმზე განსაკუთრებული კეთილი გავლენაც ჰქონდა. ვინც მძიმე ფიზიკურ შრომას ეწეოდა, თუ კი საჭმელად „ღომის–ღომს“ იყენებდა, მეტ სიმხნევეს გრძნობდა და უფრო შრომისუნარიანიც იყო.

საგანგებო წესით ამზადებდნენ ღომის „ჩხვერის“ მარცვლიდან ფაფას „ჩხუკას“. მოხარშავდნენ ძალიან სქლად „ჩხვერს“, დაუმატებდნენ ცოტა მარილს, ჩაასხამდნენ ნახევარ ჭიქამდე თაფლს დააყრიდნენ სუფთად დანაყილ ნიგოზს. ეს საუცხოო კონცენტრირებული საკვები იყო. ღომისგან მზადდებოდა: „ელარჯი“ – ხარშვისას ღომის მარცვალს ჩააზილავდნენ ჭყინტ ყველს; „იაფოფხი“ – ღომის ფქვილისაგან გამომცხვარი თხელი ხაჭაპურისებრი ნამცხვარი, რომელსაც ზევიდან დაყრილი ჰქონდა დაფშვნილი ნიგოზი და ხახვი; „ფუნჩხულა“ – მოხარშული ღომის მარცვალი, ნიგვზით და ზეთით შეზავებული; „ხავიწი“ – თაფლითა და ღომის ფქვილით შემზადებული ფაფა; ასეთ ფაფას ხშირად მელოგინე ქალს მიართმევდნენ; „ალაყურტი“ – მოხალული და წვრილად დაფქვილი ჩხვერის (ღომის) და სელის მარცვლის ფქვილისაგან თაფლში გაკეთებული ღომი, რომელსაც ზედ ნიგვზის ზეთი ან ერბო ჰქონდა გადასხმული.

ძველ კოლხეთში „ჩხვერის“ მარცვალს ერთგვარ სამკურნალო დანიშნულებითაც იყენებდნენ. განსაკუთრებული წესით მისგან მზადდებოდა „ტიბუ“ – გრიპის საწინააღმდეგო წამალი. ერთი ჭიქა „ჩხვერის“ მარცვალს გარეცხავდნენ კარგად, ჩაყრიდნენ 2–3 ცალ დანაყილ ნიორს, 1–2 კოვზ სუფთად დანაყილ ქონდარს და მწარე წიწაკას. ამას ასმევდნენ ავადმყოფს. ოფლის მოდენის მიზნით.

ღომის მარცვალი და ჩალა წარმოადგენდა კარგ კონცენტრირებულ საკვებს შინაური ცხოველებისათვის.

ასეთი მრავალმხრივი გამოყენების გამო, ღომი სავალდებულო ბეგარაში შედიოდა და უმაღლესი ხარისხის გადასახადს წარმოადგენდა. ღომის მარცვლის მაღალი კვებითი ღირებულება მასში ცილებისა და ვიტამინების (PP, B, C, B2) მაღალი შემცველობით უნდა აიხსნას.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ღომის მარცვლიდან გამოყოფილ ცილებში ძალიან მაღალია ალბუმინების შემცველობა (40–60 %), რომლებიც ამინომჟაური შედგენილობის მხრივ სრულფასოვან ცილებს წარმოადგენენ.

უძველესი დროიდანვე ღომი ზოგიერთი საკულტო რიტუალის აუცილებელი ელემენტი იყო.

დასავლეთ საქართველოში ძველი დროიდანაა ცნობილი საახალწლო მილოცვა, რომლის დროსაც მეკვლე – მეფეხური ახალი წლის დილას გათენებისას ჩიჩილაკითა და „ჩხვერის“ ჯამით (რომელზედაც ვერცხლის ფული, კვერცხი, სუროსა და თხილის ნედლი ტოტები დევს), ხელში რამდენჯერმე შემოუვლის ეზოს და თან მარცვლებს ფანტავს, როგორც დოვლათის სიმბოლოს.

საკალანდო სადილისათვის ღომის – ღომის ხარშვას წინასწარმეტყველების ერთ–ერთ საშუალებად მიიჩნევდნენ, თუ ღომის ხარშვა დაიწყებოდა ქვაბის შუაგულიდან, იმ წელიწადს მოსალოდნელი იყო უხვი მოსავალი მთელ სოფელში თუ ნაპირებიდან – ყველგან კარგი ჭირნახულის მოლოდინი უნდა ჰქონდათ; ძველ კოლხეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში ღომის მარცვალი ნაყოფიერებისა და გამრავლების სიმბოლოდ იყო მიჩნეული დოვლათისა და სიმრავლის მნიშვნელობით ღომი ფართოდ გამოიყენებოდა, აგრეთვე, „ქათმის ფერხვის“ – სახლში პატარძლის შესვლის დროს და სხვა რიტუალებში.

ძველ კოლხეთში არსებობდა და ე. წ. „ღომის სალოცავი“ – „ღუმუში ოხვამერი“ (მეგრულად). ღომი თაველებს რომ გამოიტანდა, გამოაცხობდნენ კვერებს, წაიღებდნენ ყანაში, ჩაფლავდნენ მიწაში, ზედ ჯვარს დასვამდნენ და ღმერთს ევედრებოდნენ „ ბევრი ღომი მოგვეციო“, ხოლო, როდესაც ღომის კრეფა – მკა დამთავრდებოდა, ოჯახის უფროსი ქალი ახლად დაფქვილი ღომისაგან აცხობდა ტაბლას, რომლის გული ნიგვზით, ხახვითა და სანელელებლებით იყო შეზავებული და ძველ მამალს დაკლავდა, მამლის თავს მეხვავეს მისცემდა; მეხვავე მომავალი წლის ხვავს და ბარაქაზე დაილოცებოდა.

ღომი, მიუხედავად მისი აგროტექნიკის შრომატევადობისა, ძველთაგანვე ჩვენი წინაპრების მასაზრდოებელი, მარჩენალი კულტურა იყო.

დღეისათვის ღომი კოლხეთში იშვიათი, სიმინდისაგან გამოდევნილი მცენარეა.



მიხეილ დავითაძე

მოგზაურობა წარსულში

„გაზიკი“ სწრაფად მიემართება გატკეპნილ გრუნტზე და უკან მტვრით აბუქებულ კვამლს ტოვებს. ჩქარა გავიარეთ გორგიული, ნაჭივრი, გამონათლევი და აღმართიც დაიწყო. პაპოშვილების ორღობეებიდან სიმინდის აქოჩრილი ყანები გვიმზერენ და სევდიანი ღიმილით გვაცილებენ. მთის ჩანჩქერი კლდიდან ეშვება და ჰაერში შხეფების ნისლი დგას.

წელათიდან მიხვეულ-მოხვეული აღმართებია. შორიდან გვიღიმის მთისუბნის ციხე და წარსულში სამოგზაუროდ გვეპატიჟება. ხეობის გუშაგი ლამაზი, მწვანე მთებით გარშემორტყმულ სოფლებს გადმოჰყურებს. ნაძვნარით დაფარულ გზას მივყვებით და ჟანგბადის მოჭარბებულ სურნელებას შევიგრძნობთ. აქ მოსახლეობა ცხოვრების ტრადიციული წესით ცხოვრობს. მარჯვნივ ტომაშეთის ცნობილი აბანოებია.

ჩირუხის მისასვლელთან, წყაროსთან, გავჩერდით. ჩვენს წინ სამოთხისებრი სილამაზით გაჯერებული პეიზაჟები იშლება. მთის მრავალფეროვნებასა და ფანტაზიას ბადალი არ ჰყავსო. ზემოთ ხასხასა ალპური მდელოები იწონებენ თავს, ქვემოთ მარადმწვანე იდუმალი ტყის მასივებია. ჩვენ კი საამურ ხმაზე მორაკრაკე, ოცნებასავით სუფთა წყაროს წყლით ვიგრილებთ სხეულს და განგებას მადლობას ვწირავთ ჩვენს ირგვლივ არსებული მშვენიერებისთვის, რომელიც მთელი თავისი სილამაზითა და სისპეტაკით წარსდგა ჩვენს წინაშე.

–ჭეშმარიტი სული მთაშია, – თქვა ბატონმა შოთა ქურიძემ, რომელიც იმხანად გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორი იყო.

ზაფხულში მთები გრილ სამოთხეს წარმოადგენენ, – დაეთანხმა მაშინდელი შუახევის რაიკომის პირველი მდივანი ნოდარ ცეცხლაძე, ფრიად განათლებული და წარმატებული ხელმძღვანელი.

–როგორი ნაზი ველები, საოცარი მთები და სუფთა, გამჭვირვალე ლაჟვარდია, – ამბობს ბატონი შოთა და მოშიშვლებულ ცას შეჰყურებს, – სასიამოვნოა მომაჯადოებელი მთიანი პეიზაჟის ცქერა.

ნაკადულის ვერცხლისფერი ჭავლები ქვებზე ჩამოედინება და საოცარი ბუტბუტით ხევ-ხევ მიიკვლევს გზას.

–ამ ადგილს პანტები ჰქვია, აქ შემორჩენილი საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობების ნაშთები იმაზე მიგვითითებს, რომ აქ ადრე ადამიანთა მუდმივი საცხოვრისი იყო, – ამბობს ნოდარ ცეცხლაძე და სტუმარი თხელი ქვებით ნაგებ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობასთან მიჰყავს.

–სავსებით შესაძლებელია, – ეთანხმება ბატონი შოთა, – საქართველოს მოსახლეობის ძირითადი განსახლების ადგილი ადრე მთები იყო, სადაც უფრო დაცულად გრძნობდნენ თავს.

ოსმალების შემოსევის შემდეგ მოსახლეობის რაოდენობამ კატასტროფულად იკლო.

რამდენ საიდუმლოებას ინახავს ისტორიიდან ამოვარდნილი 300 წელი?

1929 წლამდე საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის მეგობრული ურთიერთობა სუფევდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც თურქეთმა აშკარად გერმანიას მიემხრო და კავკასიაზე თავისი პრეტენზიები გამოაშკარავა, საჭირო შეიქმნა საზღვრის ჩაკეტვა, უსაფრთხოების დამატებითი ზომების მიღება. მოჩვენებითი მეგობრული ურთიერთობის დარღვევის შემდეგ ტბეთისა და გოგაძეების მოსახლეობის სამთო საძოვრები საბჭოთა კავშირ - თურქეთის საზღვარს იქეთ მოექცა.

აღნიშნული სოფლების მოსახლეობა თავდაპირველად ფრთხილობდა, ჯინალის ქოხებს შიშით იკავებდა, ვაითუ ქურთები და ჯინალელები ისევ დაბრუნდნენო, მაგრამ დრომ თავისი გაიტანა. როცა მოსახლეობა სრულად გავიდა ჯინალის საძოვრებზე, ქოხები აღარ ჰყოფნიდათ. ერთ ქოხში ორ-ორი მემთეური თავსდებოდა, ქოხებს დამხმარე ნაგებობებს ადგამდნენ და პირუტყვის სადგომებს აფართოებდნენ. შემდგომ და შემდგომ ახალი, ფიცრული ქოხების აგებაც დაიწყეს. თეთრი ქოხები ქურთების მრგვალი მორებით ნაგებ ქოხებს გაცილებით სჭობდა. ქოხების გვერდით ბოსტნები შემოაკავეს და სამთო მეურნეობა კარგად ააწყვეს.

გავცდით ჩირუხს და ჯინალის მთაც გამოჩნდა. ამ ორ მთაში მარეთის ხეობის კოლმეურნეობები და მოსახლეობის დიდი ნაწილი აბალახებდა პირუტყვს. აქ ამოდიოდნენ ქედის, ხელვაჩაურის რაიონების ცალკეული სოფლების მეცხოველეებიც და მთაც საკმაოდ გადატვირთული იყო. სასაზღვრო ზოლს გარეთ არსებული საძოვრები პირუტყვს მინიმალურადაც არ ჰყოფნიდა და მთავრობასთან შეთანხმებით ნახირი პირველ საკონტროლო ზოლში შეჰყავდათ. იქ ბალახი საკმაოდ იყო და საქონელიც ძღებოდა, მაგრამ ცუდ, ნისლიან ამინდებში, მესაზღვრები საქონელს უკან აბრუნებდნენ და პირუტყვიც შიმშილობდა. საგრძნობლად ეცემოდა ფურების წველადობის დონეც. რამდენი ტანჯვა-ვაება არ გამოიარა ამ ხალხმა? თურქთა სამასწლიანი ბატონობა, მუჰაჯირობა, ბოლშევიკური რეპრესიები, მრისხანე ომი და ახლა საძოვარზე პირუტყვის გაშვება-არგაშვების საქმე რუსი ჯარისკაცის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული.

1971 წელია. შუახევის რაიონული გაზეთის „დროშის“ რედაქციის მშრომელთა წერილების განყოფილების გამგე რედაქტორის მოადგილედ დამაწინაურეს და მაშინდელმა რედაქტორმა მიხეილ ზოსიძემ გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორის შოთა ქურიძის მთა ჩირუხში მოპატიჟება გადაწყვიტა. იმხანად ავტონომიური რესპუბლიკის უპირველესი სამთავრობო ორგანოს რედაქტორობა დიდ თანამდებობად ითვლებოდა და გაზეთის მხარდაჭერას, შეფასებას რაიონული გაზეთებისადმი საკმაო მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ბატონი შოთა უაღრესად განათლებული, უბრალო და საქმიანი კაცი გახლდათ.

ჩირუხის სასაზღვრო საგუშაგოს მესაზღვრეებმა რაიკომის პირველი მდივანი იცნეს და ყარაფუნღარის წყაროსკენ უპრობლემოდ გაგვატარეს.

კორდებს ჩახუტებული ნახირი მადიანად ძოვდა და აბეზარი ბუზების მოსაგერიებლად კუდებს აქნევდა.

ყარამფუნღარზე ვართ. მეოცესაუკუნელები მყარად ვდგავართ საქართველოს სახელმწიფო საზღვართან.

ველური ყვავილებით მორთულ-მოქარგულ, ცვარ-ნამიან ველზე მზის ოქროსფერი სხივები თავმომწონედ ბრჭყვიალებდნენ. ხასხასა, არნახული ფერები გამაბრუებელ სილამაზეს ქმნიან. მიწის გულიდან ამოხეთქილი წყლის საოცარი ჭავლები იდუმალი ბუტბუტით ჩაედინება ღორღიან კალაპოტში.

ლაჟვარდოვანი ზეცა გაბადრული დაჰყურებს აჭარა-შავშეთის ქედის, კენჭიანის, უნაგირას მთებს, რომლებიც არსიანის ქედთან ერთად მთათა საოცარ ანსამბლს ქმნიან. მომწვანო-მოწითალო სტანდარტული ბოძები საზღვრის გასწვრივ ზუსტი ინტერვალითაა ჩამწკვრივებული.

ნაირ-ნაირად მორთულ-მოკაზმული ველები მეგობრულად გვიღიმიან. ფრთოსანთა საამური გალობა და ჟრიამული მთის იდუმალი გორების მყუდროებას არღვევს.

საოცრად გემრიელი, კრისტალურად სუფთა და ყინულივით ცივი წყალი უხვად მოჩქეფს. ყვავილთა მრავალფეროვნება გულს ახარებს. ოცნებებში გადავარდნილები სევდიანად შევყურებთ არსიანის თოვლიან ქედს.

წყაროსთან კორდზე სახელდახელო სუფრას ვშლით და მთისა და ბარის, ჩვენი სამშობლოს, მშრომელი კაცის სადიდებელ–სადღეგრძელებელი მეტად ამაღლებულად ისმება.

მზის ათინათთა ცელქი ციაგი და იდუმალი სიმყუდროვე გვახარებს.

ჩვენს ქვემოთ ლელვანის ტყის მასივებია.

რამდენი ბრძოლისა და ნგრევის მომსწრეა ეს მთები?

მძიმე შუბებით, ცულებით, ხმლებით, ხანჯლებით ჩეხდნენ მეომრები მომხვდურს და მშობლიურ მიწა-წყალს იცავდნენ.

ამაყად მდგარი იდუმალი მწვერვალები ქოჩორა ტყეებს დაჰყურებენ და არაფერს იტყვიან გარდასულ ჟამთა სრბოლაზე.

ბუნების სრულყოფილება, სისავსე განგების კეთილ ზრახვებზე მიუთითებს, მძინარე მზეთუნახავივით ლამაზია ველური სამყარო.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ საქართველომ თავისი მიტაცებული ტერიტორიები სრულად დაიბრუნა, მაგრამ 1917 წლის ბოლშევიკური ამბოხის შემდეგ რუსეთი ომიდან გამოეთიშა და ეს იყო უდიდესი შეცდომა. პირველი მსოფლიო ომი გადამწყვეტ ფაზაში იყო, მოკავშირეები (ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი) ყველა ფრონტზე წარმატებას აღწევდნენ. მაგრამ ბოლშევიკური მთავრობის მითითებით რუსის ჯარი ომს გამოეთიშა, უკან მობრუნდა და მათ ფეხდაფეხ მოჰყვნენ ოსმალები, რომელთაც დაბრუნებული ტერიტორიები კვლავ მიიტაცეს.

ლენინის მთავრობა ათათურქს გაურიგდა და საქართველოს ძირძველი ტერიტორიების დიდი ნაწილი ოსმალეთს გადაულოცა.

ბედის დაცინვაც ამას ჰქვია.

ბევრგან სახელმწიფო საზღვარი შუა სოფელში გავიდა. ერთი ძმა აქეთ დარჩა, მეორე-იქეთ. შავშეთში სტუმრად წასული იქ ჩარჩა.

ძმა ძმას ვერ ნახულობდა, მშობელი შვილთან ვერ ჩამოდიოდა. მთა ჯინალისადმი ნოსტალგია აშკარად ემჩნევათ შავშეთის სოფლის მეცხოველეებს, რომლებიც აქეთკენ სევდიანი თვალებით იმზირებიან.

შავშეთელ მწყემსებს ზედ საზღვართან მოჰყავთ პირუტყვი, აქაურებს კი სახელმწიფო საზღვართან საკონტროლო ზოლი ჰყოფდა. ამ ზოლში პირუტყვს არ უშვებდნენ.

–როგორ ახლოს მოდიან, აქაურ მწყემსებთან გასაუბრებას ცდილობენ, – შენიშნა ბატონმა შოთამ.

– ჩვენს მწყემსებს მათთან კონტაქტი აკრძალული აქვთ. ისინი ამის თაობაზე მკაცრად არიან გაფრთხილებული, –მიუგო ბატონმა ნოდარმა.

–ხმა რომ გასცენ? – იკითხა სტუმარმა.

–დაიჭერენ, –გულახდილად მიუგო რაიონის თავკაცმა და სტუმარს მწვანე ბალახებში გაწოლილ მესაზღვრეებზე მიუთითა, რომლებიც ბევრისთვის შეუმჩნევლად იყვნენ განთავსებული საზღვრის გასწვრივ.

–მეორე მსოფლიო ომის ბოლო პერიოდში სტალინს არ მიეცა შესაძლებლობა თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიები დაებრუნებინა. მოკავშირეებმა (ინგლისი, ამერიკა) სასწრაფოდ ბალკანეთში ჯარი შეიყვანეს და თურქეთი მფარველობის ქვეშ აიყვანეს. სულ მალე თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანა გახდა. ჩვენმა მწერლებმა, საზოგადო მოღვაწეებმა ომის შემდგომ წლებში დაიწყეს სტატიების გამოქვეყნება ქართული მიწების დაბრუნების მოთხოვნით, მაგრამ თურქეთის ხელისუფლების საპირისპირო რეაქცია მოჰყვა. ეს თემა, რომელიც ჩვენთვის ასე მტკივნეულია, მეტად რთული და ძნელად განსახორციელებელია, – შენიშნა ბატონმა შოთამ.

ასეთმა ძალდაუტანებელმა, ბუნებრივმა, გულწრფელმა საუბარმა ცოტა არ იყოს გამაოცა, ბევრ რამეში ჩამახედა.

მზე დასავლეთით დაეკიდა თუ არა, სქელი ნესტიანი ნისლი ჩამოწვა, თქორი მოუშვა, საკმაოდ აცივდა.

სახელდახელოდ კოცონი დავანთეთ და რუხი, ჭვარტლიანი კვამლი ზლაზნით მიიკვლევდა გზას ნისლიან სივრცეში და თან მიჰქონდა საქართველოს ავბედობით გამოწვეული მწარე ტკივილთა და სევდიან განცდათა სულისკვეთება.

შინაარსი

შალვა ველიაძე

ქრისტიანული კულტურისთვის ბრძოლა არის მთავარი ქართული სახელმწიფოსთვის 3

ეთერ ბერიძე

მხოლოდ სიტყვას ძალუძს უკვდავება მიანიჭოს 6

რამაზ სურმანიძე

გიორგი სააკაძის მკვლელის აღსასრული 8

გიორგი სარაჯიშვილი

ქეთევან დედოფლის დაბადების თარიღისათვის 12

*** ქართველნო ერთად ღვთისკენ! 19

იოანე ზაქარიაძე

გილოცავთ ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლის იუბილეს 21

*** ათონელი ბერის ეპისტოლე 26

*** წმიდა დავით გარესჯელის უდაბნო –

შედგენილი მღვდელ–მონაზონის კალისტრატესაგან 31

შალვა ველიაძე

ავაშენოთ ტაძარი სამარადისოდ – სამარადჟამოდ! 42

ოთარ ცინარიძე

მარადისობის სიმბოლო ზამლეთის გორაზე 45

როინ აბუსელიძე

ლექსები 47

ზურაბ ზოიძე

ლექსები 51

რევაზ ფევაძე

გუგუნებდეს საქართველო! 54

შ. მამულაძე, ა. კახიძე, ე. კახიძე

გონიო–აფსაროსი 55

ზვიად ველიაძე

,,ჯვრის გამოსახვით და მამაო ჩვენოთი'' დაწყებული ჩვენი გმირი

წინაპრების შთამომავალთა ბრძოლა თავისუფლებისთვის 65

ინტერვიუ მამუკა თურმანიძესთან -

აჭარის ა. რ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის დარგობრივი

განვითარების განყოფილების უფროსი, სოფლის მეურნეობის მაგისტრი 74

ინეზა მაისაია

რითი იკვებებოდნენ კოლხები ამერიკის აღმოჩენამდე 81

მიხეილ დავითაძე

მოგზაურობა წარსულში 86

ISNN-1987-6637

ჟურნალი ,,ლაკლაკეთი'' დიდი სიყვარულითა და უღრმესი პატივისცემით მადლობას უხდის ქალბატონ ეთერ ბერიძე-მელიქიშვილს (ფილოლოგიის აკადემიურ დოქტორს) ჟურნალის მე-6 ნომრის გამოცემაში გაწეული ფინანსური მხარდაჭერისთვის, ამასთან ქველმოქმედების მსურველთ ვთხოვთ ფინანსური შეწევნის სურვილის შემთხვევაში დაგვიკავშირდნენ ნომერზე - ელსმენი: 591 71 57 70.

დამკაბადონებელი: ანაიდა ავეტისიანი

ჟურნალი ,,ლაკლაკეთი'' დაიბეჭდა: ბათუმი, ,,პოლიგრაფ 2010''
მარტი, 2017 წელი. ტირაჟი: 150. ფასი შეთანხმებით.

გარეკანის პირველ გვერდზე ლაკლაკიძეების ღვთისმშობლის ჭედური ხატი, მეოთხეზე - წმინდა აბუსერისძე ტბელის სახელობის ტაძარი ქ. ბათუმში (ჯავახიშვილის ქუჩაზე).

დამფუძნებელი: შ პ ს ,,ლომსიანთა'', ელ. ფოსტა lomsianta@mail.ru; მ/ო საჯარო რეესტრი რ/ნ 447860609; თარიღი 22. 03. 2013; საქართველოს ბანკი, ბანკის კოდი: BAGAGAE22 ანგარიშის ნომერი: GE75BG0000000306366200

რედაქციის მისამართი: შუახევის რაიონი, სოფელი წაბლანა.
ელ. ფოსტა laklaketi2013@mail.ru, shalvaveliadze@gmail.com,
ელსმენი: 591 71 57 70; 577 31 95 79

* * *

მოწყალებისა კარი განგვიღე, კურთხეულო ღვთისმშობელო, რათა რომელნი — ესე შენ გესავთ, არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინაალმდგომთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრება ნათესავისა ქრისტიანეთასა ამინ.

სადიდებელი ღვთისა

უფალო ძლიერო, ბეთლემს შობილო, აღგვადგინე დაცემულნი და კვლავ მოგვანიჭე მადლი შენი; მოგვმადლე განცდა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩვენისა; მოგვეც სიბრძნე, სიმშვიდე, ერთგულება, ერთსულოვნება, გულის სიწრფელე, რწმენის სიმტკიცე, ჯანის სიმრთელე, მთლიანობა ქვეყნისა, შვილთა სიმრავლე, ნაყოფის სიუხვე, ამაღლებული სიყვარული, სასოება შეურყვნელი, რათა ვიხაროთ ორსავე სოფელსა შინა.

* * *

. . . და კაცის მჭამელთა მგელთა ოტებანი სრულიად საზღვართა შინა სრულისა საქართველო(ჲ)სათა წინაშე მისსა ლიტანიობითა და დედისა ღმრთისა ხატისა მის თანავე გარეთ განყვანებითა, რომელსა სასოებდა დედა(ჲ)ჩემი გამოუთქუმელითა სარწმუნოებითა და სამარადისო(ჲ)თა წინაშემდგომარეობითა და დაუდუმებელითა კითხვითა წმინდისა სახარებისა(ჲ)თა, ფსალმუნებითა და ლოცვითა, რომელი მე დამიტევა ანდერძობით, მფარველად ორისავე ცხოვრებისა ჩემისა.

აბუსერისძე ტბელი